გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
28 იანვარი **ხუთშაბათი** 2010
№ 021 (13 009) ფასი 60 თეთრი

## ლიპის ბრალი დასდეს

### ვინ დაანგრია იუვენტუსი?



მსოფლიო ფეხბურთი >> გვერდი 6-9

# თემურ ქეცბაია

## თავად უნდა გადაწყვიტონ, ითამაშებენ ნაკრებში თუ არა



EXCLUSIVE

>> გვერდი 2-3

# ზაზა ფაჩულია

## ევრობასკეტის მსურველ ნაკრებს უკეთესი შიდა ჩემპიონატი სჭირდება

ინტერვიუ >> გვერდი 11



NBA-ში ზაზა ფაჩულიას მეტოქე პოლონელი მარცინ გორტატი (მარჯვნივ) მას სანაკრებო დონეზეც დაუპირისპირდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფლიქტი

# მუჯირს პროფკავშირი გამოესარჩლა

უკვე გაცნობეთ, რომ მოსკოვის „ლოკომოტივმა" **დავით მუჯირს** კონტრაქტი გაუწყვიტა იმ მოტივით, რომ ფეხბურთელი შვებულების გასვლის შემდეგ კლუბს დროულად არ დაუბრუნდა. თავის მხრივ, ქართველი ნახევარმცველი აცხადებს, რომ „ლოკომოტივში" დათქმულ დროს დაბრუნდა და რკინიგზელთა ხელმძღვანელობა ცილს სწამებს. ხელშეკრულების ნაადრევად გაუქმებისთვის კი იგი „ლოკომოტივის" წინააღმდეგ ჩივილს აპირებს.

უკვე ნათელია, რომ მუჯირი ამ ბრძოლაში მარტო არ იქნება. გუშინ მისდამი მხარდაჭერა რუსეთის ფეხბურთელთა პროფკავშირის თავმჯდომარე **ნიკოლაი გრამატიკოვმა** გამოხატა. მისი განცხადებით, „ლოკომოტივმა" ფეხბურთელის უფლებები უხეშად დაარღვია. ამიტომაც პროფკავშირი კლუბის წინააღმდეგ ფიფაში ჩივილს აპირებს. გრამატიკოვი ამ თემაზე საკმაოდ საინტერესოდ საუბრობს.

„ჯი მნიშვნელოვნად დაზარალდება პოტენციური ახალწვეულებისა და საფეხბურთო აგენტების თვალში. მუჯირი ევროპაში საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელია და მისი ამბავი „ლოკომოტივს" საერთაშორისო მასშტაბით გაუტეხს სახელს. მუჯირი კლუბის საქციელმა ფინანსურად ძალიან დააზარალა. სატრანსფერო პერიოდი დასასრულს უახლოვდება და მას ახალი კლუბის პოვნის არცთუ დიდი შანსი აქვს. ბოლო დროს მას „ლოკომოტივში" სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონდა, ასეთი ფეხბურთელის აყვანას კი ბევრი ერიდება. სანამ ახალ კლუბში გადავა, მუჯირმა თავი რალაცით უნდა ირჩინოს. ჩემთვის გაუგებარია „ლოკომოტივის" პოზიცია. თუკი კვალიფიციურ ფეხბურთელში (რაც მუჯირმა „კრილია სოვეტოვში" წარმატებული თამაშით დაამტკიცა) სოლიდურ ფულს იხდი და ამის შემდეგ მას სათადარიგოთა სკამზე სვამ, ეს იმას ნიშნავს, რომ საკადრო პოლიტიკა არ გივარგა.




„უკვე ვაგროვებთ საჭირო დოკუმენტებს ფიფაში წარსადგენად. ეს საერთაშორისო კონფლიქტია, რადგან საქმე გვაქვს უცხოელ ფეხბურთელთან. ჩემი პრაქტიკის ისტორიაში ეს პრემიერლიგაში მომხდარი პირველი მსგავსი სახის პრეცედენტია. მეორე დივიზიონში ყოფილა შემთხვევები, როცა კლუბს ფეხბურთელი ასეთი ფორმით მოუშორებია, მისთვის ლოთობა ან უდისციპლინობა დაუბრალებია, უმაღლეს დონეზე კი ეს პირველი შემთხვევაა. „ლოკომოტივი" მსგავს სიტუაციაში აქამდე არასოდეს აღმოჩენილა. შვებულებაში გასვლის წინ მუჯირს მომზადების ინდივიდუალური გეგმა გადაეცა. შვებულებიდან იგი, თანაგუნდელების მსგავსად, 8 იანვარს დაბრუნდა და ჩერკიზოვოს ბაზაზე მივიდა. მალე გაირკვა, რომ თურქეთის შეკრებაზე დავითი არ მიჰყავდათ. მას გუნდის მთავარმა მწვრთნელმა იური სიომინმა უთხრა, რომ კარგ ფეხბურთელად მიაჩნია, მაგრამ „ლოკომოტივის" შემადგენლობაში არ მოიაზრებს. ნორმალური საუბარი იყო, მაგრამ როგორც ჩანს, ამის შემდეგ კლუბმა რადიკალური გზით გადაწყვიტა ფეხბურთელთან თანამშრომლობის შეწყვეტა, რისი მიზეზიც მხოლოდ ფულის ეკონომიაა. ჩემთვის გაუგებარია, რაში მდგომარეობს მუჯირის დანაშაული. განა იგი ვალდებულია, დილის 9-დან საღამოს 6 საათამდე იმუშაოს?! ვიმეორებ, აქ საქმე მხოლოდ ფინანსურ ასპექტს ეხება. ამით „ლოკომოტივის" იმიამის მიუხედავად, კლუბი ვალდებულია, მოთამაშეს ახალი სამსახურის მოძებნაში დაეხმაროს. ამის მაგივრად კი „ლოკომოტივი" მუჯირს არაადამიანურად მოექცა. საერთოდ, ასეთი ნაბიჯით „ლოკომოტივი" ძალიან რისკავს, რადგან მუჯირთან საუბარში ბევრი ფეხბურთელი შეიტყობს, რომ ეს კლუბი უკანონოდ იქცევა და იქ გადასვლას ბევრი აღარ მოისურვებს. შეიძლება თუ არა კომპრომისის გამონახვა სასამართლო განხილვის დაწყებამდე? მეეჭვება, რადგან მუჯირი „ლოკომოტივთან" მორიგებას ცდილობდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა და მხოლოდ ამის შემდეგ მოგვმართა, რადგან აგენტი არ ჰყავს. „ლოკომოტივთან" დავითს კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი ჰქონდა დარჩენილი და სწორედ ამ პერიოდისთვის გათვალისწინებულ კომპენსაციას მოვითხოვთ. გარდა ამისა, „ლოკომოტივისა" და კონკრეტულად, მისი პრეზიდენტის ნიკოლაი ნაუმოვის საქციელმა მუჯირის რეპუტაციასაც მიაყენა ჩრდილი და ისინი ამისთვისაც უნდა დაისაჯონ", - აცხადებს გრამატიკოვი.

როგორც ხედავთ, მუჯირისა და „ლოკომოტივის" დაპირისპირებამ უკვე მასშტაბური სახე მიიღო და წინ საინტერესო ამბები გველის. იმედია, ფეხბურთელი პროფკავშირების დახმარებით, საქმეს მოიგებს და ამავდროულად, სასამართლოში სიარული ახალი კლუბის მოძებნაში არ შეუშლის ხელს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ

თემურ ქეცბაია

**ამ წლის დასაწყისიდან თემურ ქეცბაია უკვე ოფიციალურად შეუდგა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობას. მან უკვე მოილია პირველი სამუშაო ვიზიტი და ანთალიიდან დაბრუნებულმა „ლელოს" ექსკლუზიური ინტერვიუც მისცა. ვნახოთ, როგორია ნაკრების თავკაცის ხედვა ეროვნული გუნდის წევრ-კანდიდატებზე, რა კრიტერიუმის მიხედვით გამოიძახებს გუნდში ფეხბურთელებს, რა არის მისი კრედო, ვის შეხვდა თურქეთში და რაზე ესაუბრა... მოკლედ, ამ და სხვა საინტერესო თემებით თქვენს წინაშეა თემურ ქეცბაია...**



## ნაკრების მწვრთნელის მოწოდება: დაუჭირეთ მხარი ამ ბიჭებს!

# ყველამ თავად უნდა გადაწყვიტოს, ითამაშებს ნაკრებში თუ არა

**- რამდენიმე დღის წინ თურქეთიდან დაბრუნდით, სადაც ნაკრების წევრ-კანდიდატები შეათვალიერეთ და პირადადაც ელაპარაკეთ. მოდი, ინტერვიუც ამ თემით დავიწყოთ...**

- კი, ვნახე ჩვენი ფეხბურთელები, დავესწარი მათ თამაშებს და გავესაუბრე კიდეც. კმაყოფილი დავრჩი. ვისაც ველაპარაკე, ყველას აშკარად შევატყვე, რომ მონდომებულია, ნაკრებში გამოძახებისა და თამაშის მოლოდინშია. ქართული ფეხბურთი ხომ ახლა მძიმე მდგომარეობაშია და ეს ვითარება ჩვენი გამოსასწორებელია. ეს არის ჩვენი მიზანი და უნდა გვჯეროდეს, რომ ამას შევძლებთ. მჯერა, ეს ყველაფერი თავად ფეხბურთელებსაც კარგად აქვთ გათავისებული და ისინი ბრძოლისთვის მზად არიან. წარმოიდგინეთ, თითქმის ორი წელია, ნაკრებს თამაში არ მოუგია. ეს ფსიქოლოგიურადაც რთული მომენტია, მაგრამ სულაც არ არის გადაულახავი ბარიერი. უბრალოდ, ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვაქვს...

**- ახლა ისეთი პერიოდია, რომ გუნდების უმრავლესობა სულ რაღაც ერთი-ორი კვირაა, რაც მზადებას შეუდგა. შესაბამისად, ფეხბურთელების კონდიციები სასურველისგან ჯერ კიდევ შორსაა. ალბათ, თქვენ უფრო ფეხბურთელების საერთო განწყობა გაინტერესებდათ...**

- დიახ, ჩემი თურქული ვოიაჟის მთავარი დატვირთვაც სწორედ ეს იყო. არც მქონდა იმის ილუზია, რომ ფეხბურთელები ჩვეულ ფორმაში იქნებოდნენ. შესაბამისად, ჩემი მიზანი იყო, გამეგო - აინტერესებთ და უნდათ თუ არა ამ ფეხბურთელებს საქართველოს ნაკრებში თამაში... ბიჭებმა დამარწმუნეს, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა ჩვენი გუნდი კრიზისიდან გამოვიდეს.

**- იქნებ დააკონკრეტოთ, რომელი ფეხბურთელები ნახეთ ანთალიაში?**

- „ანჟის" ქართველების გარდა, ვნახე „დნიპროში" ნახევარმცველი ჯაბა კანკავა, მალხაზ ასათიანსაც ველაპარაკე და „რუბინის" ჩვენებურებსაც - ლაშა სალუქვაძესა და დათო კვირკველიას... თბილისის „დინამოს", „ზესტაფონისა" და „გაგრის" თამაშებსაც დავესწარი. მოვინახულე ნალჩიკელი ქართველებიც - ალექსანდრე ამისულაშვილი, დავით სირაძე და გოგიტა გოგუა, თუმცა მათი გუნდის მატჩს ვერ დავესწარი. ზოგჯერ თამაშები ერთმანეთს ემთხვეოდა და არჩევანის გაკეთება მიწევდა...

> **...სიმართლე გითხრათ, ამ თემების წამოწევა არ მაინტერესებს, ახლა ამაზე არ უნდა დავკარგოთ დრო, ეს არაფერს მოგვიტანს, პირიქით - წარსული უნდა დავივიწყოთ და ვიფიქროთ პროგრესზე...**

**- კახა კალაძემ და ლევან კობიაშვილმა პრესასთან ბევრჯერ ისაუბრეს ბოლო წლებში საქართველოს ნაკრებში შექმნილ ვითარებაზე, დაგროვილ პრობლემებზე... კალაძემ „ლელოსთან" ინტერვიუში ისიც თქვა - თემურ ქეცბაიას ყველაფერს მოვუყვებიო. ცნობილია, რომ ნაკრების კაპიტანს ტელეფონით ესაუბრეთ. რა შეგიძლიათ, გვითხრათ ამის თაობაზე?**

- კი, ვილაპარაკეთ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ამ თემების წამოწევა არ მაინტერესებს, ახლა ამაზე არ უნდა დავკარგოთ დრო, ეს არაფერს მოგვიტანს, პირიქით, წარსული უნდა დავივიწყოთ და ვიფიქროთ პროგრესზე... ახლა ჩემი მთავარი საფიქრალი და საზრუნავი სწორედ ნაკრების აწმყო და მომავალია. შესაბამისად, ნაკრების ლიდერებმა და საერთოდ, ყველამ, ვინც ეროვნული გუნდის წევრ-კანდიდატებად მოიაზრებიან, წარსული უნდა დაივიწყონ... ასე რომ, ყველას ველოდები ნაკრებში და მწამს, ვისაც გამოვიძახებთ, ყველა მათგანი წარმატებისთვის მაქსიმუმს გაიღებს.

**- ასათიანს, გოგუას, ამისულაშვილს, მუჯირს, კვირკველიას, სირაძეს, სალუქვაძეს... განვლილ შესარჩევში ნაკრებში თამაში თითქმის ან საერთოდ არ უწევდათ. 6 ნოემბერს, ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტის გაფორმებისას თქვით, რომ ამ საკითხს გაარკვევდით...**

- უკვე გითხარით, რომ რაც იყო წინა შესარჩევ ციკლში, ეს უკვე განვლილია და უნდა დავივიწყოთ. ანთალიაში ამ ფეხბურთელებსაც ველაპარაკე და როგორც ვთქვი, ყველა მონდომებულია ნაკრებში სათამაშოდ. და ეს არის ეროვნული ნაკრები, რომელიც ჩვენს სამშობლოს, საქართველოს ეკუთვნის.

ქვეყნის მთავარ გუნდში თამაში ყველასთვის საამაყო უნდა იყოს, თითოეულმა ფეხბურთელმა უნდა გაითავისოს, რომ ნაკრების მაისურით ქვეყნის ღირსებას იცავენ.

**- სურვილი ერთია, მაგრამ ზოგიერთი ფეხბურთელისთვის ხელის შემშლელ ფაქტორად, შესაძლოა, რუსეთის მოქალაქეობა იქცეს. ქართველები ამ მსხვერპლზე სათამაშო პრაქტიკის სანაცვლოდ მიდიოდნენ. არ დაინტერესდით ამ საკითხით?**

» მე-3 გვერდზე

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ინტერვიუ

თემურ ქეცბაია

# ყველამ თავად უნდა გადაწყვიტოს, ითამაშებს ნაკრებში თუ არა

მე-2 გვერდიდან

- ეს მართლაც მნიშვნელოვანი საკითხია და სერიოზულად უნდა მივუდგეთ. ამ თემაზე ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან რევაზ არველაძესაც ვესაუბრე, ვთხოვე - რუსეთის საფეხბურთო კავშირისგან მოითხოვოს ოფიციალური განმარტებითი დოკუმენტი. შესაძლოა, მოქალაქეობის პრობლემა მართლაც დაბრკოლებად გვექცეს. აქედანვე ვამბობ - არ ვაპირებ, რომელიმე ფეხბურთელს ჩემი აზრი მოვახვიო თავს, ყველამ თავად უნდა გადაწყვიტოს, სად ითამაშებს. ავილოთ ასეთი მაგალითი - ფეხბურთელი, რომელიც ჩვენი ნაკრებისთვის საჭირო ფიგურაა, რუსულ კლუბში თამაშობს. გამოვიძახე ის ეროვნულ გუნდში და კარგად ითამაშა. ის კლუბში უკვე ლეგიონერად ჩაითვლება. გავიდა დაახლოებით ნახევარი წელი, ის მოთამაშე აღარ არის ფორმაში და ვერც ეროვნულ ნაკრებში ხვდება, არც კლუბში უწევს თამაში... არ მინდა ფეხბურთელი ისეთ ვითარებაში აღმოჩნდეს, რომ ნაკრებშიც ვერ ხვდებოდეს და კლუბშიც აღარ უწევდეს თამაში... მოკლედ, თავად ფეხბურთელებმა უნდა გააკეთონ არჩევანი...

**- თითოოროლა გამონაკლისის გარდა, განვლილ შესარჩევ ციკლში რუსეთში მოასპარეზე ლეგიონერებიდან ნაკრებში არავის იძახებდნენ. თქვენ უკვე ნახეთ საქმეში ბევრი მათგანი და საინტერესოა, რა აზრის ხართ - გამოადგებიან ისინი ნაკრებს?**

- საქართველოს ნაკრებს დასაკარგი ფეხბურთელები არ ჰყავს, ეს არის ჩემთვის ამოსავალი წერტილი. შევთანხმდეთ იმაზე, რომ ნაკრები რჩეულ ფეხბურთელთა კრებულია, ეს არ არის კლუბი. სწორედ ამ ხაზს გავატარებ ეროვნულ გუნდში მუშაობისას, ანუ გამოვიძახებ იმ მოთამაშეებს, რომლებიც კონკრეტული მომენტისთვის კარგ ფორმაში იქნებიან... ძალიან ბევრი ფეხბურთელია ნასული საქართველოდან. რა თქმა უნდა, ნაკრებში ყველა მათგანს ვერ უხმობ. ლაპარაკია სულ 18-20 ფეხბურთელზე, რომელთაგან 11 სასტარტო შემადგენლობაში იქნება... ახლავე ვაცხადებ - ნაკრებში ფეხბურთელების გამოძახებისას ვიქნები მაქსიმალურად ობიექტური და სამართლიანი. ვერავინ იტყვის - ესა და ეს მოთამაშე ნაკრებში ამა თუ იმ მიზეზის გამო გამოიძახესო. თუ ლეგიონერზე უკეთეს ფორმაში იქნება, ბუნებრივია, საქართველოს ჩემპიონატის მოთამაშეს მიენიჭება უპირატესობა. მოკლედ, ასე იქნება...

**- მწვრთნელთა ორი კატეგორია არსებობს - პირველი, რომელსაც თავისი ტაქტიკა აქვს და ცდილობს, ის გუნდს მოარგოს. მეორე კი პირიქით, ტაქტიკურ ვარიანტს იმის მიხედვით ირჩევს, რის საშუალებასაც ფეხბურთელთა კონტიგენტი აძლევს. თქვენ რომელ კატეგორიას მიეკუთვნებით? საქართველოში ეს ბევრმა არ იცის...**

- ბუნებრივია, ყველა მწვრთნელს თავისი ხედვა აქვს. მე ტაქტიკას ფეხბურთელების მიხედვით ვირჩევ. გასათვალისწინებელია ასევე მეტოქის ფაქტორიც. ყველა მოწინააღმდეგესთან ერთი და იმავე სქემით ვერ ითამაშებ.

**- ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი გუნდი 4-3-3 სქემით თამაშობდა. ქართველი მწვრთნელების უმრავლესობას საქართველოს ნაკრებისთვის ეს ტაქტიკური ვარიანტი წამგებიანად მიაჩნია. არგუმენტი ის არის, რომ დღეს არ გვყავს იმ დონის ფლანგის მოთამაშეები, ამ ტაქტიკით რომ ვითამაშოთ. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

- ამიტომაც გითხარით, რომ ტაქტიკას იმის მიხედვით შევარჩევ, თუ რა კონტინგენტი გვეყოლება, ან ვინ იქნება მეტოქე.

**- ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა მნიშვნელოვან მომენტზე გაამახვილა ყურადღება - ეროვნულ გუნდს კარგა ხანია არ მოუგია და ქვეცნობიერად, დამარცხებულის ფსიქოლოგია ჩამოუყალიბდა, ამიტომაცაა ძალზე მნიშვნელოვანი წარმატებული სტარტიო. თანამედროვე ფეხბურთში მწვრთნელი კარგი ფსიქოლოგიც უნდა იყოს. შეძლებთ დამარცხებულის ფსიქოლოგიასთან ბრძოლას?**

- ამის რომ არ მჯეროდეს, მაშინ ნაკრების მთავარი მწვრთნელიც არ ვიქნებოდი... ჟინი, მონდომება, ინტერესი, პროფესიული მიდგომა... ეს იქნება მთავარი. თამაშის დროს კი არა, ფეხბურთელებისგან ვარჯიშებზეც მაქსიმალურ მობილიზებას მოვითხოვ. ესეც აუცილებელი ფაქტორია. მოთამაშეებმა უნდა დამანახვონ, რომ საქმეს სერიოზულად უდგებიან და სავსე ტრიბუნების წინაშე, ქვეყნის ღირსების დასაცავად რომ გავლენ, წარმატებისთვის ყველაფერს გააკეთებენ.

**- დებიუტი 3 მარტს გაქვთ. რამდენად გეყოფათ დრო საიმისოდ, რომ გუნდი წარმატებული სტარტისთვის მოამზადოთ?**

- ზოგან სეზონი ახლა განახლდა, ზოგ ქვეყანაში რამდენიმე კვირაში ან თვეში დაიწყება. შესაბამისად, გადაჭრით ვერავინ იტყვის, რომ ყველა ფეხბურთელი, ვისაც 3 მარტს თამაში მოუწევს, 100 %-ით მზად იქნება. მოთამაშე-



ები არ იქნებიან იმ დონეზე, როგორც ჩვენ გვინდა და ვითხოვთ, მაგრამ ესეც მესმის. ამ პერიოდში ყველა გუნდი ამ პრობლემის წინაშე დგას და ჩვენც არ ვართ გამონაკლისი. მარტში ეს ძნელია, მაგრამ მომდევნო მატჩებში უკვე სრულ მზადყოფნას მოვითხოვ. მართალია, ესტონეთთან ამხანაგური მატჩი გვაქვს, მაგრამ ეს თამაში უნდა მოვიგოთ. გვინდა, 2010 წელი მოგებით დავიწყოთ.

**- რამდენი ამხანაგური მატჩი იქნება საკმარისი, რომ სექტემბრისთვის შესარჩევ ციკლს მზად შეხვდეთ?**

- რაც მეტი, მით უკეთესი. ფიფას უკვე გამოყოფილი აქვს კონკრეტული თარიღები და ვეცდებით, ეს დღეები მაქსიმალურად გამოვიყენოთ... 7 თებერვალს წილისყრაა და როგორც მეტოქეებს გავარკვევთ, ამხანაგური მატჩებისთვის სპარინგპარტნიორების შერჩევას ამის შემდეგ დავიწყებთ.

**- ეროვნული ნაკრების ყოფილმა თავკაცმა იოჰან ბოსკამპმა, ფეხბურთელების გაცნობის მიზნით, საქართველოს ჩემპიონატის მოთამაშეები შეკრიბა, ორ გუნდად დაყო და ერთმანეთის წინააღმდეგ ათამაშა. ზაფხულში ყველა ფეხბურთელი შვებულებაშია და ამ ტიპის მატჩის ჩატარებას თქვენც ხომ არ გეგმავთ?**

- ბოსკამპის მესმის, მაგრამ ჩემი აზრით, მოთამაშეებს 2-3 კვირა აქვთ დასასვენებლად და ეს პერიოდი მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ძალების აღსადგენად. შეკრებებსა და მომზადებას თავისი დრო აქვს.

**- ყენია, ანანიძე, მჭედლიძე... რამდენიმე ფეხბურთელია, რომლებიც ეროვნულ გუნდში კი თამაშობენ, თუმცა ასაკის მიხედვით მათი გამოყენება 21 და 19-წლამდელთა ნაკრებებშიც შეიძლება. ამ მოთამაშეების საკითხს როგორ გადაწყვეტთ?**

- გააჩნია, ამა თუ იმ კონკრეტულ მომენტში რომელ ნაკრებს უფრო სჭირდება ესა თუ ის ფეხბურთელი. ვარირების საშუალება გვექნება. ოღონდ, აქვე უნდა ვთქვა, რომ შესარჩევის თამაშისას ეს ფეხბურთელები ჩვენთან იქნებიან.

**- ნატურალიზაციის თემაზეც მინდა გკითხოთ. ხედავთ თუ არა უცხოელი ფეხბურთელების „გაქართველებისა“ და ეროვნულ ნაკრებში მათი თამაშის საჭიროებას?**

- ნატურალიზაციას საფრანგეთმა, გერმანიამ, იტალიამ და სხვა ნაკრებებმაც ვერ აუარეს გვერდი. თუ ვინმე უცხოელი საქართველოს მოქალაქეობას მიიღებს, კარგად წარმოჩნდება და დავინახავთ, რომ ეროვნულ გუნდს წაადგება, რა თქმა უნდა, დავაკვირდებით და თუ დაიმსახურებს, ვათამაშებთ კიდეც. სიმართლე გითხრათ, ამ თემაზე სერიოზულად არავისთან მილაპარაკია... ჩემი ხელმძღვანელობით ნაკრებს ჯერ ერთი მატჩიც არ უთამაშია და ნატურალიზაციაზე ფიქრი ადრეა.

**- ნაკრების შედეგებს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მოსამზადებელი პირობები. ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ სამუშაოები მიმდინარეობს და მოესწრება თუ არა მისი მისი დასრულება 3 მარტის მატჩისთვის?**

- ფედერაციის პრეზიდენტსა და სპორტის ხელმძღვანელებს საგანგებოდ ველაპარაკე ამაზე და მითხრეს, რომ 25 თებერვლისთვის „ბასაში“ სავარჯიშო მოედანი მზად იქნება.

**- მანამდე კი წილისყრის მოლოდინში ვართ...**

- რაკი მეხუთე კალათაში ვართ, ბუნებრივია, მეტოქეებად გამორჩეულ გუნდებს ველოდებით. თუმცა მოგეხსენებათ, თანამედროვე ფეხბურთში ფავორიტი ყოველთვის ვერ იგებს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ ჩვენი ფეხბურთელების პლუსები მაქსიმალურად გამოვიყენოთ და ყველანაირად შევეცადოთ სასურველი შედეგის მიღწევას.

**- მას მერე, რაც ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნეთ, გულშემატკივარს იმედი დაუბრუნდა. ჩანს, რომ ქომაგები სასიკეთო ცვლილებების მოლოდინში არიან. რა შეგიძლიათ, უთხრათ გულშემატკივარს?**

- კარგად ვიცი, თუ როგორ უყვართ ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთი. შესაბამისად, ვგრძნობ, თუ რას განიცდიდა გულშემატკივარი ამდენი წარუმატებლობის გადამკიდე. თან ჩვენს ქომაგებს ხომ კარგად ესმით ფეხბურთი, მათ ვერ მოატყუებ. ისინი კრიტიკულები არიან, მაგრამ ერთგულებაც არ აკლიათ. თავადაც ვიყავი ფეხბურთელი და იმ ხალხის თვალწინ მიწევდა თამაში, ვის წინაშეც ახლა ჩემმა გუნდმა უნდა ითამაშოს... ფეხბურთი ხალხის, გულშემატკივრის გარეშე არ არსებობს. ქომაგი ჩვენი განუყოფელი ნაწილია. ჩვენ ერთი ჯაჭვის სხვადასხვა რგოლი ვართ და ყველანი ქართულ ფეხბურთს ვემსახურებით... კი ბატონო, გულშემატკივრები სიკეთის მოლოდინში არიან, მაგრამ მეც ვთხოვდი მათ ერთ რამეს - ეს ჩვენი ნაკრებია, დაუჭირეთ მხარი ამ ბიჭებს და ერთად შევეცადოთ, რომ ჩვენი ფეხბურთი მძიმე მდგომარეობიდან გამოვიყვანოთ, წარუმატებლობები წარმატებებით შევცვალოთ...

**დავით ცაბაძე**

ამხანაგური მატჩი



გიორგი გაბედავა

# ტობოლმა ისევ მოგვიგო

უმაღლესი ლიგისთვის მზადების პროცესში „გაგრამ“ ანთალიაში მორიგი საკონტროლო შეხვედრა გამართა. ამჯერად, ჩვენი კლუბის მეტოქე ყაზახეთის „ტობოლი“ გახლდათ, რომელმაც „ზესტაფონს“ 5:0 მოუგო. მართალია, ჩვენი ფეხბურთელები იმუქრებოდნენ, რომ ქართველთა ნაგებისთვის ჯავრს იყრიდნენ, მაგრამ...

26 იანვარი. ანთალია.
ამხანაგური მატჩი

**გაგრა-ტობოლი 2:3**

გოლები: 0:1 იბრაჰიმი (8), 0:2 ხარაბარი (12), 1:2 გაბედავა (25), 1:2 გაბედავა (40), 2:3 შკოტი (83)

გაგრა: თევდორაძე (63. სტურუა) - ქორთუა (46. კალანდაძე), ჭაავა, თ. შალიკაშვილი (46. გიგაური), ნ. ჯიშკარიანი - პავლიაშვილი (46. ქურდობაძე), ჩხეტიანი, ჯ. ჯიშკარიანი (79. გულორდავა), ოქრიაშვილი (72. ი. შალიკაშვილი), და სილვა - გაბედავა (75. რობერტო).

გაძევება: ოქრიაშვილი (72)

„გაგრას“ პრესსამსახურის უფროსის **მიხეილ აფხაზავას** ინფორმაციით, თავდაპირველად უპირატესობას ყაზახი ფეხბურთელები დაეუფლნენ და უკვე მეთორმეტე წუთისთვის ორბურთიანი უპირატესობით დაწინაურდნენ. იბრაჰიმმა და ხარაბარმა საკუთარი მომენტებით ისარგებლეს.

ამის შემდეგ მოწინააღმდეგის დაცვას მოსვენებას არ აძლევდა „გაგრას“ ლიდერი **გიორგი გაბედავა**. მან იმდენი მოახერხა, მეორმოცე წუთისთვის ანგარიში გაათანაბრა. გიორგიმ არა მხოლოდ დუბლი შეასრულა, საერთოდაც, კარგად გამოიყურებოდა.

მეორე ტაიმი დაძაბულად მიმდინარეობდა და ორივე გუნდს თავის გამოჩენის შანსი მიეცა, მაგრამ მე-80 წუთზე კუთხურის გათამაშების შემდეგ, „გაგრას“ მცველებმა შეცდომა დაუშვეს და **შკოტმა** შეხვედრის საბოლოო ანგარიში „ტობოლის“ სასარგებლოდ დაასრულა.

მართალია, „გაგრასთან“ და „ზესტაფონთან“ ყაზახებმა ამხანაგური შეხვედრა მოიგეს, მაგრამ „ტობოლთან“ წაგება საერთო ანგარიშით 2:7 მაინც მეტისმეტად მტკივნეულია. ქართული ფეხბურთი გაცილებით სხვა სიმაღლის იყო, ვიდრე დღევანდელი, როდესაც ყაზახებთან მოგებაც სანატრელი გაგვიხდა.

ის, რომ ავსტრიელებს ბოლო დღეებში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები და „ზესტაფონი“ ღირსეულად ეთამაშა, დამაიმედებელია, მაგრამ ყაზახები ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას გვახსენებენ.

დაბოლოს: „გაგრას“ თემას მარცხენა მცველის, **ჯიმი გაბუნიას** ამბავით გაგვაგრძელებთ. თურქეთში რამდენიმე ფეხბურთელის ჩაუსვლელობის გამო, **ოთარ გაბელიამ** იქვე სიდეში მყოფი „გაგრას“ ფეხბურთელები, **რეზო თევდორაძე, თორნიკე ოქრიაშვილი** და გიორგი გაბედავა გამოიძახა. თუმცა 26 იანვარს ვენის „რაპიდთან“ არც ერთ მათგანს არ უთამაშია და მოულოდნელად, განაცხადში მხოლოდ ერთი გაგრელი, ისიც ბოლო მომენტში დაამტებული ჯიმი გაბუნია ვიხილეთ. შეხვედრა ფრედ - 1:1 დასრულდა და როგორც შევიტყვეთ, დავალებებს გაბუნიამ საკმაოდ კარგად გაართვა თავი.

ეს „გაგრას“ მარცხენა მცველისთვის სანაკრებო დებიუტი გახლდათ და ფეხბურთელმა მიწვევითა და დებიუტით კმაყოფილება ვერ დამალა. მისი კომენტარი „გაგრას“ პრესსამსახურმა გაავრცელა.

„ძალიან გამიხარდა, როდესაც ოთარ გაბელიამ ნაკრებში გამომიძახა. ორმაგად ბედნიერი ვარ იმით, 29 იანვარს შვეიცარიული „თუნის“ წინააღმდეგ მატჩისთვისაც რომ გამომიძახა. ფეხბურთელი საკუთარი თამაშით კმაყოფილი არ უნდა იყოს. ასე ვარ მეც. უფრო მეტი შემიძლია, უფრო მეტი მომეთხოვება და ვიცი, რომ კიდევ მოვუმატებ, მაგრამ არა მგონია, „რაპიდთან“ ურიგოდ მეთამაშოს. იმედი მაქვს, ოთარ გაბელია ნდობას კიდევ გამომიცხადებს და საქართველოს ნაკრების მაისურს არ შევარცხვენ. ჩვენ მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ ავსტრიელებმა მაინც გაგვიტანეს. ეს არაფერია, „თუნს“ აუცილებლად მოვუგებთ“, - ასეთი თავდაჯერებული განცხადება გააკეთა ფეხბურთელმა.

**მერაბ მამულაშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# სპარტაკი კიდევ ერთ ქართველს სინჯავს



საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებისა და „საბურთალოს" თავდამსხმელი **დათი ხოჭოლავა** მოსკოვის „სპარტაკში" ვარჯიშობს. როგორც ცნობილია, ოქტომბერში რუსეთის „სახალხო" გუნდის სელექციონერები შოტლანდიაში 17-წლამდელთა ნაკრებების შესარჩევი ციკლის მატჩებს დაესწრნენ და ჩვენი გუნდიდან ოთხი ფეხბურთელი მიიწვიეს - **არჩილ ტვილდიანი, ლევან კოშაძე, ვაკო ყაზაიშვილი** და **დაჩი ხოჭოლავა.** გასული წლის ბოლოს ისინი მოსკოვის „სპარტაკში" გასინჯეს, მაგრამ მათი საკითხი ვერ გადაწყდა.

*„ხოჭოლავა მოსკოვის „სპარტაკს" 16 იანვარს თურქეთში შეუერთდა. რამდენიმე საკონტროლო შეხვედრაშიც მიიღო მონაწილეობა და როგორც ვიცით, მწვრთნელებისა და ხელმძღვანელობის მოწონებაც დაიმსახურა. მართალია, ის 16 წლისაა, მაგრამ დუბლშემადგენლობაში წაიყვანეს და არა - ასაკობრივ გუნდში. დათი ორიოდე დღით დაბრუნდება თბილისში, რის შემდეგაც „სპარტაკთან" ერთად იტალიაში, ვიარეჯოს ტრადიციულ და პრესტიჟულ ტურნირში იასპარეზებს. როგორც ვიცი, ამ ტურნირში ისეთი გრანდების დუბლშემადგენლობები მონაწილეობენ, როგორებიც არიან „ინტერი", „მილანი", „ბაიერნი", „აიაქსი" და ასე შემდეგ. სწორედ ვიარეჯოს ტურნირის შემდეგ გადაწყდება ხოჭოლავას საკითხიც. რაც შეეხება იმ სამ ფეხბურთელს, რომლებიც მასთან ერთად გასინჯეს, მათ ისევ აკვირდებიან, მაგრამ ამჟამად ფეხბურთელი იმ პოზიციაზე აიყვანეს, სადაც გაძლიერება ყველაზე მეტად სჭირდებოდათ",* - გვითხრა „საბურთალოს" გენერალურმა დირექტორმა **კახა ჭუმბურიძემ.**

მანვე კიდევ ერთი სიახლე გაგვიმხილა - „საბურთალოს" მცველი **მამუკა კობახიძე** საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა „ზესტაფონმა" ძირითად შემადგენლობაში აიყვანა და ესპანურ შეკრებაზეც იახლა. კობახიძემ იქ სადებიუტო შეხვედრაც ჩაატარა. დანარჩენი მერე გაირკვევა.

**მერაბ მამულაშვილი**

ამბები

## კლიმიაშვილი სრულად ათამაშეს

თურქულ შეკრებაზე მყოფმა ოდესის „ჩერნომორეცმა", რომლის შემადგენლობაშიც სინჯებს **ირაკლი კლიმიაშვილი** გადის, მორიგი საკონტროლო მატჩი ყაზახური „თარაზის" წინააღმდეგ ჩაატარა და 2:1 გაიმარჯვა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი, რომელიც წინა შეხვედრაში დაასვენეს, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ანდრეი ბალმა** ამჯერად ძირითად შემადგენლობაში გაამწესა და შეხვედრის ბოლომდე ჩამთავრების საშუალებაც მისცა. „ჩერნომორეცის" ოფიციალურ ვებგვერდზე მატჩის მცირე მიმოხილვაა გამოქვეყნებული და ამიტომაც უცნობია, როგორი შთაბეჭდილება დატოვა კლიმიაშვილმა. ცნობისათვის, მას საგოლე კომბინაციებში მონაწილეობა არ მიუღია.

ისე კი, ეს ირაკლის მიერ „ჩერნომორეცის" შემადგენლობაში ჩატარებული უკვე მესამე მატჩია და ერთი რამ უდავოა - სადებიუტო შეხვედრაში ცუდად რომ ეთამაშა, ამდენ შანსს აღარ მისცემდნენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ კლიმიაშვილს კიდევ მიეცემა საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალება. ოდესელები მორიგ ამხანაგურ მატჩს 29 იანვარს გამართავენ ბულგარული „ბანსკოს" წინააღმდეგ, 30 იანვარს კი უკრაინაში დაბრუნდებიან.

## სომხები გვეწვევიან

სომხური პრესის ცნობით, სომხეთის უმაღლესი ლიგის დებიუტანტი დილიჟანის „იმპულსი" თებერვლის პირველ რიცხვებში თბილისში ჩამოსვლასა და რომელიმე აქაურ გუნდთან საკონტროლო მატჩის ჩატარებას აპირებს. „იმპულსის" პრეზიდენტის, **ტიგრან აკოპიანის** თქმით, მათ სომხეთში თბილისის „დინამო" ჰყავდათ დაპატიჟებული, მაგრამ უარი მიიღეს.

## ყველა, რევიშვილის გარდა

უკრაინულ „ობოლონთან" ჩატარებულ ამხანაგურ შეხვედრაში მახაჩყალის „ანჟი" 0:1 დამარცხდა. „ანჟის" მრავალრიცხოვან ქართველთაგან ამ მატჩში მონაწილეობა მხოლოდ **ნუკრი რევიშვილს** არ მიუღია. **ომარ თეთრაძის** გუნდის ძირითად შემადგენლობაში ითამაშეს **გიორგი ნავალოვსკიმ, გოჩა ხოჯავამ, ოთარ მარცვალაძემ** და **რევაზ ბარაბაძემ,** რომლებიც შესვენებისას შეცვალეს. მეორე ტაიმიდან კი თამაშში **კახა ალადაშვილი, ზურაბ არზიანი** და **გიორგი ილურიძე** ჩაერთნენ. მორიგ ტესტმატჩს „ანჟი" 30 იანვარს გამართავს რუმინულ „პოლიტეხნიკასთან".

## სამტრედიამ დარბაზში გადაინაცვლა

უამინდობამ არაერთ ქართულ კლუბს ჩაუშალა სპარინგ-მატჩი და გამონაკლისი არც „სამტრედიაა". იმერლებს გუშინ „ბათუმთან" უნდა ეთამაშათ, მაგრამ ცუდი კლიმატური პირობების გამო, ეს ვერ მოხერხდა.

ამასობაში, „სამტრედიამ" უკვე დაასრულა ურეკული შეკრება და შინ დაბრუნდა. სამტრედიის სტადიონი თოვლითაა დაფარული და ამიტომაც **ლევან ანჯაფარიძე** და **მამუკა მესიაჩენკო** ფეხბურთელებს დარბაზში ავარჯიშებენ.

## ივანიშვილი ბაზელის წინააღმდეგ

„ბაზელთან" ჩატარებულ საკონტროლო შეხვედრაში „ვოლენის" ქართველი ფორვარდი **გიორგი ივანიშვილი** ძირითად შემადგენლობაში დააყენეს. ივანიშვილი 75-ე წუთზე შეცვალეს, მატჩი კი „ბაზელის" გამარჯვებით, 2:1 დასრულდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ერთი გადაწყვეტილების გამო...

# ის, რაც ფეხბურთს სჭირდება

## ფირცხალავას არაორდინარული ნაბიჯი და ტრადიცია

*„უპირველესად, მსურს, მადლობა მოვუხადო ლიგის წინა ხელმძღვანელებს, რომლებმაც ბევრ სასიკეთო წამოწყებას ჩაუყარეს საფუძველი. არაერთი საინტერესო პროექტი განხორციელდა, ზოგიც ვერ მოხერხდა, მაგრამ ამ სასიკეთო საქმეებს მათ არავინ დაუვიწყებს. ვინც ქართული ფეხბურთისთვის ერთ აგურს მაინც დადებს, იმას ყოველთვის მადლობას ვეტყვი. თუნდაც წლის შემაჯამებელი შოუ-სალამო „დია", რომელიც ძალიან კარგი პროექტია, მაგრამ დავფიქრდებით, შემდგომში ის ამ ფორმატით გავმართოთ თუ სახეცვლილი ვარიანტით. რაც შეეხება ძველ თანამშრომლებს, მათ შორის, გენერალურ მდივანს, ეს ხალხი მუშაობს და ახალი ვინ უნდა დავნიშნოთ? ისინი საქმიანობას ჩვეულებრივ გააგრძელებენ".* ეს იყო პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტის პირველი საჯარო განცხადება. **გია ფირცხალავამ** დაიწყო არა ნეგატიურით, არამედ, პოზიტიურით - წინამორბედის დაფასებითა და მისი ღვაწლის აღნიშვნით.

ეს რაღაც სიახლეა, მაგრამ კაცმა რომ თქვას, რატომაც არა? ახალი პრეზიდენტი იმისთვის მოდის, რომ ძველს აჯობოს. თუმცა იდეალური მართლაც არაფერია. ყველა აღიარებდა, რომ პროფლიგის ძველი ხელმძღვანელობა, შესაძლებლობის ფარგლებში, აქტიური იყო და ყოველ წელს „ნოუ ჰაუებით" გვანებივრებდა, თუმცა ცხადია, მინუსი მასაც ჰქონდა. მშვენიერი პროექტი იყო მედიაკომპანია „კოლხიდა", მაგრამ მის მეპატრონეს ფინანსურად გაუჭირდათ და კლუბებს საფუძვლიანი პრეტენზიები გაუჩნდათ - პროექტები კარგია, მაგრამ დაპირებულ თანხებს რატომ ვერ ვიღებთო? სამწუხაროდ, ამის მიზეზი რუსეთთან ომი და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიც იყო, რამაც „კოლხიდა" უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო.

ეს სამი მაგალითი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ სამივე პრეცედენტია - პროფლიგის ჩამოყალიბება, მისი საქმიანობა, მედიაკომპანია „კოლხიდა" და მისი პროექტები, პლუს ამას, ლიგის ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ ძველებისადმი მადლობის გადახდა, მათი პროფესიონალიზმის დანახვა და სამსახურის შენარჩუნება. ლაპარაკია ყოფილ გენერალურ მდივან **პაატა ბურჯალიანსა** და საშეჯიბრო განყოფილების ხელმძღვანელ **ნოდარ კაკულიაზე.**



ნოდარ კაკულიას დარი პროფესიონალები ქართულ ფეხბურთს კიდევ დიდხანს დასჭირდება

საქართველო პატარა ქვეყანაა, პროფესიონალებს ყველა სფეროში სანთლით ვეძებთ, მაგრამ ფაქტია - ყოველი ახალი ხელმძღვანელის მოსვლა ძველების, თუნდაც პროფესიონალების წასვლას გულისხმობს. სამწუხაროდ, ეს იმდენად ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, უკვე აღარავინ აპროტესტებს.

ფირცხალავა სწორედ ამ მავნე ტრადიციას გაემიჯნა და სიმართლე გითხრათ, გაგვაკვირვა კიდეც. მან სამსახურში დატოვა გენერალური მდივანი ბურჯალიანი და საშეჯიბრო განყოფილების ხელმძღვანელი კაკულია. სხვათა შორის, დაახლოებით ასეთივე ვითარებაა ფეხბურთის ფედერაციაშიც, სადაც გენერალურ მდივნად **რევაზ არველაძე,** ხოლო ტექნიკურ დირექტორად **ნიკა ჩხეიძე** დატოვეს.

დიახ, რატომაც არა?! რა საჭიროა ყველა სფეროში ყოველ წელს რევოლუცია? თეთრ სახლში უკვე 44-ე პრეზიდენტმა შეაბიჯა, მაგრამ იქაური პერსონალი არჩევნების შემდეგ რადიკალურად არ იცვლება. ასე ხდება ნორმალურ ქვეყნებში და დროა, ჩვენც ამ ქვეყნებს დავემსგავსოთ - იცვლება მმართველი, მაგრამ არა - ჩინოსანთა წრე. „ჩინოსანი" საქართველოში საგინებელ სიტყვად იქცა, როცა მასზე უნდა იდგეს ნებისმიერი სამსახური და ქვეყანა. რაც მეტი პროფესიონალი ჩინოსანია, მით უფრო ხარისხიანად იმართება ესა თუ ის სფერო და მთლიანობაში ქვეყანაც უკეთ მუშაობს. ჩვენ კი ნებისმიერ სფეროში ხარისხიან მართვას, მთლიანობაში კი ხარისხიანი ქვეყნის აშენებას ვესწრაფვით, მაგრამ... მაგრამ რაღაც გვაკლია.

სხვა თუ არაფერი, წლების განმავლობაში დაგროვილი ცოდნა-განათლების გამოყენება ისევ და ისევ ქვეყნის ინტერესებშია და არა - ყოველ ნახევარ წელიწადში ახალ-ახალი კადრების მოყვანა და ძველი ებრაული წყევლის საკუთარ თავზე გამოცდა - შენი ქვეყანა გამოუცდელს ემართოსო.

ცოდნა და გამოცდილება ის საგანძურია, რომელიც ქართულ ფეხბურთს ჰაერივით სჭირდება, მაგრამ ამის კატასტროფული დეფიციტია. ცოტა სხვაგვარი მაგალითია, მაგრამ საკუთარი ხალხის გაფრთხილების ნიმუშად გამოდგება ბევრი ქვეყანა და კლუბი. „მილანი" საკუთარ სახეებს უფრთხილდება და ცდილობს, კარიერის შემდეგ თავისთან დატოვოს, რადგან **პაოლო მალდინი** ნებისმიერ კომპანიას უფრო დააჯერებს, ვიდრე მარკეტინგის წესიერი, მაგრამ უცნობი თანამშრომელი. იმ მარკეტოლოგს მის გვერდით აქვს ფასი, თორემ ცალკე, შესაძლოა, ზედ არ შეხედონ.

პროფესიონალი კი საქმეს რომ სჭირდება, ფეხბურთის ფედერაციაში **რევაზ შენგელიას** მაგალითიც კმარა - ფედერაციამ რამდენი თავკაცი შეიცვალა, მაგრამ ისეთი წესიერი და პროფესიონალი კაცი, გზა ლაქიაობით რომ არ გაიკვალა, ყველას დასჭირდა. იმავეს ვიტყვით **გია იმნაძეზე** - თბილისის „დინამომ" არაერთი მეპატრონე, პრეზიდენტი თუ მმართველი გამოიცვალა, მაგრამ ადმინისტრატორი იმნაძე კლუბში რჩება და საქმეს „ხუთიანზე" აკეთებს. აბა, მოიყვანოს ახალმა მეპატრონემ „თავისიანი" - ამ აწყობილი საქმიდან არაფერი დარჩება.

ესაა წლების გამოცდილება და ცოდნა, რომლის გარეშეც ქართული ფეხბურთი ვერ განვითარდება. ამიტომაც ვერ ვითარდება და კრიზისი დაგვიდგა. თურაშაულის პატრონები ტყეში ვეძებთ პანტას. საქართველოს ისეთი მცოდნე და უეფას ზედა ეშელონებზე გასული ხალხი ჰყავს, როგორებიც არიან **მერაბ ჟორდანია, დავით პეტრიაშვილი** და **მამუკა კვარაცხელია,** მათ კი ახლოს არ ვიკარებთ. გვერდზე რომ გადავდოთ მათ მიმართ პიროვნული დამოკიდებულება, ქართულ ფეხბურთს მათი ცოდნისა და კავშირების გამოყენება აწყობს თუ „თამაშგარეში" დატოვება? ჟორდანიამ უეფას აღმასკომში მოხვედრის ჩაშლილ შესაძლებლობაზე ღიად ილაპარაკა და მართლაც გასაოცარია, უეფას ელიტაში ჩვენებურის მოხვედრა რომელ ქართველს არ აძლევდა ხელს? ეს ხომ ქართული ფეხბურთის ინტერესებში იყო?!

თუნდაც სტადიონების ლიცენზირების საკითხი პეტრიაშვილსა და კვარაცხელიას დაზეპირებული აქვთ და როცა საქმე-საქმეზე მიდგება, მათ ნაკლებად ეკითხებიან. ამით ვინ ზარალდება? ასე იყო კარგა ხანს **გოჩა ალადაშვილიც,** ბრაზილიაში მცხოვრები ერთადერთი ქართველი მწვრთნელი, რომელიც „ატლეტიკო პარანენსეში" პოსტზე დანიშნეს და აღმოსავლეთ ევროპასთან ურთიერთობა ჩააბარეს. წლების განმავლობაში მისი აზრითა და პარტნიორობით არავინ დაინტერესებულა, მაშინ, როცა რუსები და უკრაინელები აწუხებდნენ...

ჩვენ გაჭირვებული, ომგადატანილი ქვეყანა ვართ, ერთიანობა, ერთმანეთის გატანა გვჭირდება და არა - გათიშულობა, ისეთი სიყვარული, რუსეთის აგრესიის დროს ერთხელ მაინც რომ გამოვავლინეთ...

**მერაბ მამულაშვილი**

გურია



გურიას პოტენციური ახალწვეულები

# ოთხი აფრიკელი ისინჯება, მეხუთესაც ელიან

## გურულებმა კამერუნელები თოვლითა და საჭმელებით გააკვირვეს

ბოლო პერიოდში ლანჩხუთის „გურიასთან" დაკავშირებით აშკარად დამაიმედებელი ინფორმაციები ვრცელდება. კლუბი ოთხეულში მოხვედრისა და უმაღლესი ლიგის საგზურისთვის იბრძვის. ლანჩხუთელებს იმედი აქვთ, რომ ზვიად სიჭინავა (როგორც ამბობენ) პირველი ლიგიდან უმაღლესში აღზევების საშუალებას ორის ნაცვლად ოთხ გუნდს მისცემს. თუმცა გურულები ორ გუნდში მოხვედრასაც შეეცდებიან...

ამჟამად გუნდში სამ ათეულამდე მოთამაშე ისინჯება, სულ მალე კლუბი მშობლიურ გრიგოლეთის ბაზაზე გადავა. ახალწვეულებს შორის მნიშვნელოვანია, რომ გურულთა კლუბში 4 კამერუნელი ფეხბურთელი უკვე ისინჯება, ერთს კი უახლოეს დღეებში ელიან. ინფორმაცია, რომ 5 შავკანიანი ფეხბურთელი ლანჩხუთურ კლუბში ჩაირიცხებოდა, რამდენიმე კვირის წინ გავრცელდა. რაც ყველაზე საინტერესოა, მათი დაფინანსება ბიუჯეტს და კლუბს არ დააწვება, რადგან აფრიკელ მობურთალებს გასამრჯელოს ის კომპანია გადაუხდის, რომელიც ფეხბურთელების „გურიასთან" დაკავშირებასა და კლუბში მოწყობას ცდილობს. „გურია" მათ ტრამპლინად სჭირდებათ, რადგან შემდეგ უკეთეს კლუბებში მოხვდნენ - „გურია" მაინც სახელიანი კლუბია და საწყის ეტაპზე უცნობ ფეხბურთელებს, რა თქმა უნდა, უმაღლესლიგელი კლუბები არ მიიღებენ. აფრიკელებს პოსტსაბჭოთა სივრცეში თამაში სურთ, რა თქმა უნდა, მათი გაყიდვის მოსურნე კომპანია ფეხბურთელებს მუდამ არ შეინახავს და მათი გაყიდვით დანახარჯის ამოღებასა და მოგებას გეგმავენ. ალბათ, „გურიაც" თავისას მიიღებს. მთლად ცუდი მოთამაშეები რომ იყვნენ, მათზე თანხას არავინ დახარჯავდა, რადგან თუ უვარგისები არიან, არ გაიყიდებიან - აი, რაზე ლაპარაკობდა საქმეში ჩახედული ხალხი ჯერ კიდევ ორიოდ კვირის წინ...

დღეს კი, როგორც ვთქვით, კლუბში უკვე 4 კამერუნელია. თუ ეს ტრანსფერები შედგა, ეს იქნება „გურიის" ისტორიაში პირველი შემთხვევა, როცა მის მაისურას შავკანიანი მოთამაშე მოირგებს. არადა, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ლანჩხუთური კლუბი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელშიც ლეგიონერები ჩაირიცხნენ - 1990 წლის 27 მაისს, როცა ევგრაფ შევარდნაძის სახელობის სტადიონზე „გურია" ვილნიუსის „ჟალგირისს" ამხანაგურ შეხვედრაში გაეჯიბრა, ლანჩხუთელთა რიგებში 2 ბალტიისპირელი - **რიმას მაჟეიკასი** და **რობერტას ფრიდრიკასი** ჩაირიცხა. „გურიამ" კი ის თამაში 3:0 მოიგო და ერთი გოლი ყოფილ გუნდს სწორედ ფრიდრიკასმა გაუტანა...

ახლა კი უფრო კონკრეტულად მათზე, რომლებიც დღეს „გურიაში" ისინჯებიან: **ერიკ დონალდ ნტმემე**, დაბადებული 1990 წლის 4 ოქტომბერს, ნახევარმცველი (გამთამაშებელი); **რონალდ ეპაკუა მოვალეუ**, დაბადებული 1989 წლის 19 აგვისტოს, ფორვარდი; **სტივენ ნგოუ ესემე**, დაბადებული 1991 წლის 3 ივნისს, ფლანგის ნახევარმცველი; **ნესტორ სევერინ კონო ბიკოლო**, დაბადებული 1991 წლის 1 იანვარს, საყრდენი ნახევარმცველი.

ოთხივე ფეხბურთელი კამერუნის ერთ-ერთ წამყვან ქვედალიგოსანს, „ურაგანს" წარმოადგენს. მათი მენეჯერია **ფოსელ ოსვალდ ნკონო**. გუშინწინ კამერუნელები ვარჯიშზე პირველად გამოჩნდნენ, გუშინ კი თავიანთ ცხოვრებაში პირველად ნახეს თოვლი, რასაც, ცხადია, ოთხივე დიდად გაუკვირვებია. საერთოდ, აფრიკელები ცივ ამინდში ვარჯიშებს გაურბიან, თუმცა კამერუნულმა ოთხეულმა ადგილობრივებთან ერთად, სრულად ივარჯიშა. მათ უკვე ასწავლეს რამდენიმე ქართული სიტყვა, მათ შორის - „თოვლი", „გამარჯობა", „როგორ ხარ", „მადლობა", „ნახვამდის", „ძამა"... რაც შეეხება საჭმელებს, როგორც გვითხრეს, უკვე მწვადიც დააგემოვნეს, ხინკალიც და ხაჭაპურიც. კამერუნელები ქალაქის ცენტრში, სპეციალურად მათთვის დაქირავებულ ბინაში ცხოვრობენ.

როგორც „გურიის" მთავარმა მწვრთნელმა **გია ჩხაიძემ** გვითხრა, ჯერჯერობით კამერუნელებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არ მიუღიათ, რადგან ისინი ჯერ საქმეში უნდა ნახონ. ორი დღეა, ამინდი გაფუჭდა და ფეხბურთელები მხოლოდ ვარჯიშით შემოიფარგლებიან. *„ცუდ შთაბეჭდილებას არ ტოვებენ, მოხარული ვიქნებით, თუ ეს ბიჭები გუნდს გააძლიერებენ"* - გვითხრეს „გურიის" სამწვრთნელო შტაბში.

მენეჯერი კი გვარწმუნებს, რომ „გურული" კამერუნელები პერსპექტიული ფეხბურთელები არიან. რაც შეეხება „ლელოს" კითხვას, ხომ არ აპირებენ ისინი საქართველოს მოქალაქეობის მიღებას, მენეჯერმა ასე გვიპასუხა:

*„ეს იოლი საქმე არ არის და დამოკიდებული იქნება კლუბსა და ფედერაციის გადაწყვეტილებაზე. თუ ფეხბურთის ფედერაცია დარწმუნდება, რომ ისინი ნაკრებს გამოადგებიან, თუ სურვილი იქნა, შეიძლება ორმაგ მოქალაქეობაზე ლაპარაკიც. მათგან კამერუნის ნაკრებში არც ერთს არ უთამაშია, ასე რომ, ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ იქნება".*

„ლელო" ესაუბრა კლუბის პრეზიდენტ **კახა ებრალიძესაც** (რომელიც ამავდროულად რეგიონული ფედერაციის თავკაცია). მისი თქმით, გადაწყვეტილი არაფერია: *„ჩვენ შემოგვთავაზეს ეს ფეხბურთელები. ვნახავთ საქმეში და თუ გამოგვადგებიან, დავიტოვებთ. ჯერ პირობებზე შეთანხმებულები არ ვართ. ამის შესახებ მთავარ მწვრთნელთან ერთად გადაწყვეტილებას მას შემდეგ მივიღებთ, რაც მათ თამაშებში გამოვცდით"*, - აცხადებს ებრალიძე.

თავად კამერუნელებთან გასაუბრება უბრალო მიზეზის გამო ვერ მოვახერხეთ - თარჯიმანი არ ახლდათ. ებრალიძე დაგვპირდა, რომ ამ მხრივ აუცილებლად დაგვეხმარება.

**თომა ჩალაძე**
ლანჩხუთიდან

სატრანსფერო ზღაპრები

# სიცრუის დეტექტორი 2

**რაღა დარჩა - ერთი კვირაც, და საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატიც განახლდება. იმედია, სინოპტიკოსები „დაგვამშვიდებენ" და საფეხბურთო სამყაროს (მოთამაშეებს, მწვრთნელებს, მსაჯებს და გულშემატკვრებს ასევე ერთეულლა დარჩენილ ჟურნალისტებს) თებერვლის დასაწყისისთვის სანუგეშო ამინდს „შეგვპირდებიან"...**

მანამდე კი, ჩემპიონატში მონაწილე ათივე გუნდი მეტ-ნაკლები ინტენსივობით ხვდება მეორე და გადამწყვეტ ეტაპს. ისე, მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ქართულ საკლუბო ფეხბურთსაც გვარიანად დაარტყა: უმაღლესი ლიგის ათი გუნდიდან მხოლოდ სამმა („ზესტაფონი", „დინამო", „გაგრა") მოახერხა უცხოეთში წასვლა და შეკრების იქ გავლა. დანარჩენები კი ადგილზე ემზადებიან და ერთმანეთთან საკონტროლო მატჩებსაც ატარებენ. კიდევ კარგი, ზაქათალის „სიმურგიც" ტრადიციას არ ღალატობს და ზედიზედ მესამე წელიწადია, საქართველოში ემზადება. ჰოდა, აზერბაიჯანის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან ჩატარებული ნებისმიერი სპარინგ-მატჩი ყველა ქართული გუნდისთვის სასარგებლოა - ამ საკონტროლო და ამხანაგური შინაარსის შეხვედრების მერე ჩვენს მწვრთნელებს კიდევ რჩებათ დრო ხარვეზების გამოსასწორებლად. არადა, ეს ხარვეზები თითქმის ყველა გუნდში, იცოცხლეთ, საკმარისზე მეტია; თუმცა, როგორც წესი, ნებისმიერ მწვრთნელს, ალბათ, თავის გასამართლებელი მიზეზი (თან, რამდენიმე) „მზად ექნება": ორჯერადი ვარჯიშებიო, მძიმე დატვირთვებიო, პოტენციური თუ რეალური ახალწვეულების ერთმანეთთან შეთამაშების „მტკივნეული პროცესიო", იანვრის სუსხიო, ხელოვნურ საფარზე მიუჩვევლობაო და ასე შემდეგ...

ამ, მართლაც ზომაზე მეტ მიზეზთაგან, ჩვენი აზრით, ყველაზე პრობლემური, ალბათ, ახალი ფეხბურთელების გუნდში გასინჯვა-ჩარიცხვის საკითხი უნდა იყოს. ვინ მოთვლის, რამდენ მწვრთნელს დაუჩივლია ჩვენთან პრივატულ საუბარში: სატრანსფერო პერიოდი რომ დგება, აღარც ვიცით, სად დავიმალოთო; ხან ვინ გვირეკავს, ხან - ვინ, ჩემი ახლობლის შვილია, სხვაგან „დაჩაგრეს" და იქნებ, შენს გუნდს გამოადგესო...

ჰო, ბოლო წლებია თითქმის ყველა ქართულ გუნდში ასე ხდება; თანაც, ზოგი „მზრუნველი" ნაცნობ მწვრთნელს საკუთარი პროტეჟეს მხოლოდ გასინჯვას თუ სთხოვს, ისეთებიც არიან, კატეგორიულად... პირდაპირ გუნდში ჩარიცხვას რომ ითხოვენ! არადა, ამ მწვრთნელებსაც ხომ უნდა გავუგოთ; ბოლოს და ბოლოს, გუნდის ნაჩვენებ შედეგზე მხოლოდ ისინი არიან პასუხისმგებლები, ამ დროს კი რას ვხედავთ - დაიწყება მოსამზადებელი პერიოდი და ქართული გუნდების უმეტესობას რამდენიმე ათეული „გასასინჯი" ვითომ-ფეხბურთელი მიაშურებს-ხოლმე. ხშირად ისეთი კურიოზული სიტუაციებიც გვხვდება, როცა საკონტროლო მატჩში ერთმანეთს უმაღლესი ლიგის გუნდები ხვდებიან და მწვრთნელებმა... საკუთარ გუნდში მოასპარეზე ფეხბურთელების ვინაობა არ იციან! რა ვქნათ, ესა და ეს ბიჭი დღეს დილით მომიყვანეს, ისა და ის - ნახევარი საათის წინ, აი, ის დანარჩენები კი, სულ ახლახანსო, - სიმწრით გვეუბნებიან. ჰოდა, როდისღა გინდა, რომ მართლაც ახალწვეულები გუნდთან შეათამაშო, ახალ-ახალი ტაქტიკური სქემები თუ კომბინაციები დაამუშაო - მოსამზადებელი პერიოდის ნახევარი თუ არა, დიდი ნაწილი ხომ სწორედ ამ ვითომ-ფეხბურთელების „გასინჯვას" ეთმობა. მოკლედ, სხვა გზა აღარ არის - „სიცრუის დეტექტორი", მართლაც უნდა „ავამოქმედოთ". ჰო, თუ გახსოვთ, ამ რამდენიმე ხნის წინათ ვწერდით მსგავსი „სიახლის დანერგვაზე". ოღონდ, მაშინ იმ ქართველ ფეხბურთელთა საქციელს ვწუხობდით, პირველ დაძახებაზე უცხოეთში რომ გარბიან, მაგრამ უკან მალე რომ ბრუნდებიან და ერთსა და იმავეს იმეორებენ: ზღაპრული გუნდი იყო, მწვრთნელიც გადაირია და პრეზიდენტიც, მაგრამ.... პირობებზე ვერ მოვილაპარაკეთო. არადა, ყველამ (უპირველეს ყოვლისა - თვითონ) კარგად იცის, რომ უკან (ანუ, ისევ ჩვენთან) მხოლოდ ერთი კონკრეტული მიზეზის გამო ბრუნდებიან - უბრალოდ, იწუნებენ! ისე, მართლაც, საინტერესოა: ნეტავ, როდისმე ან ვინმე თუ იტყვის სიმართლეს: მე კი მინდოდა დარჩენა, მაგრამ ჩემი საფეხბურთო მონაცემები არ მოეწონათ და ამიტომაც გამომიშვესო. მაშინაც (ანუ, „სიცრუის დეტექტორ-ერთშიც") ვთქვით და დღესაც გავიმეორებთ: ასეთ ფეხბურთელს... საგანგებო (გნებავთ, სპეციალური დაარქვით) პრიზიც ეკუთვნის - გულახდილობისათვის, რა თქმა უნდა...

ისე, „სიცრუის დეტექტორი 1"-ის დაბეჭდვის მერეც, რატომღაც, დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს თემა კვლავაც აქტუალური იქნებოდა. სამწუხაროდ, მოვლენების მსგავს განვითარებას, ალბათ, პირველ მარტამდე უნდა ველოდოთ. ანუ, იმ დრომდე, ვიდრე ჩვენთან სატრანსფერო ფანჯარა არ დაიხურება. თანაც, როგორ გგონიათ, მხოლოდ უცხოეთში დაწუნებულ ჩვენებურებს უყვართ „ზღაპრების მოყოლა"? ან, რა - „გასასინჯად" მხოლოდ ქართველ ფეხბურთელებს სთავაზობენ ჩვენს მწვრთნელებს? მართლაც ასე რომ იყოს, კიდევ რა უშავს - ბევრად უარესი კი არა, კატასტროფული (ხანდახან - ტრაგიკომიკურიც) სიტუაციაა ქართულ გუნდებში უცხოელი ფეხბურთელები როცა ჩამოჰყავთ. პირველ ყოვლისა, გული აგვიჩქროლდებახოლმე, როცა მავანი უცხოელი ფეხბურთელის პირველ „აქაურ" სიტყვებს ვისმენთ: „ქართულ ფეხბურთზე ბევრი მსმენია და მინდა, თქვენს ძლიერ ჩემპიონატში საკუთარი კლასი ავიმაღლოო!" აბა, ვის არ ესიამოვნება (თუგინდ, გაზვიადებულ-გაბუქებული იყოს) ასეთი სიტყვების მოსმენა? ამ დროს კი, ორისამი დღე გაივლის და ჩვენი საბრალო მწვრთნელებიც... საგონებელში არიან ჩავარდნილნი: ერთ-ერთი უცხოელი, საერთოდ, ბურთს ფეხს აცილებს; მეორეს... სირბილი და ძუნძული ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია; მესამეს, თურმე, აკლიმატიზაციისათვის, სულ მცირე, ოთხიხუთი თვე სჭირდება; მეოთხეს, ქართული ზამთარი უშლის შესაძლებლობების გამოვლენას; მეხუთეს, ხელოვნურ საფარზე არასდროს უთამაშია და: „მიუჩვევლობის ბრალია, თორემ, აბა, ბუნებრივ ბალახზე მნახეთ, ვინა ვარო!.. აქვე, მაქსიმალური სიფრთხილეც გვმართებს; ვინმემ, შესაძლოა, რასიზმშიც ბრალი დაგვდოს; ან, უფრო უარესიც - აქეთ შემოგვიტიონ და მუქარით შემოგვითვალონ: ვის და სად ჩამოვიყვანთ-მივიყვანთ-წავიყვანთ-მოვიყვანთ, თქვენი საქმე არ არისო...

...არადა, რაც ამ უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში საკონტროლო მატჩებს დავესწარით, მუდამ ერთ რამეში ვრწმუნდებოდით: ქართულ ფეხბურთს, ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, „სიცრუის დეტექტორიც" აუცილებლად ესაჭიროება!

**გია ტუხაშვილი**



აქედანაც ხომ არ მოდიან საქართველოში ფეხბურთელები?

## ინგლისი

## პრემიერლიგა. XXIII ტური


პარი რედნაპმა დევიდ ბენტლი (თეთრებში) მოულოდნელად დააბრუნა

# ბენტლიმ ძრავა ჩართო

„ლივერპულმა“ ვულვერჰემპტონში მიკ მაკარტის შეგირდებთან ვერ მოიგო, რაც რაფა ბენიტესის გუნდს ჩემპიონთა ლიგაზე გამსვლელი ადგილისთვის ბრძოლაში დიდ ჩავარდნად ჩაუთვალეს. მართალია, ქულამ, რომელიც „წითლებმა“ ამ უგოლო თამაშში მოიპოვეს, ისინი ცხრილში მეხუთე ადგილზე ასწია და გატანილ-გაშვებულთა უკეთესი სხვაობის გამო „მანჩესტერ სიტიზე“ წინ დასვა, მაგრამ თამაშების რაოდენობასაც ხომ აქვს მნიშვნელობა - მერსისაიდელებს ისტლენდელებზე ორი თამაშით მეტი აქვთ ჩატარებული. რაც შეეხება „ვულვზს“, მისთვის „ლივერპულთან“ მოპოვებულ ქულას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გუნდი პრემიერლიგაში დარჩენისათვის იბრძვის და ამ საქმეში მეტად წაადგება.

ახლა იმის შესახებ, თუ როგორი იყო თავად თამაში: ილბალდაკარგულმა ბენიტესმა, რომლის აგენტმაც სამშაბათს განაცხადა, რომ ხმები ესპანელი სპეციალისტის „იუვენტუსში“ გადასვლის შესახებ ჭორია და მეტი არაფერიო, ნახა, რომ მისი ბიჭები პირველ ტაიმში მეტოქეს ზოგადად სჯობდნენ, მაგრამ სახიფათო მომენტებს ვერ ქმნიდნენ. მოკლედ, ბურთს, მეტწილად „ლივერპული“ ფლობდა, მაგრამ ვერ ამწვავებდა - როგორც ჩანს, მერსისაიდელთა თავდასხმა ძალიან არის დამოკიდებული ფერნანდო ტორესზე, რომელიც, მოგეხსენებათ, დაშავებულია. მოედანზე მარტო კაპიტნის, სტივენ ჯერარდის დაბრუნებამ „წითლებს“ ვერ უშველა. ჯერარდს ვულვზელთაგან მაიკლ მენსიენი მეურვეობდა მკაცრად.

ლივერპულელთა წინააღმდეგ მიკ მაკარტიმ გუნდი 4-5-1 განლაგებაზე გადააწყო, რაც იმას ნიშნავს, რომ თავდასხმაში ერთი კაცი, ყველაზე ძვირად შეძენილი კევინ დოილი იკმარა და მეორე ნომინალური ფორვარდის ხარჯზე უკანა რიგები გააძლიერა. მასპინძელთაგან ეს შეხვედრა საუცხოოდ ჩაატარა ვეტერანმა ცენტრალურმა მცველმა ჯოდი კრედოკმა - ის შეუვალი იყო.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პირველი ტაიმი „ლივერპულისა“ იყო, მეორეში კი სურათი შეიცვალა, „ვულვერჰემპტონი“ გამოცოცხლდა და დროის საკმაოდ დიდი მონაკვეთების განმავლობაში უპირატესობასა და ინიციატივას ფლობდა. ძალიან აქტიურობდა ზემოთ ნახსენები დოილი. ის ნიადაგ ხიფათს ქმნიდა სტუმრების კართან. მატჩის შემდეგ ბენიტესმა ჟურნალისტებს ასე უთხრა:

*„თუ თამაშს გავაანალიზებთ, შედეგი სამართლიანი იყო. პირველ ტაიმში უპირატესობას ჩვენ ვფლობდით, თუმცა საგოლე მომენტები ფაქტობრივად არ შეგვიქმნია. ეს იმიტომ მოხდა, რომ „ვულვზის“ საჯარიმოს მისადგომებთან საბოლოო, გამამწვავებელი პასის გადაწოდებას ვერ ვახერხებდით. მეორე ნახევარში კი მოწინააღმდეგე მოგვაწვა. მართალია, რამდენიმე კარგი კონტრშეტევა მაინც მოვახერხეთ, მაგრამ პირველი ტაიმისა არ იყოს, საგოლე პასის გადაწოდებაში მოგვეცარა ხელი. მოკლედ, რაც თავში ვთქვი, ის უნდა გავიმეორო - ფრე სამართლიანი შედეგია“.*

ლონდონურ დერბიში „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ „ფულჰემს“ 2:0 მოუგო და საოცარი რა არის, იცით? ის, რომ მასპინძელთა თავკაცმა ჰარი რედნაპმა, რატომღაც დევიდ ბენტლი ათამაშა - ფეხბურთელი, რომლის თავიდან მოშორებაც სურს. არადა, ბენტლიმ მოინდომა და თავისი გამოსვლა გოლით დაამშვენა. დღეს, „სფურზი“ მეოთხე ადგილზეა.

კაცმა რომ თქვას, ბენტლის მოწადინება ასეც შეიძლება აიხსნას: ფეხბურთელს, რომელსაც დეკემბრის დასაწყისის შემდეგ არ უთამაშია, ძალიან უნდოდა სხვა გუნდების ყურადღება მიეპყრო. იქნებ მყიდველი გამოუჩნდეს?! ასე იყო თუ ისე, მან საუცხოოდ ითამაშა და საჯარიმო დარტყმით – მართალია, ბიორნ რიისეს რიკოშეტიც დაეხმარა – გოლიც შეაგდო. ეს გოლი მეორე გახლდათ, რომელიც თამაშის დამთავრებამდე ნახევარი საათით ადრე გავიდა. ანგარიში კი პიტერ კრაუჩმა გახსნა - თამაშის დაწყებიდან დაახლოებით ნახევარ საათში. იმ ეპიზოდში ტანმაღალი კრაუჩი კრის სმოლინგს დაუსხლტა, ამას კი იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ რამდენიმე საათით ადრე გამოცხადდა: მომავალი სეზონიდან ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების მცველი სმოლინგი „მანჩესტერ იუნაიტედში“ ითამაშებს. თუმცა ყველაფრის ასე პირდაპირ სმოლინგისთვის გადაბრალებაც არ ივარგებს. გოლის ეპიზოდში სმოლინგის შეცდომას იმდენი მნიშვნელობა არ ჰქონია, რამდენადაც ხორვატი ვარსკვლავის ლუკა მოდრიჩის ოსტატობას - მან კრაუჩს დიდებული ასისტენტობა გაუწია. სმოლინგმა კი ზოგადად კარგად ითამაშა და დაამტკიცა, თუ რატომ ეცილებოდნენ მის ხელში ჩაგდებას ერთმანეთს „არსენალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“.

*„ვფიქრობ, ამ გამარჯვებას ვიმსახურებდით - განაცხადა მატჩის შემდეგ კრაუჩმა - სახიფათო მომენტიც მეტოქეზე მეტი შევქმენით და ზოგადადაც უკეთ ვითამაშეთ. საერთოდ, რაც უფრო მალე გახსნი ანგარიშს, მით უფრო მშვიდად აგრძელებ თამაშს. მიხარია, რომ სწორედ სწრაფი გოლის გატანა შევძელი, ბენტლის საჯარიმოს შემდეგ კი დაძაბულობა საბოლოოდ მოგვეხსნა და ისეთი ფეხბურთი გავაჩაღეთ, ჩვენ რომ გვიყვარს და შეგვიძლია“.*

პრემიერლიგაში თავისი პირველი გოლი გაიტანა „პორტსმუთის“ არცთუ ახალგაზრდა, 28 წლის თავდამსხმელმა დენი ვებერმა, რომელიც „ვესტ ჰემთან“ შეხვედრაში 73-ე წუთზე ჩაერთო. ამ გოლის შედეგად, პრემიერლიგაში დარჩენისთვის მებრძოლმა გუნდებმა ცხრილში თითო ქულა შეიმატეს. არადა, 52-ე წუთის შემდეგ „ვესტ ჰემი“ იგებდა - ანგარიში მეტიუ აპსონმა გახსნა. მატჩის შემდეგ წაგებას გადარჩენილი მასპინძლების მწვრთნელ ავრაამ გრანტს თამაშზე თითქმის არაფერი უთქვამს, ამბობდა, - მგონი ტრანსფერებზე ემბარგოს გვიხსნიან და რა კარგიაო. სტუმართა თავკაცმა ჯანფრანკო ძოლამ კი თქვა:

*„თამაშის მსვლელობას ჩვენ ვაკონტროლებდით და თავსაც ისე კარგად ვიცავდით, რომ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი „პორტსმუთი“ გოლს თუ გაგვიტანდა, მაგრამ არც იმის თქმა მინდა, რომ მასპინძლებს ფრე არ ეკუთვნოდათ. მათ ბოლომდე იბრძოლეს და დაუფასდათ“.*

დაბოლოს, „ბოლტონმა“ „ბარნლის“ 1:0 მოუგო, რაც იმას ნიშნავს, რომ, ოუენ კოილმა „ბოლტონის“ მწვრთნელის რანგში პირველი 3 ქულა მოიპოვა და, რაც ყველაზე საინტერესოა, მოუგო გუნდს, რომელსაც რამდენიმე კვირის წინ თავად ედგა სათავეში - ვისაც კარგად იცნობდა, ისევ ის დაჩაგრა. საინტერესოა, რომ ბარნლელი ფანების ტრიბუნებიდან „იუდა“ ისმოდა, ხოლო ერთ პლაკატზე ეწერა: „ის მესია არ გეგონოთ“.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

### მომდევნო ტური

30 იანვარი. ბირმინგემი-ტოტენჰემი, ფულჰემი-ასტონ ვილა, ჰალი-ვულვზი, ლივერპული-ბოლტონი, ვესტ ჰემი-ბლექბერნი, უიგანი-ევერტონი, ბარნლი-ჩელსი. 31 იანვარი. მანჩესტერ სიტი-პორტსმუთი, არსენალი-მანჩესტერ იუნაიტედი. 1 თებერვალი. სანდერლენდი-სტოკი.

### პორტსმუთი-ვესტ ჰემი 1:1

**პორტსმუთი:** ბეგოვიჩი, უილსონი, ქაბული, ჰრეიდარსონი, ფინენი, მოკოენა, ბასინასი, პიკიონი (73. უებერი), ბოატენგი, უტაკა, მულინზი (64. ვანდენ ბორე).

**ვესტ ჰემი:** გრინი, აპსონი, ტომკინსი (80. და კოსტა), სპექტორი, ფობერი, კოვაჩი, ბეჰრამი, ნობლი, დიამანტი (87. სტანისლასი), კოლინზი, ნუბლი (74. კ. კოული).

გოლები: 0:1 აპსონი (52), 1:1 უებერი (67)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 18-11; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 18-15 (9-6); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 18 322

### ვულვზი-ლივერპული 0:0

**ვულვზი:** ჰანემანი, ბერა, კრედოკი, უარდი, ზუბარი, მენსიენი, ჰენრი, ჯერვისი (89. გედიურა), ფოლი, დოილი, მილიაში (73. ჯოუნსი).

**ლივერპული:** რეინა, კირიაკოსი, შკრტელი, ინსუა, კარაგერი, მასკერანო, ლუკასი, ჯერარდი, რიერა (67. ნგოგი), კუიტი, მაქსი როდრიგესი.

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 0-7; **ჯარიმა:** 9-9; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 6-8 (1-1); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 28 763

### ტოტენჰემი-ფულჰემი 2:0

**ტოტენჰემი:** კინგი, დოუსონი, ბეილი, ჩორლუკა, პალასიოსი, ჰადლსტოუნი, მოდრიჩი, ბენტლი, კრაუჩი, დეფო (82. კინი).

**ფულჰემი:** შვარცერი, ჰანგელანდი, სმოლინგი, ბერდი, ჰიუზი, დიკგაკოი, მერფი, გერა (72. კამარა), დაფი, რიისე (64. დეივისი), სამორა (79. ელმი).

გოლები: 1:0 კრაუჩი (27), 2:0 ბენტლი (60)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 11-3; **ჯარიმა:** 13-17; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 15-11 (5-3); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 35 467

### ბოლტონი-ბარნლი 1:0

**ბოლტონი:** იასკელაინენი, ნაითი, კეჰილი, რიკეტსი, სტეინსონი, მუამბა, კოენი, ტეილორი (77. გარდნერი), იანგ ლი (90. ვაისი), კლასნიჩი (52. ელმანდერი), დევისი.

**ბარნლი:** იენსენი, კარლაისლი, დაფი, კალვენესი, მერსი, მაკკანი (13. მაკდონალდი), ალექსანდერი (17. პატერსონი), ელიოტი, იგლზი (66. ნიმანი), ნაჯენტი, ფლეტჩერი.

გოლი: 1:0 იანგ ლი (35)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 12-10; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 18-11 (3-1); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 23 986

### ასტონ ვილა-არსენალი 0:0

**ასტონ ვილა:** ფრიდელი, კუელიარი, კოლინზი, დანი, ლ. იანგი, ე.იანგი, მილნერი, პეტროვი, დაუნინგი, ჰესკი (78. დელფი), აგბონლაორი.

**არსენალი:** ალმუნია, სანია, გალასი, ვერმაელენი (35. კემპბელი), კლიში, ფაბრეგასი, დენილსონი, რემსი, როსიცკი (80. ნასრი), ედუარდო (62. ბენდტნერი), არშავინი.

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 7-7; **ჯარიმა:** 16-16; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 11-15 (1-3); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 39 601

### ჩელსი-ბირმინგემი 3:0

**ჩელსი:** ჩეხი, ივანოვიჩი, კარვალიუ, ტერი, ე. კოული, ბალაკი, დეკუ, ლემპარდი, ჯ. კოული (81. ჟირკოვი), მალუდა, ანელკა (88. სტარიჯი).

**ბირმინგემი:** ჰარტი, კარი, ჯონსონი, დანი, რიჯუელი, ლარსონი, ბოიერი, ფერგიუსონი, მაკფადენი (72. მიჩელი), ჯერომი (56. ფეჰეი), ბენიტესი.

გოლები: 1:0 მალუდა (5), 2:0 ლემპარდი (32), 3:0 ლემპარდი (90)

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 11-11; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 29-6 (9-1); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 41 293

### ბლექბერნი-უიგანი 2:1

**ბლექბერნი:** რობინსონი, შიმბონდა, ნილსენი, ჟივე, ოლსონი, დიუფი (77. დი სანტო), ნზონზი, ემერტონი, პედერსენი, ჰოილეტი (54. რიდი), კალინიჩი (78. რობერტსი).

**უიგანი:** სტოიკოვიჩი, მელხიოტი (67. ბოისი), კოლდუელი, ბრამბლი, ფიგეროა, ტომასი (86. სკოტლენდი), შარნერი, დიამე, ნზოგბია, მაკარტი (86. სინკლერი), როდალეგა.

გოლები: 1:0 პედერსენი (20), 1:1 კოლდუელი (57), 2:1 კალინიჩი (76)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 20-14; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 12-11 (4-2); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 22 190

### ევერტონი-სანდერლენდი 2:0

**ევერტონი:** ჰოვარდი, ფ. ნევილი, ჰეიტინგა, დისტინი, ბაინესი, დონოვანი (76. არტეტა), პიენაარი (90. ანიჩებე), ფელაინი, ოსმანი, კეჰილი, საა (78. ვუგანი).

**სანდერლენდი:** გორდონი, მენსა, ნოსუორთი (59. და სილვა), კილგელონი, მაკარტნი, ჰენდერსონი, კანა, კეტერმოლი (46. რიდი), ზენდენი, რიჩარდსონი (26. ჯონსი), ბენტი.

გოლები: 1:0 კეჰილი (6), 2:0 დონოვანი (19)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 12-19; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 11-8 (6-1); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 32 163

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 22 | 16 | 3 | 3 | 55-18 | 51 |
| 2. მანჩესტ. იუნ | 23 | 16 | 2 | 5 | 53-19 | 50 |
| 3. არსენალი | 23 | 15 | 4 | 4 | 59-25 | 49 |
| 4. ტოტენჰემი | 23 | 12 | 5 | 6 | 44-24 | 41 |
| 5. ლივერპული | 23 | 11 | 5 | 7 | 40-26 | 38 |
| 6. მანჩესტ. სიტი | 21 | 10 | 8 | 3 | 42-30 | 38 |
| 7. ასტონ ვილა | 22 | 10 | 7 | 5 | 29-18 | 37 |
| 8. ბირმინგემი | 22 | 9 | 6 | 7 | 21-22 | 33 |
| 9. ევერტონი | 22 | 7 | 8 | 7 | 32-34 | 29 |
| 10. ფულჰემი | 22 | 7 | 6 | 9 | 26-26 | 27 |
| 11. ბლექბერნი | 23 | 7 | 6 | 10 | 25-40 | 27 |
| 12. სტოკი | 21 | 6 | 7 | 8 | 19-26 | 25 |
| 13. სანდერლენდი | 22 | 6 | 5 | 11 | 30-40 | 23 |
| 14. უიგანი | 21 | 6 | 4 | 11 | 24-46 | 22 |
| 15. ბოლტონი | 21 | 5 | 6 | 10 | 29-42 | 21 |
| 16. ვესტ ჰემი | 22 | 4 | 8 | 10 | 29-38 | 20 |
| 17. ვულვზი | 22 | 5 | 5 | 12 | 17-38 | 20 |
| 18. ბარნლი | 22 | 5 | 5 | 12 | 22-44 | 20 |
| 19. ჰალი | 22 | 4 | 7 | 11 | 20-46 | 19 |
| 20. პორტსმუთი | 21 | 4 | 3 | 14 | 20-34 | 15 |

**ბომბარდირები:** 19 - რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი); 14 - დეფო (ტოტენჰემი), დროგბა (ჩელსი), ბენტი (სანდერლენდი); 12 - ტევესი (მანჩესტერ სიტი), ტორესი (ლივერპული); 11 - საა (ევერტონი), ფაბრეგასი (არსენალი); 10 - ლემპარდი (ჩელსი).

## ქარლინგის თასი

### ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

### მანჩესტერ იუნ-მანჩესტერ სიტი 3:1

**მანჩესტერ იუნ:** ვან დერ სარი, ევანსი, ევრა, ფერდინანდი, რაფაელი (74. ბრაუნი), ნანი (90. ვალენსია), ფლეტჩერი, ქერიკი, სქოულზი, გიგზი, რუნი.

**მანჩესტერ სიტი:** გივენი, საბალეტა, გარიდო (64. აირლენდი), კომპანი, რიჩარდსი, ბოიატა, დე იონგი, ბერი, რაიტ-ფილიპსი (72. ადებაიორი), ბელამი, ტევესი.

გოლები: 1:0 სქოულზი (52), 2:0 ქერიკი (71), 2:1 ტევესი (76), 3:1 რუნი (90)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 8-6; **ჯარიმა:** 14-11; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 15-13 (7-9); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 74 576



იუვენტუსი

# ტურინში კრიზისი ლიპის დააბრალეს

## დელ პიერო: ინტერი უნდა დავამარცხოთ

იტალიური პრესის მთავარი სასაუბრო თემა კვლავაც „იუვენტუსია". ტურინული გრანდის კრიზისი ყოველდღიური გარჩევის საგანია, თანაც მუდმივად ახალ-ახალ ჭრილში. ამჯერად, ყურადღების ცენტრში **მარჩელო ლიპი** აღმოჩნდა, ვისი მიმართაც რამდენიმე ბრალდება გაისმა. ალბათ გიკვირთ, რა კავშირია „იუვენტუსის" კრიზისსა და იტალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს შორის. საქმე ის არის, რომ „ვეკია სენიორას" გულშემატკივართა ნაწილი, ანუ ულტრასთა გარკვეული ჯგუფი ბევრ რამეში სწორედ ლიპის მიიჩნევს დამნაშავედ.

ტიფოზები დარწმუნებულნი არიან და ამაში მათ ჟურნალისტთა ნაწილიც ეთანხმება, რომ ზაფხულის სატრანსფერო კამპანია ტურინელებმა სწორედ ლიპის მითითებებით წარმართეს. სწორედ მარჩელომ ურჩია **ფერარას ფაბიო კანავაროს**, **ფაბიო გროსოს** და **ფელიპე მელოს** გადაბირება, ისევე, როგორც გუნდიდან **პაველ ნედვედის** გაშვება. ფერარა სწორედ ლიპის მოსწავლეა და ბრმად ენდო დამრიგებელს, შედეგი კი ისეთი მიიღო, მტერს რომ არ უსურვებს კაცი. არადა, კანავარო, გროსო, ფელიპე მელო და იგივე **დიეგო რიბასი** უმაღლესი კლასის ფეხბურთელები არიან და მაშინ ეს ტრანსფერები ყველამ მოიწონა. მეტიც, „იუვენტუსი" ევროპის მასშტაბით, სატრანსფერო ბაზრის ჩემპიონად გამოცხადდა. ლიპი გუშინ ჟურნალისტებს გაესაუბრა და შემდეგი განუცხადა:

*„ვერ ვხდები, რატომ მადანაშაულებენ „იუვენტუსის" კრიზისში". ძალიან ვწუხვარ იმის გამო, რაც ტურინული გრანდის თავს ხდება, მაგრამ ამაში ჩემს ბრალეულობას ნამდვილად ვერ ვხედავ. არ უარვყოფ, რომ ფერარამ ზაფხულში მისთვის რჩევების მიცემა მთხოვა, მაგრამ ამაში პირადად მე, ცუდს ვერაფერს ვხედავ. არა მგონია, რომ პრობლემა ახალ ფეხბურთელებში იყოს, უფრო ზოგად ჭრილში უნდა შევხედოთ საკითხს. თუ კარგად დააკვირდებით, ერთი კონკრეტული ფეხბურთელი არ აფუჭებს თამაშს, უბრალოდ გუნდური მექანიზმია მოშლილი და სწორედ ამ მიმართულებით აქვს ფერარას სამუშაო. მე კი იტალიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ვარ და სწორედ „აძურას" შედეგებზე ვაგებ პასუხს".*

აი, ასეთი სიტყვით გამოვიდა ლიპი და პრინციპში, მართალიც არის - „იუვენტუსის" კრიზისის მასზე გადაბრალება, რბილად რომ ვთქვათ, უგუნურებაა. „ვეკია სენიორა" კი სათასო პაექრობისთვის ემზადება - ალბათ იცით, რომ დღეს ტურინული გუნდი „ინტერს" ესტუმრება. იტალიის თასი ახალი ფორმატით ტარდება, შემდეგ ეტაპზე გამსვლელის ვინაობას ერთი თამაში არკვევს. ასე რომ, „ჯუზეპე მეაცაზე" წესით სამკვდრო-სასიცოცხლო ფეხბურთი უნდა გაჩაღდეს. პიემონტელებს იმედი აქვთ, რომ სწორედ „ნერაძურის" დამარცხება იქნება ის, რამაც გუნდი აღმავლობის გზაზე უნდა დააყენოს. სწორედ ამაზე საუბრობს **ალესანდრო დელ პიერო:**

*„იტალიის თასი მნიშვნელოვანი ტურნირია და ყველანაირად ვეცდებით, რომ ნახევარფინალში სწორედ ჩვენ გავაღწიოთ. ამ მატჩს ფსიქოლოგიური კუთხითაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან კრიზისისგან თავის დასაღწევად სწორედ დიდი მატჩის მოგება გვჭირდება. „ინტერი" ძალიან ძლიერია, ამაში მილანურმა დერბიმ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს - მათი დამარცხება რომ შესაძლებელია, სულ ახლო წარსულში დავამტკიცეთ. რაც შეეხება ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობას, ორი დღე საკმაოდ მაღალი ტემპერატურა მქონდა, დღეს უკეთ ვგრძნობ თავს და დიდი ალბათობით, „ინტერის" წინააღმდეგ ვიასპარეზებ".*

ამასობაში, იტალიელმა ჟურნალისტებმა კიდევ ერთი სპეციალისტის მომავალი დაუკავშირეს „იუვენტუსის" სამწვრთნელო სკამს - ლაპარაკია **ალბერტო ძაკერონიზე**. 56 წლის სპეციალისტმა „უდინეზეში" მუშაობით გაითქვა სახელი, შემდეგ „მილანი" ჩაიბარა და სკუდეტო მოაგებინა. თუმცა, ეს ყველაფერი ჯერ კიდევ წინა საუკუნეში ხდებოდა და მას შემდეგ, ალბერტოს დიდი წარმატებისთვის აღარ მიუღწევია. უხეიროდ იმუშავა „ლაციოში", „ინტერში" და ბოლოს უკვე „ტორინოში". მიუხედავად ამისა, ჟურნალისტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ფერარას მემკვიდრეობის ყველაზე მეტი შანსი სწორედ ძაკერონის აქვს. თავად ალბერტო საკუთარ შესაძლებლობებს მაღალ შეფასებას აძლევს და მზადყოფნას გამოთქვამს, საყვარელ საქმიანობას დაუბრუნდეს:



მარჩელო ლიპის იუვენტუსთან კავშირები არ გაუწყვეტია

*„ფეხბურთი ძალიან მაკლია და ერთი სული მაქვს, როდის დავიწყებ პროფესიული მოვალეობის შესრულებას. ტურინიდან ჯერ არავის დაურეკავს, მაგრამ თუ შემოთავაზებას მივიღებ, დიდი სიამოვნებით განვიხილავ. თუმცა, აქედანვე ვამბობ, რომ დროებითი მწვრთნელის სტატუსი ჩემთვის მიუღებელია. ისე კი, ჩემი ოცნება იტალიის ეროვნული ნაკრების გაწვრთნაა. 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, „სკუადრა აძურას" ჩაბარების შანსი მეც მქონდა, თუმცა მაშინ არჩევანი რობერტო დონადონიზე შეჩერდა. იმედია, ადრე თუ გვიან, მომეცემა შანსი ეროვნული გუნდი დავმოძღვრო".*

**ლაშა ნიკლაური**

იტალიის თასი. 1/4 ფინალი

# რომა წინ მიიწევს...



რომა ნახევარფინალში დე როსიმ გაიყვანა

ამბობენ, იტალიაში თასის გათამაშება ნაკლებად პრესტიჟულია და კლუბები მოვალეობის მოხდის მიზნით თამაშობენო. ჩემპიონთა ლიგას რომ ვერ უტოლდება, ცხადზე ცხადია, მაგრამ არც მთლად ასე უნდა იყოს საქმე. იტალიაში თასის დასკვნით ეტაპზე ტრადიციულად გრანდები ასპარეზობენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ტურნირზე თითოეული გუნდი საკმაოდ მაღალი მოტივაციით ასპარეზობს.

მიმდინარე სეზონში პირველი ნახევარფინალისტი ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ გამოვლინდა - „ფიორენტინამ" დრამატულ ბრძოლაში „ლაციოს" მოუგო და შემდეგ ეტაპზე გაიკვლია გზა. „ვიოლას" გუშინ „რომა" შეუერთდა, რომელმაც „კატანიას" ბარიერი გადალახა. **სინიშა მიხაილოვიჩის** ხელში, სიცილიური გუნდი აშკარად აღმავლობას განიცდის და ნათელი იყო, რომ არც სათასო ბატალიას დათმობდა იოლად. ასეც მოხდა, თუმცა კლასმა მაინც თავისი გაიტანა.

**კლაუდიო რანიერი** საკმაოდ რთულ სიტუაციაში იყო, რადგან სამი წამყვანი შემტევის გარეშე უწევდა ფონს გასვლა. „კატანიას" წინააღმდეგ ვერც **ფრანჩესკო ტოტიმ** ითამაშა, ვერც **მირკო ვუჩინიჩმა** და ვერც **ლუკა ტონიმ**. ამ უკანასკნელის ამბები კარგად მოგეხსენებათ, ტრავმა მიიღო და დაახლოებით ერთი თვით ჩამოშორდა ფეხბურთს. ტოტიმ მოიშუშა ტრავმა, მაგრამ ნატკენი ფეხი ჯერ კიდევ სუსტად აქვს, ამიტომ, სათასო პაექრობაში მისი ჩაბმა მიზანშეუწონლად მიიჩნიეს.

მთელი 90 წუთის განმავლობაში ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას რომაელები ფლობდნენ. საკმაოდ აქტიური იყო ნიგერიული წარმოშობის იტალიელი **სტეფანო ოკაკა ჩუკა**, რომელიც ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი გახლდათ. პირველი საგოლე მომენტი სწორედ ოკაკამ შექმნა, მეტოქის შეცდომით ისარგებლა და დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა, თუმცა ბურთი მცირე მანძილით ააცილა მეტოქის კარის ჩარჩოს. შემდეგ იყო ორი ეპიზოდი, რომელმაც მასპინძელთა აღშფოთება გამოიწვია - საჯარიმო მოედანში, ჯერ **ბელუსკის** მოხვდა ბურთი ხელზე, შემდეგ კი **ტერლიცის**, თუმცა მატჩის არბიტრმა ორივეჯერ თვალი დაიბრმავა. არადა, მსაჯს სრული უფლება ჰქონდა, სიცილიელთა კარში თერთმეტმეტრიანები დაენიშნა. ტაიმის მიწურულს მასპინძლებს კიდევ შეეძლოთ გოლის გატანა, **დანიელე დე როსიმ** ეფექტურად მოატყუა მეტოქე და უძლიერესი დარტყმით მეტოქის კარის ძელი შეაზანზარა.

მეორე ნახევარში მასპინძლებმა ზეწოლა კიდევ უფრო გააძლიერეს, რაშიც თავისი წვლილი შეცვლაზე შესულმა **ალესიო ჩერჩიმ** შეიტანა. სწორედ მას ჰქონდა გატანის ჩინებული შანსი, რომელიც ქარს გაატანა. დამაგვირგვინებელ ფაზაში ვერც ოკაკა ჩუკამ ივარგა და საშუალო დისტანციიდან ააცილა ბურთი მეტოქის კარს. ნათელი გახლდათ, რომ ადრე თუ გვიან, რომაელები მაინც გაიტანდნენ, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც მატჩის არბიტრმა მოედნიდან სტუმართა ორი ფეხბურთელი გააძევა. დიახ, სიცილიელებმა ცხრა ფეხბურთელით ჩაამთავრეს თამაში: ჯერ ბელუსკი გააძევეს 58-ე წუთზე, შემდეგ **აუგუსტინი** - 72-ეზე.

ერთადერთი და გადამწყვეტი გოლი დანიელე დე როსიმ გაიტანა, რომელმაც უძლიერესი და უზუსტესი დარტყმით შეარხია მეტოქის კარის ბადე. იტალიის ნაკრების ნახევარმცველმა მართლაც ჩინებულად ითამაშა, მაგრამ ოკაკა ჩუკას პასიც უნდა გამოვარჩიოთ, რომელმაც კარგად შენიშნა დე როსი და გადაცემა დროულად გაუკეთა. დარჩენილ დროში, საინტერესო აღარაფერი მომხდარა, რომაელებმა პატივი დასდეს ცხრაკაციან მეტოქეს და აღარ შეუტიეს - შედეგად, 1:0 „ჯალოროსის" სასარგებლოდ. ნამატჩევს, დამწუხრებულმა სინიშა მიხაილოვიჩმა შემდეგი განაცხადა:

*„ჩემი მოლოდინი გამართლდა, რომაელებმა თავიდანვე დიდი ძალებით შემოგვიტიეს და საკუთარ ნახევარზე მიგვაჯაჭვეს. თუმცა, ამის საწინააღმდეგო არც ჩვენ გვქონდა რამე, რადგან თავიდანვე კონტრშეტევებზე სათამაშოდ განვეწყვეთ. როდესაც მეორე ფეხბურთელი გაგვიძევეს, ნათელი გახდა, რომ გოლს მალევე გავუშვებდით. ჩემი ფეხბურთელები უკვე ძალაგამოლეულები იყვნენ და ცხრა ფეხბურთელით თავს ნამდვილად ვერ დაიცავდნენ. სიმართლე გითხრათ, გაშვებული გოლის შემდეგ უკვე „უდინეზესთან" მოახლოებულ პაექრობაზე ვფიქრობდი".*

გახარებული გახლდათ კლაუდიო რანიერი, რომელმაც პრესას განუცხადა: *„ქებათა ქება მეტოქეს, რომელმაც ბოლომდე იბრძოლა. აშკარაა, რომ მიხაილოვიჩი თავის საქმეს ჩინებულად უძღვება, დღეს „კატანია" გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე თუნდაც პირველ წრეში. საკადრო პრობლემების მიუხედავად, შევძელით და მეტოქეს ჩვენი თამაში მოვახვიეთ თავს. კმაყოფილი ვარ შეგირდების გარჯით, მათ მაქსიმუმი გაიღეს. იტალიის თასი ჩვენთვის სულაც არ არის მეორეხარისხოვანი ტურნირი, ვეცდებით, ფინალში გავიდეთ და გავიმარჯვოთ".*

**გუშინ**

**მილანი-უდინეზე 0:1**

**მილანი:** აბიატი - ძამბროტა, ბონერა, **კალაძე**, ანტონინი - ფლამინი, გატუზო (70. ვერდი), იანკულოვსკი - დი ჯენარო (53. პირლო) - ჰუნტელაარი (60. ბორიელო), ინძაგი.

**უდინეზე:** ჰანდანოვიჩი - ისლა, კოდა, საპატა, პასკუალე - დ'აგოსტინო (70. ლოდი), ინლერი, სამარკო, სანჩესი, ფლორო ფლორესი (78. პეპე), დი ნატალე (89. ციმლინგი).

**გოლი:** 0:1 ინლერი (55)

**მაყურებელი:** 28 190

**ლაშა ნიკლაური**

ამბები

## შეძლებს, ვერ შეძლებს...

მოგეხსენებათ, „ბარსელონამ" კლუბის ისტორიაში პირველად შეძლო ჩემპიონატის ნახევრის დაუმარცხებლად ჩამთავრება. ასეთი რამ აქამდე მხოლოდ ოთხმა გუნდმა შეძლო: „რეალმა", „ბილბაომ", „ესპანიოლმა" და „რეალ სოსიედადმა". მხოლოდ ერთხელ მოხდა, რომ ესპანეთის ჩემპიონატი გუნდმა დაუმარცხებლად დაამთავრა, 1932 წელს ეს „სამეფო კლუბმა" შეძლო, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ მაშინ ჩემპიონატში სულ 18 ტური იყო. შეძლებს თუ არა „ბარსა" ამას წლევანდელ სეზონში. ასეთი კითხვით მიმართა goal.com-მა თავის სტუმრებს. საიტის მომხმარებელთა 55% სკეპტიკურად უყურებს ამ პერსპექტივას, 45%-ის აზრით „ბარსელონა" შეძლებს დაუმარცხებლად დაასრულოს წლევანდელი ლა ლიგა.

## რეალი იჩივლებს

ესპანური პრესის ცნობით, მადრიდის „რეალის" ხელმძღვანელობა გააპროტესტებს **კრიშტიანო რონალდოს** დისკვალიფიკაციას. პორტუგალიელმა ვარსკვლავმა იდაყვით ცხვირი გაუტეხა „მალაგას" ფორვარდ **პატრიკ მტილიგას**, რისთვისაც მსაჯმა ის მოედნიდან გააძევა. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის ვერდიქტით, რონალდო ორ შეხვედრას გამოტოვებს. „ლოს მერენგესს" 10 დღე აქვს ამ გადაწყვეტილების გასაპროტესტებლად. „რეალის" ხელმძღვანელობა მოითხოვს, განიხილონ ის ვიდეორგოლიც, რომელიც ას-ის წყალობით გახდა საზოგადოებისთვის ცნობილი, სადაც „ბარსელონა"-„სევილიას" მატჩისას **ლეო მესიმ** ორჯერ უთავაზა მეტოქეს იდაყვი, როცა ის არგენტინელის გაჩერებას აკრძალული მეთოდით ცდილობდა.

## დე ხეა: მადრიდიდან არ წავალ

მადრიდის „ატლეტიკოს" ახალგაზრდა გოლკიპერით, **დავიდ დე ხეათი** ახლახან რამდენიმე ინგლისური კლუბი დაინტერესდა, თუმცა ფეხბურთელის წარმომადგენელმა **ექტორ რინკონმა** „მარკას" განუცხადა, რომ დე ხეას კარიერის გაგრძელება „ატლეტიკოში" სურს: *„მას მხოლოდ „ატლეტიკოს" სახელით სურს თამაში. ეს მისი ბავშვობის ოცნება იყო და ახლა, როცა ეს ოცნება აისრულა, არა მგონია, სადმე წასვლა მოინდომოს. „უიგანის" წარმომადგენლები მართლაც დაინტერესდნენ მისით, ისინი მიიჩნევენ, რომ დე ხეა თავის პოტენციალს ყველაზე კარგად ინგლისში გამოავლენს".* შეგახსენებთ, რომ დე ხეამ რამდენჯერმე შეცვალა კარში **სერხიო ასენხო** და თავი კარგი თამაშით დაგვამახსოვრა. 19 წლის მეკარის საბაზრო ფასი ახლა 12 მილიონი ევროა.

## ევერტონი დაქვეითდება რათა ამაღლდეს

ბრაზილიელი გარემარბი **ევერტონი**, რომელსაც 2001-2003 წლებში ეროვნულ ნაკრებში 7 მატჩი აქვს გამართული, ტოვებს „სარაგოსას". მისი შეძენა სეგუნდა დივიზიონში მოთამაშე „რეალ ბეტისს" სურს, რომლის ამოცანაც წლეულს უძლიერესთა შორის დაბრუნებაა. ანდალუსიელთა ახალმა თავკაცმა **ვიქტორ ფერნანდესმა** ხელმძღვანელობას ევერტონის შეძენა მოსთხოვა. ფერნანდესი კარგად იცნობს ევერტონს, რადგან ის ადრე „სარაგოსას" წვრთნიდა. 28 წლის ევერტონი კარიერის პიკზე დორტმუნდის „ბორუსიაში" თამაშისას იყო, 2005 წელს ბრაზილიელი „სარაგოსამ" შეიძინა. თავიდან ბრაზილიელმა **დიეგო მილიტოსთან** ერთად ანგარიშგასაწევი წყვილი შექმნა, ახლა კი მას პრიმერას აუტსაიდერთა რიგებში სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრა უჭირს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაზრება

# კარგია და არ გვარგია

ბოლო ხანს გავრცელდა ხმა, თითქოს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავის **უეინ რუნის** შეძენა ესპანურ კლუბებს, მადრიდის „რეალსა“ და „ბარსელონას“ სურთ, თუმცა მადრიდელთა გენერალურმა დირექტორმა **ხორხე ვალდანომ,** თავის წილ, ამ ხმების გაბათილება სცადა. კერძოდ, 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა არგენტინელმა თქვა, რომ რუნი ესპანური ფეხბურთისთვის არ არის გაჩენილი. რადიო COPE-სთვის მიცემულ ინტერვიუში მან ეჭვი გამოთქვა, რომ ინგლისელ ვარსკვლავს პრიმერა დივიზიონთან შეგუება გაუჭირდება:

*„რუნი, რასაკვირველია, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული, ძალიან კარგი ფეხბურთელია, მაგრამ იგი ინგლისელია, ინგლისელებს კი ტრადიციულად, პრემიერლიგის გარეთ, სხვა ჩემპიონატებთან შეგუება უჭირთ“.*

შეგახსენებთ, რომ ბოლო პერიოდში მადრიდელებს ინგლისელ ფეხბურთელებთან ურთიერთობისა და მუშაობის გამოცდილება საკმაოდ ჰქონდათ. რამდენიმე წლის წინ „გალაქტიკოს“ თეთრი ფორმით **დევიდ ბექჰემი** გამოდიოდა, უფრო ადრე კი **სტივ მაკმანამანი** და ერთიცა და მეორეც გუნდს ძალიან გამოადგნენ - მიჩნეოდა და იწერებოდა, რომ მათ „რეალში“ თავიანთი ადგილი იპოვეს და წარმატებას მიაღწიეს. რაც შეეხება **ჯონათან ვუდგეიტს,** მას ტრავმებმა არ მისცა თავის გამოცდის საშუალება და შესაბამისად, ამ ფეხბურთელის მაგალითზე რაიმე დასკვნის გამოტანა არ შეიძლება, ხოლო **მაიკლ ოუენმა** დატოვა „სამეფო გუნდში“ კვალი თუ ვერა, სტატისტიკურად რეკორდი დაამყარა: ესპანეთში ნათამაშებ ასე ცოტა წუთში ამდენი გოლი არავის გაუტანია - 35 მატჩში 13 გოლი, თუმცა ყველა შეხვედრაში მოედანზე თავიდან ბოლომდე არ ყოფილა.

ასეა თუ ისე, ვალდანო ამტკიცებს, რომ რუნი მის გუნდს არ გამოადგება და დასძენს: *„ის ძალიან კარგი თავდამსხმელია, მაგრამ ჩვენ მისი შეძენის სურვილი არ გაგვჩენია“.*



ხორხე ვალდანო

**ილია ბაბუნაშვილი**

ტრანსფერები

# ესპანიოლი საფრანგეთიდან ძლიერდება

კატალონიურმა „ესპანიოლმა“ გაძლიერება საფრანგეთის ჩემპიონატის ხარჯზე გადაწყვიტა - „ლოს პერიკიტოსი“ „მონაკოდან“ **ჟან-ჟაკ გოსოს** და **იერკო ლეკოს,** ასევე „ტულუზის“ ნახევარმცველის **მატიო ბერსონის** შეძენას ცდილობს. სხვათა შორის, სამივე ფეხბურთელს უჭირს თავის კლუბში ძირითადში დამკვიდრება, „ესპანიოლს“ კი ახალ სეზონში ყველაზე დიდი პრობლემები სწორედ შუა ხაზში აქვს. გოსომ კოტ დივუარის ნაკრებთან ერთად აფრიკის ერთა თასზე მიიღო მონაწილეობა. „ლე მონეგასკეში“ ის 2008 წელს გადავიდა ებრაული „აშდოდიდან“. მას შემდეგ, რაც კლუბში **გი ლაკომბი** მივიდა, 26 წლის აფრიკელი „მონაკოს“ შემადგენლობაში იშვიათად ხვდება. ანალოგიურ მდგომარეობაშია იერკო ლეკოც. ხორვატი ამ სეზონში მხოლოდ 2 მატჩში მონაწილეობდა. მატიო ბერსონს „ლევანტეში“ უთამაშია, მისთვის ესპანური პრიმერა უცხო ხილი არ იქნება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# კანალესი რეალში, უკვე შემდეგ კვირას

„რასინგის“ ნიჭიერი ნახევარმცველი **სერხიო კანალესი** უკვე შემდეგ კვირაში მოაწერს ხელს მადრიდის „რეალთან“ კონტრაქტს, იუწყება as-ი. 18 წლის ფეხბურთელი „სამეფო კლუბთან“ კონტრაქტის დეტალებსლა ათანხმებს, რომელიც 6-წლიანი იქნება. დღეს კანალესი და მისი მამა „რასინგის“ პრეზიდენტ **ფრანსისკო პერნიას** და „რეალის“ დირექტორ **ხორხე ვალდანოს** ამ დეტალების დასაზუსტებლად შეხვდებიან. ესპანური მედიის ცნობით, კონტრაქტი ისეა შედგენილი, რომ კანალესი პირველ სეზონში იჯარის წესით ისევ კანტაბრიაში ითამაშებს. კონტრაქტში ჩადებულია მუხლი, რომლის თანახმადაც „რეალის“ გადასაწყვეტია, გაუშვებს თუ არა მას მეორე წლითაც იჯარით „რასინგში“. კანტაბრიული კლუბი, სავარაუდოდ, 4 მილიონ ევროზე მეტს ვერ მიიღებს. საქმე ისაა, რომ 18 წლის შემტევ ნახევარმცველს რამდენიმე თვეში ეწურება კონტრაქტი „რასინგთან“ და თუ კლუბი მას „რეალში“ არ გაუშვებს, გაცილებით მეტს დაკარგავს, ახლა კიდევ თანხასთან ერთად თავად ფეხბურთელსაც (სულ მცირე ერთი სეზონით) დაიბევებს.



კანალესის კონტრაქტი 6-წლიანი იქნება

სერხიო კანალესი ესპანური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავია, მისი შეძენა პრემიერლიგის რამდენიმე ძლიერ კლუბს სურს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

არისტოკრატული აზრი

# ჩელსი დიდიეს გარეშეც დიდია

## ანჩელოტის აზრით, ანელკა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია



ნიკოლა ანელკა

**კარლო ანჩელოტიმ** „მანჩესტერ იუნაიტედზე“ თქვა, ჩემი გუნდი „ჩელსისგან“ განსხვავებით ერთი კაცის გუნდიაო. ასეთი ლაპარაკის უფლება „მილანის“ ყოფილმა თავკაცმა თავს იმიტომ მისცა, რომ დასავლეთლონდონელებმა **დიდიე დროგბას** არყოფნაში სამი თამაში მოიგეს და 14 გოლი გაიტანეს - ანუ, კოტდივუარელზე დამოკიდებულნი არ ყოფილან. ცნობისათვის: დროგბა ლონდონში „აფრიკის თასიდან“ გუშინ დაბრუნდა.

„ჩელსისგან“ განსხვავებით, ანჩელოტის აზრით, „მანჩესტერ იუნაიტედი“ **უეინ რუნის** გარეშე არაფერია. იტალიელმა მწვრთნელმა, რომლის გუნდმაც გუშინ „ბირმინგემს“ უმასპინძლა, განაცხადა:

*„როდესაც დიდიე გუნდს ვერ ეხმარება, ჩვენ გვაქვს საშუალება, მოედანზე სხვა, ფანტასტიკური ფეხბურთელები გავიყვანოთ. მაგალითად, სანამ დროგბა „აფრიკის თასზე“ თამაშობდა, ჩვენ დენიელ სტარიჯისა და ნიკოლა ანელკას დახმარებით ვიგებდით. რუნის გარეშე კი „მანჩესტერ იუნაიტედს“ ჩემპიონობის მოპოვება გაუჭირდება. ის მანჩესტერელთათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის ფეხბურთელია. ერთი სიტყვით, ჩვენ დიდიეს გარეშე ჩემპიონობის შანსი გვაქვს, რადგან ანელკა გვყავს, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი. რაც შეეხება პროგნოზს, ვფიქრობ, ჩვენს, „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „არსენალს“ შორის ბრძოლა ბოლო ტურამდე გაგრძელდება და ჩემპიონის ვინაობა ბოლო დღეს გაირკვევა“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

ესპანური მიდი-მოდი

| თარიღი | ფეხბურთელი | საიდან | სად | თანხა |
|---|---|---|---|---|
| 20.01 | პატრისიო მორენო | ბენიტო | ელჩე | თავ/აგ |
| 20.01 | ასიერ არანცი | ვალიადოლიდი | ნუმანსია | თავ/აგ |
| 21.01 | ფერნანდო ფახარდო (ურუ) | უკლუბო | ალბასეტე | თავ/აგ |
| 21.01 | ედუ მოია | სელტა | ერკულესი | თავ/აგ |
| 21.01 | დიმიტრიოს პაპადოპულოსი | დინამო ზ. | სელტა | თავ/აგ |
| 21.01 | ხონათან ვალე | კასტელონი | პონფერანდინა | იჯარა |
| 22.01 | ადრიან რიპა | ორიჰუელა | ელჩე | თავ/აგ |
| 22.01 | ფრანკ სონგოო (კამ) | სარაგოსა | სოსიედადი | იჯარა |
| 22.01 | მარკოს ტებარი | რეალი B | ხირონა | იჯარა |
| 22.01 | ბრაულიო ნობრეგა | სარაგოსა | უელვა | იჯარა |
| 22.01 | ადრიან კოლუნგა | უელვა | სარაგოსა | იჯარა |
| 22.01 | მიკელ ამანტეგი | ალბასეტე | ბენიდორმი | თავ/აგ |
| 23.01 | რუუდ ვან ნისტერლოი (ჰოლ) | რეალი | ჰამბურგი | თავ/აგ |
| 24.01 | ხავიერ მოდრეგო | რეალი B | ვილიარეალი | თავ/აგ |
| 25.01 | რობერტო ბატრესი | ატლეტიკო | შანხაი | იჯარა |
| 25.01 | ანდრეუ გუერაო | სპორტინგი | პოლონია | თავ/აგ |
| 25.01 | კლებერ სანტანა | ატლეტიკო | სან პაულუ | თავ/აგ |
| 25.01 | რობერტო ხიმენესი | ატლეტიკო | სარაგოსა | იჯარა |
| 26.01 | კოსმინ კონტრა (რუმ) | ხეტაფე | ტიმიშოარა | თავ/აგ |
| 26.01 | გასტონ სელერინო (არგ) | ლივორნო | სელტა | იჯარა |
| 26.01 | დანიელ კანდეიაში (პორ) | უელვა | პორტუ | იჯარა (დაბრ) |
| 26.01 | მილან სმილიანიჩი (სერ) | ესპანიოლი | სპორტინგი | იჯარა |
| 26.01 | ხუან კოლანტესი | ვალეკანო | გრანადა | თავ/აგ |
| 26.01 | სებასტიან ერუგენი (ურუ) | ვილიარეალი | ლაციო | იჯარა |
| 26.01 | ოსკარ დიასი | მალიორკა | უელვა | იჯარა |
| 26.01 | ჩაბიერ ეჩეიტა | ბილბაო | კარტახენა | იჯარა |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტრავმა

# ფილიპე: მე დავბრუნდები

„დეპორტივოს“ მარცხენა მცველი **ფილიპე ლუისი**, რომელსაც ბილბაოს „ატლეტიკთან“ შეხვედრაში უსიამოვნო ინციდენტი შეემთხვა, კლინიკიდან გამოწერეს. მატჩის მეორე ტაიმში ფილიპემ წამით დაასწრო **გორკა ირაისოსს** და ანგარიში გახსნა, მაგრამ ბასკი გოლკიპერი მას ინერციით შეეჯახა და მარჯვენა ფეხი კოჭში გადაუმსხვრია. ბრაზილიელს კოჭზე რამდენიმესაათიანი ოპერაცია ჩაუტარეს, რომელმაც, ექიმების თქმით, წარმატებით ჩაიარა. კლინიკიდან გამოწერისას იმდენად დიდი იყო მედიის ინტერესი, რომ „დეპორტივოს“ ფეხბურთელმა პრესკონფერენცია ჩაატარა.

24 წლის ფილიპე ლუისი ამ სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს და ის მსოფლიოს ჩემპიონატსაც გამოტოვებს. ფილიპეს დებიუტი ბრაზილიის ნაკრებში შარშან აგვისტოში ესტონეთის ნაკრების წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში შედგა. ფილიპემ განაცხადა, რომ ძალიან გაუხარდა, როცა გაიგო, რომ „ბილბაოსთან“ მოგება თანაგუნდელებმა მას მიუძღვნეს.



ფილიპეს საშინელი ტრავმა

„დეპორტივოს“ ფეხბურთელებმა ზეაწეული სამი თითით (ფილიპე მე-3 ნომრით თამაშობს) ბრაზილიელს მალე გამოჯანმრთელება უსურვეს.

*„ამ ჟესტმა სიხარულისგან ამატირა. ძალიან მადლიერი ვარ „დეპორის“ თითოეული წევრის. არ მოველოდი, რომ ჰოსპიტალში ამდენი მნახველი მოვიდოდა. ხანდახან პალატაში ერთდროულად 15 კაცი იყო. სანახავად თავად გორკა ირაისოსიც იყო. მისი არა ფერიდაუსავებია, ეს უბედური შემთხვევა იყო, რომელიც, სამწუხაროდ, ფეხბურთში ხდება ხოლმე“*, - განაცხადა ფილიპე ლუისმა, რომელმაც გულშემატკივრები დააიმედა, რომ შემდეგ სეზონში უფრო ძლიერი დაბრუნდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მზადება

# ხარამ მარადონა ახარა

## დიეგომ 90-ს გადააცილა

არგენტინის ნაკრებს ორთვიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ მთავარი მწვრთნელი დაუბრუნდა - სან ხუანში, 32 გრადუს ტემპერატურაზე **დიეგო არმანდო მარადონას** გუნდმა ამხანაგური მატჩი მოუგო კოსტა რიკის ნაკრებს - 3:2. ჟურნალისტების ლანძღვისთვის დასჯილმა დიეგომ მოედანზე უმთავრესად არგენტინაში მოთამაშე ფეხბურთელები გამოიყვანა. არგენტინა „ესტუდიანტესის“ ნახევარმცველმა **ხოსე სოსამ** დააწინაურა. კოსტარიკელებმა ათ წუთში **მაიკლ ბარანტესის** წყალობით გაათანაბრეს. „ალბისელესტე“ წინ „როსარიო სენტრალის“ მცველმა **გილერმა ბურდისომ** გაიყვანა 38-ე წუთზე. მეორე ტაიმში სტუმრებმა ერთხელაც გაათანაბრეს, 77-ე წუთზე თავდამსხმელმა **დიეგო მადრიგალმა** ივარგა. დიეგოს გუნდს გამარჯვება „არსენალის“ ფორვარდმა **ფრანკო ხარამ** მოუტანა.

მარადონამ ამ თამაშისთვის კიდევ 8 დებიუტანტი გამოიძახა. ამგვარად, მას შემდეგ, რაც ის არგენტინის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში (18 თვის წინ), არგენტინის ნაკრების თეთრ-ცისფერი მაისურა 90-ზე მეტმა ფეხბურთელმა მოირგო. მართალია, კატალონიის ნაკრებთან არაოფიციალურ მატჩში 2:4 წაგების შემდეგ პუბლიკამ ეს გამარჯვება კარგად მიიღო და სან ხუანის სტადიონ „სან მარტინზე“ ნამდვილი ზეიმი მოეწყო, მაგრამ კრიტიკოსებმა დიეგოს ექსპერიმენტული გუნდის თამაში არ მოიწონეს: *„სამი მიზეზი, რომლის გამოც ეს ხალხი სამხრეთ აფრიკაში არ უნდა მოხვდეს - ზოგიერთი მათგანი ძალიან ახალგაზრდაა საამისოდ, ზოგი - ძალიან ბებერი, სხვები კი უბრალოდ - უვარგისნი“*, - წერს ჟურნალისტი **ტიმ სტარიჯი.**

მარადონამ ასეთი შემადგენლობა გამოიყვანა: **კამპრესტრინი, მატეუ, მონსონი, კ. როდრიგესი, ბურდისო, მერსიერი, სოსა, ერვიტი, გაიტანი, აუჩე, პალერმო.** შეცვლაზე შევიდნენ: **კარუზო, ინსუა, პერესი, ხარა, რაზოტი და ბოსელი.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ხარა გამარჯვების გოლს აღნიშნავს

მწვრთნელი




# დოქტორი ლუისი და მისტერ ვან გაალი

## მიუნხენის ბაიერნის თავკაცის ორი სახე

**„ვერდერის“ კარში გატანილი გამარჯვების გოლის შემდეგ მომხდარი ფაქტი, რომლის შესახებაც ბუნდესლიგის მე-19 ტურის მიმოხილვაში ვწერდით, ლუის ვან გაალის მეორე, საიდუმლო და აქამდე ყველასათვის უცნობი სახის აღმოჩენაა. მედალს ყოველთვის აქვს მეორე მხარე და დღეს, ვან გაალის „მეორე მხარეზე“ მოგითხრობთ.**

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს ტურის ან თუნდაც მთელი სეზონის სცენა იყო: წაქცეული, ბეჭებზე დაცემული ლუის ვან გაალი იცინოდა, თვალები ბედნიერებისგან უბრწყინავდა. მის მკლავებში კი **არიენ რობენი** იყო, ფეხბურთელი, რომელმაც რამდენიმე წამის წინ „ვერდერის“ კარში გაიტანა გოლი, რომელმაც „ბაიერნს“ უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოუტანა. სწორედ რობენის დამსახურებაა ის, რომ ვან გაალი ასეთ არანორმალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა: დაცემული მწვრთნელი, რომელიც სწორედ ამ სცენას გაურბოდა, გულში იხუტებდა შეგირდს, ვინც მის გუნდს წარმატება მოუტანა. ეს იყო მწვრთნელისა და ფეხბურთელის ისეთი სიახლოვე, როგორიც, წესით, დაუშვებელია! ყოველ შემთხვევაში, ნაღდად დაუშვებელია ვან გაალისთვის (მისი პიროვნებიდან, მისი ხასიათიდან და იმიჯიდან გამომდინარე) და დაუშვებელია სახალხოდ. მაგრამ ვან გაალმა რობენს ამის უფლება მისცა და ეს ყველაფერი მაშინ, როცა „ვეზერშტადიონზე“ დამონტაჟებული აბსოლუტურად ყველა კამერა სწორედ მისკენ იყო მიმართული.

აი, ასე გამომჟღავნდა აროგანტი, ამაყი და შეუდრეკელი, ვითომ ცივი გულის პატრონის, ლუის ვან გაალის მეორე, სულ სხვა, აქამდე ყველასათვის უცნობი სახე. გამომჟღავნდა ის, რასაც აქამდე ყველა „ეჭვობდა“: რამდენადაც მკაცრი, ავტორიტეტული და ცივსისხლიანი ჩანს ლუისი ვარედან, იმდენად მამაშვილური და თბილია შიგნიდან. და მას იუმორის გრძნობაც ჰქონია. მოკლედ, ჰოლანდიელი მწვრთნელი ერთი მხრივ დოქტორი ლუისია, მეორე მხრივ კი მისტერ ვან გაალი.

როდესაც ის მიუნხენის „ბაიერნის“ თავკაცად დაინიშნა, ყველა დააშინა და დააშომმინა. და ეს მხოლოდ მის შეგირდებს არ ეხებათ. მისი ეშინოდათ ჟურნალისტებსაც, რადგან საქვეყნოდ ცნობილი ამბავი იყო, ვან გაალი ყველაზე მეტად სწორედ პრესის წარმომადგენლებს ვერ იტანსო. შეგირდებისგან კი, პირველ ყოვლისა, დისციპლინას მოითხოვდა და მოითხოვს. მისი ეშინოდათ მსაჯებსაც, რადგან ცნობილი იყო, რომ ლუისი არბიტრების მიმართ ყოველთვის ძალიან კრიტიკულია და უკან არასდროს არაფერზე იხევს.

მოკლედ, „ბაიერნში“ დანიშვნის დღიდან ის ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ მის შესახებ გავრცელებული, ზემოთ ხსენებული ხმები ასი პროცენტით დაედასტურებინა და გაემყარებინა. შესაძლოა გახსოვდეთ მისი პირველი სიტყვები, პირველ პრესკონფერენციაზე: *„მე ამაყი, გულახდილი აროგანტი და დომინანტი ვარ,“* - ციტატა, რომელიც ზუსტად ესადაგებოდა მის პროფილს. მაშინ „ბაიერნის“ პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** ხუმრობით თქვა, მოვა დრო და ლუისი ამ სიტყვებს ინანებსო, მაგრამ ვან გაალი განაგრძობდა „ბულდოზერობას“, კამერების წინ ისე იქცეოდა, როგორც მოიქცევა ადამიანი, რომელიც მშვიდობაზე ხელს არასდროს მოაწერს და ჰოლანდიელი მწვრთნელი აბსოლუტურად არაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ სიმპათიები დაემსახურებინა.

გუნდს ძალიან გაუჭირდა ასეთ მწვრთნელთან შეგუება. ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან წინამორბედი **იურგენ კლინსმანი** (**იუპ ჰაინკესს** არ ვთვლით, რადგან ძალიან ცოტა ხანს იმუშავა) ვან გაალის ანტიპოდი იყო. ჰოდა, მუდამ მომღიმარი და გულახდილად თბილი კლინსის შემდეგ, ტოპვარსკვლავები რობენი და **ფრანკ რიბერი** დიდხანს ცდილობდნენ, ებრძოლათ და მწვრთნელს სრულიად არ დამორჩილებულიყვნენ, მაგრამ **ლუკა ტონის** ამბავმა ისინიც დააშომმინა. ტონისა და ლუისს შორის ურთიერთობა უკვე უაღრესად დაძაბული იყო, როცა ვან გაალი საერთო ვახშმის დროს მას პირისპირ დაუჯდა! ამით ყველას დაანახვა თავისი ძალა. ემოციურმა იტალიელმა ამ ყველაფერს ვერ გაუძლო და მიუნხენი დატოვა, დანარჩენები კი საბოლოოდ ვან გაალის კანონების „მონები“ გახდნენ.

დანიშვნიდან მხოლოდ 100 დღე იყო გასული, „ბაიერნს“ კრიზისი რომ დაუდგა, თამაშებს ვერ იგებდა. ჟურნალისტებმა, ჩვეულებისამებრ, რომ წამოსწიეს თემა ლუისის გათავისუფლებასთან დაკავშირებით. პრესკონფერენციაზე ვან გაალმა მათ აი, ასეთი სიტყვებით მიმართა: *„რა მოხდება, მე რომ გამაგდონ? კი, ბატონო, ვთქვათ, გამათავისუფლეთ, მაგრამ ვის დანიშნავენ? მითხარით, რომელი მწვრთნელია ჩემზე უკეთესი? დამისახელეთ თუნდაც ერთი სპეციალისტი, რომელიც მე მჯობია!“* ჟურნალისტებს, რა თქმა უნდა, არაფერი უთქვამთ. ერთი სიტყვით, ეს იყო დრო, როცა წარუმატებელი მატჩების შემდეგ ვან გაალი მხოლოდ გუნდზე ლაპარაკობდა და შეგირდების შეცდომებს განიხილავდა, წარმატებული მატჩების შემდეგ ხშირად ახსენებდა სიტყვას: *„ჩვენ“*.

ტურინის „იუვენტუსთან“ მოპოვებულმა გამარჯვებამ კი, რომელმაც რეკორდმაისტერი ყველასათვის მოულოდნელად ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გაიყვანა, ყველაფერი შეცვალა, თანაც კარდინალურად. გუნდს უმძიმესი ზეწოლა მოეხსნა და ვან გაალიც უცებ „დადნა“. ტურინული გამარჯვების შემდეგ ლუისი ჟურნალისტებს უფრო მეგობრულად ესაუბრებოდა. შედეგი: პრესა ვან გაალის ქებას მოჰყვა. ჩვენი გერმანელი კოლეგები უბრალოდ გახარებულები იყვნენ იმით, რომ ვან გაალი მათ შედარებით თბილად ელაპარაკებოდა.

ლუისი ფეხბურთელებთან ურთიერთობაშიც შეიცვალა – მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნის“ შეფებს ამის აღიარება არ სურთ. მართალია, ვარჯიშების დროს ისევ ხმამაღლა ყვირის, მაგრამ შეურაცხყოფას აღარავის აყენებსო, - ამბობს ერთი ფეხბურთელი, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა. წინა კვირაში ლუისმა ცუდი ამინდების გამო, ვარჯიშები შუადღისას გადაიტანა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, რომ ის უგებს ფეხბურთელებს, ეცოდება ისინი, განიცდის მათთან ერთად.

ერთადერთი პრობლემა, რომელიც ლუის ვან გაალს მოსაგვარებელი დარჩა, არის ურთიერთობა ფრანკ რიბერისთან და ზოგადად ფრანგი ფეხბურთელის მომავალი. რიბერის ერთ-ერთი მეგობარი ამბობს, - ფრანკი და ლუისი ერთმანეთისგან ისე განსხვავდებიან, რომ გამოვრიცხავ, ისინი ოდესმე ერთმანეთს დაუმეგობრდნენო. ფაქტია, რომ რიბერის გარდა, „ბაიერნის“ ყველა მოთამაშე უკვე ვან გაალის მეგობარია.

„ვერდერთან“ მატჩის შემდეგ, რეკორდმაისტერის გასახდელიდან გამაყრუებელი სიცილ-ხარხარი ისმოდა – მთელი გუნდი მწვრთნელთან ერთად უყურებდა სცენას, როდესაც ლუისს ფეხი დაუცდა, დაეცა და ზემოდან არიენ რობენი დაახტა. რამდენიმე კვირის წინ ამას კაციშვილი ვერ წარმოიდგენდა...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცამ**

მსოფლიოს ჩემპიონატების
გმირები საკრონედან კანავაროძდე
იტალია 1934

# მათიას ზინდელარი, გმირი და გამყიდველი

## როცა მის თანაგუნდელებს ხვრეტდნენ, მან გერმანიის ნაკრების კარის ხაზიდან ბურთი მოიგერია...

გულახდილად რომ ვთქვათ, 1934 წლის მუნდიალი ავსტრიის დიდი გუნდისთვის უკვე დაგვიანებული იყო და კიდევ უფრო გულახდილები რომ ვიყოთ, ამ გუნდს დიდების ხანა უკვე უკან ჰქონდა მოტოვებული, მის კაპიტანს კი საუკეთესო წლები და საერთოდ, ავსტრიამ 1934 წლის მუნდიალზე მეოთხე ადგილი დაიკავა, რაც ამ გუნდისთვის იმედგაცრუება იყო, მაგრამ **მათიას ზინდელარმა** მსოფლიოს მეორე ჩემპიონატზე უდიდესი კვალი დატოვა. ის დღემდე ავსტრიის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნევა და დღეს სწორედ მასზე ვისაუბრებთ, ავსტრიის დიდი გუნდის კაპიტანზე.

თუკი დღეს მის შესახებ საუბრობენ, პირველ რიგში პოლიტიკურ მრწამსს წამოაძახებენ ხოლმე და ამ საკითხზე დავობენ. იხსენებენ მის ნაადრევ სიკვდილსაც, მაგრამ როცა საქმე ზინდელარის საფეხბურთო შესაძლებლობებზე მიდგება, ყველა ერთ რამეზე თანხმდება: მათიასი გენიალური ფეხბურთელი იყო. ზინდელარი ქარივით ფეხბურთელი იყო, არასდროს შედიოდა და მოხდენილად არიდებდა თავს პირდაპირ ორთაბრძოლებს. მას მხოლოდ გოლების გატანა და ზოგადად, ფეხბურთის თამაში სურდა, ეს საქმე კი კარგად, ძალიან კარგად გამოსდიოდა. ავსტრიის სტადიონებზე ხალხი მისი „სპექტაკლის“ სანახავად დადიოდა.

ყოველ შემთხვევაში ასე ხდებოდა მისი კარიერის საუკეთესო წლებში, როცა ზინდელარი ვენის „აუსტრიისა“ და ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავდა და როცა ის საფეხბურთო ევროპამ გაიცნო. მათიას ზინდელარი 1903 წელს, დღევანდელი ჩეხეთის ტერიტორიაზე, სოფელში დაიბადა და ვენაში, ღარიბთა უბანში, საკმაოდ მძიმე პირობებში გაიზარდა. მამამისი პირველ მსოფლიო ომში დაიღუპა და მათიასს ბავშვობიდანვე მოუხდა ოჯახზე ზრუნვა. საფეხბურთო კარიერაც მძიმედ და უფერულად დაიწყო. ზინდელარი გულჩათხრობილი და ჩაკეტილი ადამიანი იყო, რის გამოც საკმაოდ გაუჭირდა სხვადასხვა გუნდში თავის დამკვიდრება. 1923 წელს მან მენისკის ოპერაცია გაიკეთა და ძლივს იხსნა თავისი კარიერა.

ზინდელარი ვენის „აუსტრიაში“ გაბრწყინდა და მიუხედავად იმისა, რომ დიდი ტიტულები არ მოუგია, გუნდის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა, რის შემდეგაც მთელი ევროპიდან უამრავი კარგი წინადადება მიიღო. ზინდელარმა ავსტრიის ნაკრებში საკმაოდ ახალგაზრდულ ასაკში ჩაატარა 14 თამაში, რის შემდეგაც, 1928 წელს ავსტრიის საფეხბურთო კავშირის „კაპიტანმა“ **უგო მაისლმა** მის გამოძახებაზე უარი თქვა, მიზეზად კი, ზინდელარის ეგოისტობა დაასახელა - ბურთი ზედმეტად უყვარს, პასს არავის აძლევსო. მიუხედავად ამისა, ზინდელარს ერთხელაც არ უთქვამს უარი საკუთარ თავზე და ყოველთვის ამბობდა, მე არასდროს შევიცვლებიო.

მართლაც, კარიერისა და საერთოდ, ცხოვრების ბოლომდე, არც კლუბი შეუცვლია და არც სათამაშო სტილი. ვენის „აუსტრიაში“ მან ორჯერ მოიგო ჩემპიონთა თასის წინამორბედი თასი (1933 და 1936 წლებში) და ბრწყინავდა „ავსტრიის დიდ გუნდშიც“, რომელსაც 1931-დან 1933 წლამდე ევროპა დაპყრობილი ჰქონდა. ჰო, ზინდელარი ავსტრიის ნაკრებში 1931 წელს, ხალხის მოთხოვნით დაბრუნდა.

1934 წლის მუნდიალზე ავსტრიის ნაკრებისგან ძალიან ბევრს ელოდნენ. ავსტრია მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი გახლდათ. სამწუხაროდ, ავსტრიელებმა იმედები ვერ გაამართლეს - ერთი მხრივ, ძალიან მძიმე პირობებში მოუხდათ მუნდიალზე გამგზავრება და თამაშების დროს ეს გუნდი საერთოდ აღარ ჰგავდა ვუნდერ-გუნდს. მანამდე ავსტრიის ნაკრები არაერთმა ფეხბურთელმა დატოვა, უცხოეთში წავიდნენ და ამრიგად, ავსტრიის ნაკრებისთვის მიუწვდომლები გახდნენ. ამას დაემატა რამდენიმე წამყვანი მოთამაშის ტრავმიანობა და ისიც, რომ ბევრ ლიდერს კარიერის საუკეთესო წლები უკან ჰქონდა მოტოვებული. ერთი სიტყვით, ავსტრიის დიდი გუნდისთვის მუნდიალი უკვე დაგვიანებული იყო.

ავსტრიამ კინაღამ მერვედფინალშივე წააგო! ზინდელარი და კომპანია საფრანგეთს ხვდებოდნენ და გამარჯვების მოპოვება მხოლოდ დამატებით დროშიღა მოახერხეს (3:2, ძირითადი დრო 1:1 დამთავრდა). ზინდელარმა გოლი და საგოლე პასი მიითვალა. მომდევნო მატჩში, უნგრეთთან (2:1 ავსტრიელთა სასარგებლოდ), ზინდელარმა და კომპანიამ თავიანთი „კლანჭები“ ფაქტობრივად უკანასკნელად გამოაჩინეს და ნახევარფინალში „მუსოლინის იტალიასთან“ დამარცხდნენ. იტალიასთან თვით ზინდელარმაც კი ვერაფერი გააწყო - მათიასი, რომელიც მეტოქე გუნდის ფეხბურთელებს უპრობლემოდ ატყუებდა, მოულოდნელად მუნდიალის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სასაცილო მატჩის მონაწილე გახდა.

მატჩის არბიტრი **ივან ეკლინდი** გახლდათ, რომელიც შეხვედრის წინა დღეს **მუსოლინის** საპატიო სტუმარი იყო... სწორედ ამ არბიტრმა ჩათვალა ერთადერთი და გამარჯვების გოლი, რომელიც ასე „გავიდა“: ორმა იტალიელმა ავსტრიელთა მეკარე **პლატცერს** ბურთი კარში „შეატანინა“. ეკლინდმა გოლი ჩათვალა! მოგვიანებით მსაჯმა ავსტრიელთა ერთ-ერთი შეტევისას, ჩაწოდების შემდეგ, ბურთი თავით თვითონ მოიგერია (!!!) და იტალიელ **მონტის** აბსოლუტურად არაფერს ეუბნებოდა, როცა ეს უკანასკნელი ზინდელარს ჯალათივით ექცეოდა... ეს მხოლოდ ის ფაქტებია, რაც ისტორიამ შემოინახა.

მოკლედ, აი, ასე დამთავრდა ავსტრიის დიდი გუნდის ოცნება. მესამე ადგილისთვის მატჩში ზინდელარს და მის მეწყვილე **შალს** აღარ უთამაშიათ (რაც მათ სჭირდათ, ამას ტრავმაც აღარ ერქვა) და ლიდერების გარეშე დარჩენილმა ავსტრიელებმა გერმანიასთან 2:3 წააგეს. დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ავსტრიის ნაკრებმა ვითარების გათვალისწინებით, 1934 წელს მაქსიმუმი მოახერხა, მაგრამ ავსტრიაში ამის გაგონება არავის სურდა. ზინდელარი და კომპანია თანამემამულეებმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს.

1938 წელს გერმანულმა რაიხმა ავსტრია შეიერთა და 3 აპრილს ნაცისტური რეჟიმი დამყარდა. ეგრეთ წოდებულ, „შეერთების მატჩში“ ერთმანეთს გერმანია და ავსტრია შეხვდნენ. გაუქმდა ავსტრიის ნაკრები და არსებობს ცნობები, რომ ნაკრების ის წევრები, ვინც გუნდის გაუქმებას აპროტესტებდნენ, დახვრიტეს. ზინდელარი გადარჩა და გადარჩა იმიტომაც, რომ მას პროტესტი არ გამოუთქვამს და პირიქით, ავსტრია გერმანიას 1:0-ს რომ უგებდა, ბურთი გერმანელთა კარის ხაზიდან გამოიტანა (!), რათა ანგარიში 2:0 არ გამხდარიყო. მაშინ ზინდელარი 35 წლის გახლდათ.

ათი თვის შემდეგ, 1939 წლის 23 იანვარს მათიას ზინდელარი გარდაცვლილი იპოვეს - თავის საწოლში, უგონოდ მყოფ საცოლესთან ერთად, რომელიც ასევე მალევე გარდაიცვალა, თანაც ისე, რომ აზრზე არ მოსულა. ზინდელარის სიკვდილი დღემდე საიდუმლოებითაა მოცული. არავინ იცის, ეს უბედური შემთხვევა იყო, თვითმკვლელობა თუ მკვლელობა. არსებობს ცნობა, რომ შედგა გამოძიების აქტები, მაგრამ ომის დროს ყველაფერი დაიკარგა.

ვინ იყო მათიას ზინდელარი? მონა, რომელიც ნაცისტების მეგობარი გახდა? ნაცისტი, რომელმაც ებრაელ მეზობელს კაფეტერია წაართვა? ამ კითხვებზე ავსტრიელ მწერალ **ალფრედ პოლგარს** ასეთი პასუხი აქვს:

*„მას ფეხებში სული ჰქონდა და ფეხბურთის თამაშისას სასწაულებს აკეთებდა. მათიას ზინდელარს ჩვენ ვიცნობთ, როგორც დიდ ფეხბურთელს. სხვა საკითხები კი ხალხმა, ისტორიამ უნდა განსაჯოს.“*





რეფორმა



# ფიზკულტურის გაკვეთილებს სპორტი ჩაანაცვლებს

საჯარო სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილების სპორტის გაკვეთილებით შეცვლასთან დაკავშირებით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრ **ნიკოლოზ რურუასთან** და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაურთან** ერთად სპორტის სხვადასხვა სახეობის ფედერაციების ხელმძღვანელებსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს და პრიზიორებს შეხვდა. განიხილეს პროექტი, რომელიც მომავალ სასწავლო წელს საჯარო სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილების სპორტის სხვადასხვა სახეობით შეცვლას ითვალისწინებს.

იმსჯელეს, თუ რა ფორმით უნდა მოხდეს სკოლებში სპორტის გაკვეთილების დანერგვა ისე, რომ გათვალისწინებული იყოს როგორც სკოლის, ასევე თითოეული მოსწავლის სურვილი და შესაძლებლობები. შეთანხმდნენ, რომ შეიქმნება სპეციალური ჯგუფი, რომელიც იმუშავებს პროექტის დახვეწაზე, აპრილში სკოლებში სპორტის სხვადასხვა სახეობის ადაპტაცია საპილოტო რეჟიმში განხორციელდება, ხოლო ახალი სასწავლო წლიდან კი პროექტი სრული დატვირთვით განხორციელდება.

ფიზკულტურის გაკვეთილების სპორტის გაკვეთილებით შეცვლა საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივაა და მოზარდებში სპორტის პოპულარიზაციას ითვალისწინებს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, საქართველოში 2179 საჯარო სკოლიდან სპორტული დარბაზი 1569, ხოლო სპორტული მოედანი 2015 სკოლას აქვს, მაგრამ ფიზკულტურის გაკვეთილები მაინც არაპოპულარულია. ამიტომ მას სპორტის გაკვეთილები ჩაანაცვლებს.

**დიმიტრი შაშკინი:** ამ რეფორმით მივაღწევთ ძირითად მიზანს - ბავშვმა იცხოვროს ჯანსაღი ცხოვრებით. ფიზკულტურის გაკვეთილების სპორტის გაკვეთილებით შეცვლის ახალი სასწავლო გეგმა მზად აპრილში იქნება. პირველ ეტაპზე შეირჩევა 50 სკოლა, ხოლო სექტემბრიდან სპორტის გაკვეთილები ყველა სკოლაში დაინერგება. გაერთიანდება ჩვენი და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს რესურსები და ახალი პროექტი ერთიანი ძალებით განხორციელდება.

**ნიკოლოზ რურუა:** ვფიქრობ, მართლაც მნიშვნელოვანი რეფორმა გატარდება, რისი მთავარი მიზანი ისაა, რომ სკოლებში სპორტი დაბრუნდება და რაც მთავარია, ეს ახალი და გაცილებით უფრო ეფექტური სისტემით განხორციელდება. ფიზკულტურის გაკვეთილები ძველი ფორმით აღარ იარსებებს და მას სხვადასხვა სკოლაში სხვადასხვა სპორტის სახეობა ჩაანაცვლებს. ჩვენ სკოლებს მივცემთ უფლებას, შეარჩიონ სასურველი სპორტის სახეობა, რაშიც მაქსიმალურად შევუწყობთ ხელს.

**მანუჩარ კვირკველია** (ოლიმპიური ჩემპიონი): მივესალმები რეფორმას და მოხარული ვარ, რომ სპორტის როლი სკოლებში მნიშვნელოვნად გაიზრდება. რაც უფრო მეტი ახალგაზრდა დაკავდება ადრეული ასაკიდან სპორტით, მით უფრო უკეთესი იქნება ქვეყნისთვის.

*სპორტის დეპარტამენტის პრესსამსახური*

თავისუფალი ჭიდაობა

საქართველოს ჩემპიონატი

# დათოვლილი ჩემპიონატი

ბათუმი უჩვეულო დიდთოვლობით შეხვდა საქართველოს წლევანდელ ჩემპიონატს - სამშაბათ საღამოს დაწყებულმა თოვამ ისედაც ქათქათა ქალაქი სულ მთლად გადაათეთრა. გუშინ დილით ქალაქში სატრანსპორტო პრობლემებიც შექმნა, რამაც ბათუმელებზე მეტად დედაქალაქიდან მატარებლით ჩასული მგზავრები დაგვაზარა - სადგურში ავტობუსებისა და მიკროავტობუსების ჭაჭანება არ იყო, ორიოდე ტაქსისტის გამბედაობა კი მთელ მატარებელს არ ეყოფოდა. ამიტომ სადგურში ერთსაათიანი ლოდინის შემდეგ ფეხით გავეშურეთ ბათუმისკენ. აღელვებული ზღვის გვერდით ხვავიელ ბარდნაში სიარული პირადად ჩემთვის სასიამოვნო რომანტიკა იყო, რასაც ვერ ვიტყვი ქალებსა და პატარა ბავშვებზე. დაახლოებით დილის ცხრა საათისთვის კანტი-კუნტად მუნიციპალური ტრანსპორტიც გამოჩნდა, მაგრამ იმდენად გადატვირთული, ისევ ფეხით სიარული ვარჩიეთ. ორიოდე თანამგზავრთან ერთად ასე ჩამოვედი მახინჯაურიდან ბონამდე, იქ კი ჩვენც გაგვიღიმა ბედმა - ერთ ადგილობრივს თოვლში მოცურებული მანქანის ამოყვანაში დავეხმარეთ, სანაცვლოდ კი მადლიერმა მძღოლმა ქალაქის ცენტრში გამოგვიყვანა, თუმცა დიდი თოვლისა და მოყინული გზების გამო საქალაქო თუ კერძო ტრანსპორტი იქაც მეჩხრად დადიოდა.

დიდთოვლობას საქართველოს ჩემპიონატი ოდნავადაც არ შეუფერხებია. მასპინძლებმა ახლაც წარმატებით გაართვეს თავი დაკისრებულ ამოცანას. მართალია, გუშინ ერთხელ დარბაზში შუქი კი გაითიშა, მაგრამ ეს უფრო ტექნიკური პრობლემა იყო და დიდთოვლობა არაფერ შუაშია. ეს ხარვეზიც ორიოდ წუთში გამოსწორდა და ყველაფერი წესისამებრ წარიმართა.

გუშინ შეხვედრები ოთხ წონით კატეგორიაში (55, 60, 66 და 74 კგ) გაიმართა. იმ მიზეზების გამო, რაც ადრეც არაერთხელ დაგვიწერია - ზემდგომთა მკაცრი მოთხოვნით, ვინც ქვეყნის პირველობას თავს აარიდებს, ვერც ნაკრებში მოხვდება და ხელფასიც შეუმცირდებაო, ჩემპიონატმა ყველა უძლიერესს მოუყარა თავი. გუშინ ტიტულოვანთაგან მხოლოდ ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ბესარიონ გოჩაშვილი** (55) და **გიორგი მაყიშვილი** (60) არ ჭიდაობდნენ, სხვები კი უკლებლივ გამოვიდნენ ხალიჩაზე. სამაგიეროდ, დღეს იქნება დანაკლისი. განსაკუთრებით, მძიმე წონაში, თუმცა ამაზე ქვემოთ. საყურადღებოა, რომ მხოლოდ გუშინ 130 ფალავანი ჭიდაობდა, 74 კილოგრამში კი სულაც მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობა ვიხილეთ - 49 ათლეტი. სწორედ ამის გამო შეჯიბრება უჩვეულოდ დიდხანს გაგრძელდა - 21 საათამდე. ალბათ, აჯობებს, ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილეობის სისტემა დაიხვეწოს და კვოტები შემოიღონ. ამით მონაწილეთა რაოდენობაც შემცირდება და ტურნირსაც ოპტიმალურ ვადებში დაამთავრებენ.

...გოჩაშვილის ტრავმამ ცხადი გახადა, რომ ამ წონაში ახალი ჩემპიონი გვეყოლებოდა. საკითხავი მხოლოდ მისი ვინაობა იყო. მისასალმებელია, რომ ის მართლაც ახალი და ახალგაზრდაა - ფინალში ახალი თაობის ორი გამორჩეული წარმომადგენელი გავიდა - ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, გორელი **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** და საჩხერელი **გივი დავიდოვი**. ხინჩეგაშვილი 18 წლისაა, თუმცა 2009 წლის ქვეყნის პირველობაზე უფროსებს ტოლი არ დაუდო და ჩემპიონი გახდა. შარშან მან ჭაბუკებიდან ახალგაზრდებში გადაინაცვლა, თან წონაც შეიცვალა და ცოტა გაუჭირდა ადაპტაცია, აი, მანამდე კი ერთდროულად ორ ნაკრებში ჭიდაობდა - ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში და ორივეგან უდიდესი წარმატებით, რასაც საშინაო არენაზე მოპოვებული მედლებიც მიემატა. ასევე კარგადაა ნაცნობი დავიდოვი, თუმცა მას ასაკობრივ ნაკრებებში მოხვედრა უჭირდა, ახლა კი პირდაპირ ეროვნულის კარს შეუტია... ერთი შეხედვით, წარმატებითაც - პირველი პერიოდი მოიგო, მაგრამ მარცხის საშიშროებამ ხინჩეგაშვილი გამოაფხიზლა და მომდევნო ორში ერთნაირი ანგარიშით - 2:0 იმარჯვა. გორელმა ოთხივე ქულა ილეთით მოიპოვა და არა წილისყრის შემდგომ ფეხში შესვლით. წინასწარი შეხვედრები ორივემ მაღალ დონეზე ჩაატარა და ძლიერი მეტოქეებიც დაამარცხეს. მათ შორის, ორივე ბრინჯაოს პრიზიორი - ხინჩეგაშვილმა **გიორგი ედიშერაშვილი** დაჯაბნა, დავიდოვმა - ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორი **ლაშა ლომთაძე**.

მასპინძლებს გუშინ ორი ოქროს მოპოვება შეეძლოთ, მაგრამ ერთი ირგუნეს - **მალხაზ ზარქუამ** ევროპის შარშანდელი მესამე პრიზიორი **მალხაზ ქურდიანი** დამატებით დროში დაამარცხა. თანაც იმდენად ალალად, ძალიანაც რომ გინდოდეს, შარს ვერაფრით მოსდებ. წინა ფინალის მსგავსად, თავიდან აქაც დამარცხებული, ანუ ქურდიანი დაწინაურდა, მაგრამ მეორეში ზარქუას წილისყრამ გაუმართლა, როცა ფეხში შესვლის უფლება არგუნა. ამით ზღვისპირელმა ანგარიში გაათანაბრა, მესამეში კი ჩოქბჯენში გადაყვანით თავისით მოიპოვა ერთი ქულა - არანაირი მონეტა და მსაჯთა სიმპათიები მასპინძელისადმი! ქურდიანმა ნახევარფინალში ძირითად დროში **გიორგი ბალიაშვილი** დაამარცხა. ამ წონაში კარგი ჭიდაობით ახალგაზრდებმაც დაგვამახსოვრეს თავი - გორელმა **თენგიზ ჩოჩიშვილმა** და მისმა თანაქალაქელმა დავით ბერძნიშვილმა, ქუთაისელმა **მურთაზ კვესაძემ**... განსაკუთრებით დრამატული ბერძნიშვილისა და კვესაძის ორთაბრძოლა გამოდგა - დამატებით პერიოდში კვესაძე 2:0-ს იგებდა, მაგრამ ბერძნიშვილმა სამჯერ თითოქულიანზე გადაიყვანა. მერე ბერძნიშვილი ძირითად დროში ზარქუასთან დამარცხდა.

მასპინძლებს მეორე ოქროს მოპოვება 66-შიც შეეძლოთ, მაგრამ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა და ოლიმპიურმა პრიზიორმა **ოთარ თუშიშვილმა** არ დაანება - ევროპის ვიცე-ჩემპიონი **კობა კაკალაძე** ორ სეტში თავისუფლად დაჯაბნა. *„კაკალაძე კარგი მეტოქეა და მიხარია, წონაში ასეთი კონკურენტი რომ მყავს. ჩვენ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, თუმცა მოგება არ გამჭირვებია, ფინალში ჩემი შესაძლებლობები იმდენად გამოვავლინე, რაც მოსაგებად მჭირდებოდა. თუ მეტი გახდებოდა საჭირო, მაშინ მოვუმატებდი“*, - განაცხადა ფინალის დასრულების შემდეგ თუშიშვილმა. მან მართლაც იოლად მოუგო მეტოქეს ძირითად დროში, საერთოდაც, ჩინებულად იჭიდავა - ხუთი შეხვედრიდან სამი წმინდად მოიგო.

კაკალაძის ორთაბრძოლებიდან აღვნიშნავთ ნახევარფინალში გამარჯვებას **შალვა მუზიაშვილთან**.

მთლად ასე წმინდა გდებებით არა, მაგრამ მაინც თავისუფლად მოიგო **გელა სალირაშვილმაც** (74), რომელსაც ყველაზე ძნელი ბრძოლები, ალბათ, მაინც ევროპის შარშანდელ მესამე პრიზიორ, საგარეჯოელ **დავით ხუციშვილსა** და მასპინძელთა წარმატებულ ახალგაზრდა ფალავან **მარადი ზოიძესთან** გადახდა. სალირაშვილმა ფინალი ორ სეტში მოიგო.

ამ წონაში სცადა ძალა ევროპის მესამე პრიზიორმა **მალხაზ მუზიაშვილმა**, მაგრამ პირველივე წრეში ხონელ **გიორგი სანოძესთან** დამარცხდა.

ძირითადი შეხვედრების დასრულების შემდეგ, ტრადიციულად, ნაკრების მწვრთნელებმა ბრინჯაოსმედალოსნები ერთმანეთში აჭიდავეს მათ შორის უმჯობესის გამოსავლენად. ამ ბრძოლებში გიორგი ედიშერაშვილმა (55), გიორგი ბალიაშვილმა (60), შალვა მუზიაშვილმა (66) და დავით ხუციშვილმა (74) გაიმარჯვეს ანუ ნაკრების მესამე ნომრები გახდნენ.

გუშინვე მოეწყო იმ სამი წონითი კატეგორიის წილისყრა, სადაც ასპარეზობები დღეს უნდა გაიმართოს. ჯერ მძიმეწონოსანთა შეპირებულ დანაკლისზე - ვერ იჭიდავებს **გიორგი ნიკურაძე**, საკმაოდ მძიმე ოჯახური პრობლემების გამო ტურნირს ბოლო დღეებში **დავით ოთიაშვილიც** გამოაკლდა. წილისყრა განთესვით კი ტარდება, მაგრამ 96-ში **გიორგი გოგშელიძესთან** ადრეულ ეტაპზე ყაზბეგელი **ლევან სეთურიძე** მაინც მოხვდა. აქვე, გამოდის **ლერი ქეთიშვილიც**, რომელიც უწინ 84-ში ჭიდაობდა. აგრეთვე, **დაჩი ქერაშვილიც**. 84-ში ასპარეზი ძირითადად ახალგაზრდებს რჩებათ. სასიამოვნოა, რომ აქ ყველა ნიჭიერი ახალგაზრდა იჭიდავებს.

**ირაკლი თავაძე**

**კვარცხლბეკი**

55 კგ. 1. **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (გორი); 2. **გივი დავიდოვი** (საჩხერე); 3. **გიორგი ედიშერაშვილი** (თბილისი); 3. **ლაშა ლომთაძე** (ქუთაისი).

60 კგ. 1. **მალხაზ ზარქუა** (აჭარა); 2. **მალხაზ ქურდიანი** (ბოლნისი); 3. **თენგიზ ჩოჩიშვილი** (გორი); 3. **გიორგი ბალიაშვილი** (გორი).

66 კგ. 1. **ოთარ თუშიშვილი** (გორი); 2. **კობა კაკალაძე** (აჭარა); 3. **გიორგი ცუცქირიძე** (ქუთაისი); 3. **შალვა მუზიაშვილი** (გორი).

74 კგ. **გელა სალირაშვილი** (თბილისი); 2. **იაკობ მაქარაშვილი** (თბილისი); 3. **პაატა ნოზაძე** (ქუთაისი); 3. **დავით ხუციშვილი** (საგარეჯო).

სამთო თხილამურობა

# ბაკურიანიდან გუდაურამდე

საქართველოს სამთომოთხილამურეთა ჩემპიონატში უკვე ორი ეტაპი გაიმართა. მოასპარეზენი ორივეჯერ ბაკურიანში შეიკრიბნენ, ჯერ 9-10, შემდეგ კი 23-24 იანვარს. მონაწილეობენ მოთხილამურეები ბაკურიანიდან, გუდაურიდან, მესტიიდან, აჭარიდან (პირველად) და თბილისიდან. ჩემპიონატი ვაჟთა და გოგონათა შორის სამ ასაკობრივ ჯგუფში ტარდება – 11-12, 13-14 და 15-19-წლამდელებში.

## 9 იანვარი. ბაკურიანი. სპეციალური სლალომი

**ბიჭები. 11-12 წ:** 1. გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი), 2. ლევან ჯაფარიძე, 3. ანზორ ჯაფარიძე (ორივე - მესტია). **13-14 წ:** 1. ნიკოლოზ კოზანაშვილი, 2. გიორგი ბარბარიანი (ორივე - ბაკურიანი), 3. ზაზა დეკანაძე (აჭარა). **15-19 წ:** 1. დავით გავა, 2. დავით თედიაშვილი, 3. კახა კურტანიძე (სამივე - ბაკურიანი).

**გოგონები. 11-12 წ:** 1. ილონა შავაძე (აჭარა), 2. ანი ჩოლოყაშვილი (თბილისი).

**13-14 წ:** 1. სუსანა გავა, 2. თაკო ბაქრაძე (ორივე - ბაკურიანი), 3. ნატა მგელაძე (თბილისი). **15-19 წ.** 1. თამუნა ჯალმაიძე (გუდაური), 2. ნატაშა გავა, 3. ანი კიკნაძე (ორივე - ბაკურიანი).

## 10 იანვარი. ბაკურიანი. გიგანტური სლალომი

**ბიჭები. 11-12 წ:** 1. გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი), 2. ერეკლე ბაგალიშვილი (თბილისი), 3. ლევან ჯაფარიძე (მესტია). **13-14 წ:** 1. ნიკოლოზ კოზანაშვილი, 2. სოსო ბაკაევი, 3. გიორგი ბარბარიანი (სამივე - ბაკურიანი). **15-19 წ:** 1. დავით თედიაშვილი, 2. დავით გავა, 3. ზურაბ ბაქრაძე (სამივე - ბაკურიანი).

**გოგონები. 11-12 წ:** 1. ანი ჩოლოყაშვილი (თბილისი), 2. ილონა შავაძე (აჭარა).

**13-14 წ:** 1. სუსანა გავა, 2. თაკო ბაქრაძე (ორივე - ბაკურიანი), 3. ანა აბრამაშვილი (თბილისი). **15-19 წ:** 1. ნატაშა გავა (ბაკურიანი), 2. თამუნა ჯალმაიძე (გუდაური), 3. ანი კიკნაძე (ბაკურიანი).

## 23 იანვარი. ბაკურიანი. სპეციალური სლალომი

**ბიჭები. 11-12 წ:** 1. ვიტალი ფერაძე (ბაკურიანი), 2. ერეკლე ბაგალიშვილი (თბილისი), 3. ზაზა ოგბაიძე (გუდაური). **13-14 წ:** 1. ნიკოლოზ კოზანაშვილი (ბაკურიანი), 2. სოსო ჯაფარიძე (გუდაური), 3. სოსო ბაკაევი (ბაკურიანი).

**15-19 წ:** 1. კახა კურტანიძე, 2. დავით გავა (ორივე - ბაკურიანი), 3. ირაკლი ჩხეიძე (გუდაური).

**გოგონები. 11-12 წ:** 1. ანასტასია კვირიკაძე (გუდაური), 2. მარიამ გეგენავა (თბილისი), 3. თაკო ნაზღაიძე (გუდაური). **13-14 წ:** 1. სუსანა გავა (ბაკურიანი), 2. თამუნა ბენიაიძე (გუდაური), 3. თაკო ბაქრაძე (ბაკურიანი). **15-19 წ:** 1. თამუნა ჯალმაიძე (გუდაური), 2. ნატაშა გავა (ბაკურიანი), 3. ნინო ჯალმაიძე (გუდაური).

## 24 იანვარი. ბაკურიანი. გიგანტური სლალომი

**ბიჭები. 11-12 წ:** 1. დავით ხომერიკი (გუდაური), 2. გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი), 3. ერეკლე ბაგალიშვილი (თბილისი). **3-14 წ:** 1. სოსო ბაკაევი (ბაკურიანი), 2. გოგა ოგბაიძე (გუდაური), 3. ნიკოლოზ კოზანაშვილი (ბაკურიანი). **15-19 წ:** 1. კახა კურტანიძე, 2. დავით გავა (ორივე - ბაკურიანი), 3. ირაკლი ჩხეიძე (გუდაური).

**გოგონები. 11-12 წ:** 1. ანასტასია კვირიკაძე, 2. ლიზი გეგენავა (ორივე - გუდაური), 3. მარიამ გეგენავა (თბილისი). **13-14 წ:** 1. სუსანა გავა, 2. თაკო ბაქრაძე (ორივე - ბაკურიანი), 3. ელენე ჩხეიძე (გუდაური). **15-19 წ:** 1. ნატაშა გავა (ბაკურიანი), 2. თამუნა ჯალმაიძე (გუდაური), 3. თამილა ჯორბენაძე (აჭარა).

ჩემპიონატის შემდეგ ეტაპს, რომელიც 6-7 თებერვალს ჩატარდება, გუდაური უმასპინძლებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# მსოფლიოს თასზე ისევ ხელი მოეცარა

თუ ოლიმპიურ თამაშებს და მსოფლიოს ჩემპიონატებს არ ჩავთვლით, მსოფლიოს თასის ეტაპები სამთომოთხილამურეთათვის ყველაზე პრესტიჟული და შემოსავლიანია. ქართველები სპორტის ამ სახეობაში დიდი შედეგებით ვერ დავიკვეხნით, ისიც მიღწევაა, როცა ქართველი მოთხილამურე მსოფლიოს თასის ეტაპზე გამოსვლის უფლებას მოიპოვებს და შესაძლებლობა ეძლევა დაამტკიცოს, რა შეუძლია.

21 წლის **იასონ აბრამაშვილმა** სლალომის მსოფლიოს თასის კიდევ ერთ ეტაპზე (სეზონში მეორე, კარიერაში მეოთხე) იასპარეზა. კიცბიულის შემდეგ შლადმინგის ჯერი იყო. საქართველოს ნაკრების ლიდერმა ვერც ამ ავსტრიულ კურორტზე ივარგა. პირველი ცდა 23-მა სპორტსმენმა ვერ ჩაამთავრა და მათ შორის იასონიც იყო. ეტაპი ავსტრიელმა **რაინფრიდ ჰერბშტმა** მოიგო -1:45,91 წუთი. ვაჟთა სლალომის მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი კრანიშკა გორაში (სლოვენია) ჩატარდება.

26 და 27 იანვარს იტალიურ ფოლგარიაში ფის-ის ეგიდით ორი გიგანტური სლალომი გაიმართა. პირველში **ალექსი ბენიანიძე** 59-ე იყო, **ბიძინა ქართველიშვილი** კი 98-ე (სულ 99-მა მოთხილამურემ მიაღწია ფინიშამდე). მეორე დღეს ბენიანიძემ 39-ე პოზიცია დაიკავა, ხოლო ქართველიშვილს მეორე ცდა გაუცუდდა.

ვანკუვერის ოლიმპიადის მონაწილე **ნინო წიკლაურმა** იტალიურ აბეტონე ოვოვიაში „სითიზენის“ ეგიდით გამართულ სლალომში საკმაოდ კარგი შედეგი (მე-8 ადგილი) აჩვენა -1:44,66 წუთი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინტერვიუ

ზაზა ფაჩულიასთან

# ევრობასკეტის მსურველ ნაკრებს უკეთესი შიდა ჩემპიონატი სჭირდება



25 იანვარს „ატლანტამ“ ჰიუსტონში მოიგო. მას მერე ზაზა ფაჩულიას გუნდი ტეხასში ორი დღით დარჩა და 27-ში, თბილისის დროით გამთენიისას „სან ანტონიო სპურსთან“ ითამაშა. ფაჩულიას სწორედ ამ შეხვედრის წინ დავუკავშირდით, „ატლანტას‘ წარმატების საიდუმლოც გამოვიკითხეთ, სანაკრებო წილისყრასა და ეროვნულის პერსპექტივებსაც შევეხეთ.

**- უახლესი ამბებით დავიწყოთ. „ატლანტამ“ ჰიუსტონში 1999 წლის შემდეგ პირველად მოიგო.**

- რთული მატჩი იყო. მოხარული ვარ, რომ გავიმარჯვეთ. ეს მოგება მნიშვნელოვანი იმითაც იყო, რომ აღმოსავლეთის კონფერენციის მეორეადგილოსან „ბოსტონთან“ სხაობა შევამცირეთ. ამასობაში მეოთხე ადგილზე მყოფმა „ორლანდომ“ წააგო და კონფერენციაში მესამე ადგილი განვიმტკიცეთ. ბოლო ორი სეზონია, პლეი ოფში ვთამაშობთ და კარგად ვაცნობიერებთ, რა მნიშვნელობა აქვს მოედნის უპირატესობას. სწორედ ამიტომ გვინდა, რეგულარული ჩემპიონატი ცხრილის „მწვერვალზე“ დავასრულოთ.

**- „ატლანტა“ წლიდან წლამდე პროგრესირებს. ამ სეზონში ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესოა. საინტერესო იქნება წარმატების საიდუმლოს შენეული ახსნა.**

- კლუბის გენერალურ მენეჯერად ბილი ნაითსი ხუთი წლის წინათ მოვიდა. მან გუნდის შენება ნულიდან დაიწყო, აიყვანა ახალგაზრდა კალათბურთელები და გათვალა, რომ რამდენიმე წელიწადში ისინი დიდი მიზნებისთვის ბრძოლას შეძლებდნენ. მაგალითად, ჯოშ სმიტი და მერვინ უილიამსი „ატლანტაში“ რომ ჩაირიცხნენ, 19 წლისანი იყვნენ; მე 21-ის ვიყავი. ამჟამად 23-25 წლისები ვართ, რაც საკალათბურთო თვალსაზრისით საუკეთესო ასაკია. ასევე გვყავს ელ ჰორფორდი, ლიგაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მეფარე. ხელმძღვანელობამ ის იდა, რომ მხოლოდ ახალგაზრდებით ფონს ვერ გავიდოდით. ამიტომ ადრევე გადმოიყვანა ჯო ჯონსონი, შემდეგ მაიკ ბიბი დაიმატა, ხოლო ამ სეზონის დასაწყისში ჯამალ კროუფორდი და ჯო სმიტი შემოგვიერთდნენ. ახლა გუნდში ყველაზე ასაკოვნები ბიბი და ჯო სმიტი არიან. ბიბის არაერთხელ გადაუწყვეტია მატჩების ბედი ბოლო წუთებზე.

**- ჯამალ კროუფორდმაც საგრძნობლად გაგაძლიერათ...**

- „ჰოქსი“ თამაშს წლიდან წლამდე აუმჯობესებს-მეთქი, ზემოთ გითხარით. ამ სეზონში დიდი ნახტომი გავაკეთეთ, რაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ახალწვეულ ჯამალ კროუფორდზე. იგი სათადარიგოა, თუმ კა შეტევაში ძალიან ეფექტურია. ხშირად გუნდის სნაიპერიც ხდება. ჩემი აზრით, ჯამალი NBA-ში პირველი კანდიდატია საუკეთესო მეექვსე კალათბურთელის ნომინაციაში.

**- კიდევ ერთ სათადარიგოზე გკითხავ. საშუალოდ 14 წუთს თამაშობ...**

- ცხადია, მცირე სათამაშო დროით კმაყოფილი არ ვარ. მინდა, მეტი ვითამაშო და გუნდს მეტად გამოვადგე, მაგრამ კალათბურთელთათვის დროის განაწილება მწვრთნელის გადასაწყვეტია. თუმცა ვცდილობ, დროის სიმცირეზე ნაკლებად ვიფიქრო, რადგან გუნდი კარგადაა აწყობილი და თამაშს თამაშზე იგებს. მოედანზე 10 წუთს გავატარებ თუ მეტს, ვცდილობ, გუნდს მაქსიმალურად დავეხმარო. ვფიქრობ, ამას მეტ-ნაკლებად ვახერხებ კიდეც. ახლა მხოლოდ მიმდინარე სეზონზე ვფიქრობ, რადგან არის შანსი, კარიერაში მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვო...

**- რას გულისხმობ?**

- შედეგებიდანაც ჩანს, რომ „ატლანტა ჰოქსი“ ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. ამიტომ მხოლოდ აღმოსავლეთის კონფერენციის ჩემპიონობაზე არ ვფიქრობ...

**- დროის სიმცირის მიუხედავად, რეგულარულად თამაშობ და მწვრთნელი კრიტიკულ სიტუაციებში ხშირად გენდობა.**

- მატჩგამოტოვებით რომ ვთამაშ იბდე, შეიძლება, სხვაგვარად მეფიქრა, მაგრამ „ატლანტაში“ ყოველ შეხვედრაში მიწევს ასპარეზობა და ვგრძნობ, რომ მწვრთნელს ვჭირდები. ვცდილობ, გუნდის წინსვლაში ჩემი წვლილი შევიტანო. ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჯერ მხოლოდ სეზონის ნახევარია გასული. წინ რეგულარული ეტაპის დასკვნითი მატჩები და პლეი ოფებია. ამიტომ, არ მინდა, მხოლოდ პირველი ნახევრით განვსაჯო და დასკვნები ისე გამოვიტანო. შარშანაც გამოჩნდა, რომ თუ პლეი ოფში რესურსი სრულად არ აამოქმედე, შედეგს ვერ მიიღებ დიდი შანსია, პლეი ოფის სხვადასხვა ეტაპზე „ორლანდოს“, „კლივლენდს“ ან ორივეს შევხვდეთ. „მეჯიქის“ რიგებში დუაიტ ჰოვარდი თამაშობს, რომლის შეჩერებისთვის ერთი მეფარე საკმარისი არ არის. მხოლოდ ჰორფორდს, ან მხოლოდ მე მისი შეჩერება გაგვიჭირდება. იმავეს თქმა შეიძლება „კლივლენდის“ გამოცდილ ცენტრ შაკილ ო'ნილზე. საინტერესო პლეი ოფები გველის.

**- ამას წინათ საქართველოს ნ. კრების მწვრთნელმა იგორ კოკოშკოვმა გაიხსენა, როგორ წააგო მისმა „ფინიქსმა“ ატლანტაში.**

- ის შეხვედრა შორეული სამქულიანის წყალობით მოვიგეთ. კოკოშკოვი პირადად არ მინახავს - გაცივებული ვიყავი და დარბაზში არ მივსულვარ. თამაშამდე ნაკრების მწვრთნელმა დამირეკა და მკითხა - წინა შეხვედრაში რატომ არ ითამაშეო? ვუთხარი - გაციებული ვიყავი-მეთქი. იგორ კოკოშკოვს ჩვენი თამაშის მერეც ვესაუბრე. ერთმანეთს ხშირად ვეხმიანებით. ცხადია, A დივიზიონის წილისყრაზეც ვილაპარაკეთ.

**- ნაკრების მეტოქეებს წარმომადგენლები NBA-შიც ჰყავთ. როგორი კალათბურთელები არიან გორტატი და მბენგა?**

- პოლონელ გორტატს ვიცნობ, ძლიერი ცენტრია. ბელგიის ნაკრების წევრ, მბენგას წინააღმდეგაც მითამაშია. არც ისაა ურიგო კალათბურთელი. მე, მბენგა და გორტატი ამერიკაში სათადარიგოები ვართ და შეზღუდულ დროში შესაძლებლობების სრულად გამოვლენას ვერ ვახერხებთ. დარწმუნებული ვარ, ნაკრებებში სამივე სასტარტო ხუთეულის წევრები ვიქნებით, სათამაშო დროც საკმარისად გვექნება და საინტერესოა, ვინ ვის აჯობებს. რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებ, რომ მეტოქეები შევზღუდოთ. დანარჩენი უშუალოდ თამაშებისას გამოჩნდება.

**- მეტოქეებზეც ვთქვათ. დავიწყოთ ფავორიტით...**

- ჩემი აზრით, ჯგუფში გამოკვეთილი ფავორიტი არ გვყავს, თუმცა დღევანდელი გადასახედიდან ჯგუფიდან გასვლის ყველაზე მეტ შანსს პოლონეთს მივცემდი. სხვებთან შედარებით ძლიერი ჩემპიონატი აქვთ. პოლონური გუნდები ევროლიგაზე რეგულარულად თამაშობენ. ამასთან, პოლონეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი იყო და ელიტარულ გუნდებთან თამაშის დიდი გამოცდილება აქვთ. სხვათა შორის, ჩვენგან განსხვავებით, ოთხივე მეტოქე A დივიზიონის სტაჟიანი ბინადარია, დიდი გამოცდილება აქვს. თუ ამ გამოცდილებას გამოიყენებენ, ჩვენთან შედარებით უპირატესობა ნამდვილად ექნებათ. საქართველოს ნაკრები ხომ შარშან გადავიდა A ლიგაში, ახალგაზრდული და გამოუცდელი გუნდია.

**- ბულგარეთის ნაკრებს სხვებზე უკეთ იცნობთ...**

- ბულგარელების წინააღმდეგ ამჯერ მითამაშია. პირველად, 2001 წელს თბილისში 16-ქულიანი უპირატესობით ვაჯობეთ, თუმცა სტუმრად 19-ქულიანი სხვაობით დავმარცხდით. სამი წლის წინათ ბულგარეთში საკონტროლო მატჩი გავმართეთ და იქაც წავაგეთ. თუნდაც ჩვენი ურთიერთშეხვედრებიდან ჩანს, რომ ბულგარეთი „სახლის გუნდია“. მისი სტუმრად ძლევა ძალიან ძნელია. ამასთან, ბულგარელები დიდი ხანია ელიტაში თამაშობენ და გამოცდილი გუნდი ჰყავთ.

**- ბელგიელებიდან მბენგას გარდა არავის იცნობ?**

- არა. ამ გუნდზე ყველაზე ნაკლები ინფორმაცია მაქვს, თუმცა ზაფხულისთვის მწვრთნელები საკმარის ინფორმაციას მოიძიებენ და ბელგიასაც გავიცნობ. ერთის თქმა შემიძლია: შედეგებიდან გამომდინარე, ბელგიის ნაკრები ურიგო გუნდი არ არის. მას ზურგს უმაგრებს გამართული საკლუბო კალათბურთი.

**- დაგვრჩა პორტუგალია...**

- სამი წლის წინათ პორტუგალიასთან ამხანაგური მატჩი წავაგეთ. მაშინ იქ არ ვიყავი და მეტოქის შესაძლებლობებზე დღეს ვერაფერს ვიტყვი. ისევე, როგორც ჩვენ, ყველა მოწინააღმდეგე ეცდება, საშინაო მატჩებში ქულათა მაქსიმუმი მოაგროვოს. ჩვენი მიზანია, თბილისში წარმატებული სვლა გავაგრძელოთ და შინ არაფერი დავთმოთ. რაც შეეხება გასვლით შეხვედრებს... ვინც ზაფხულის მატჩებისთვის სათანადოდ იქნება მომზადებული, ის გაიმარჯვებს. ჩვენს ჯგუფში გამოკვეთილი ფავორიტი არ არის, ამიტომ არც სტუმრად მოგებები უნდა გამოვრიცხოთ.

**- როგორ ფიქრობ, რამდენად რეალურია პირველივე ცდაზე ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვება?**

- ბიჭების ხასიათს ვიცნობ. დარწმუნებული ვარ, ყველა მაქსიმუმს გაიღებს. როგორც B-დან A დივიზიონში გადავედით, ისევე შეიძლება A ლიგიდან ევროპაზე მოვხვდეთ. მინდა, ჩემი კაპიტნობისას ერთხელ მაინც ვითამაშო ევროპის ჩემპიონატზე. თუმცა დღეს დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, ამას პირველივე ცდაზე მივაღწევთ-მეთქი. ევრობასკეტზე თამაში უამრავ კომპონენტზეა დამოკიდებული. მაგალითად, ნაკრების წინსვლას ფეხი შიდა ჩემპიონატმაც უნდა აუწყოს. უნდა განვითარდეს საკლუბო კალათბურთი. საქართველოს პირველობის დონის ამაღლების გარეშე დიდ წარმატებას შეიძლება ერთჯერადად მივაღწიოთ, მაგრამ სტაბილურობის შესანარჩუნებლად ნაკრებში საქართველოს ჩემპიონატიდან შევსება აუცილებლად უნდა მოდიოდეს. ნაკრები მაშინ იქნება ძლიერი, როცა ნატურალიზებული კალათბურთელები არ დასჭირდება. თითო შესარჩევი ციკლი ორ წელიწადს გრძელდება, რამდენიმე ციკლის შემდეგ მე და ჩემი ასაკის კალათბურთელები კარიერას დავასრულებთ. ნამდვილად არ მინდა, რომ ჩვენი ნალვაწი წყალში ჩაიყაროს და ისევ B დივიზიონში დავქვეითდეთ. ამიტომაა, საჭირო ღირსეული ცვლა, რასაც დრო სჭირდება. ამ საკითხზე აქედანვე უნდა ვიფიქროთ.

**- ქართულ კლუბებში ფინანსური თვალსაზრისით მართლაც მძიმე მდგომარეობაა. ვნახოთ, გაისად იქნებ გამოჩნდეს ვინმე, გუნდს რომ გააძლიერებს და ევროტურნირებზე გაიყვანს. მანამდე საქართველოს ნაკრების კალენდარსა და 27 დღეში გასამართ 8 მატჩზე გკითხავ.**

- ყოველ მესამე დღეს ვთამაშობ. ასეთ ვითარებაში ფიზიკური კონდიციების ბოლომდე შენარჩუნება გაძნელდება. მით უმეტეს, რომ საქართველო ევროპის შუაში არ არის და პირდაპირი რეისით, ალბათ, ვერც ერთ ქვეყანაში ვერ გავფრინდებით. არაერთი სირთულის დაძლევა მოგვიწევს, მაგრამ სხვა გზა არ არის, უნდა შევეგუოთ. სხვათა შორის, ხშირ ფრენას და კვირაში 3-4 თამაშის ჩატარებას შეჩვეული ვარ. არა მგონია, ამ მხრივ რამე პრობლემა შემექმნას, თუმცა ყველაფერი მაინც წინაა, ბიჭები ახლა საკლუბო საქმეებით არიან დაკავებულნი. სანაკრებო პრობლემებსა თუ პერსპექტივებზე სეზონის დასრულების შემდეგ უფრო კარგად შეგვეძლება საუბარი.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ინტერვიუ

აჰმეთ დემირი

# ქართველ ტალანტებს უანგაროდ დავეხმარებით

**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (IBSU) ქართული სპორტის მხარდასაჭერად აქტიურად მუშაობს. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მზადაა, ნიჭიერ ქართველ სპორტსმენებს გზა გაუკვალოს. ცნობისათვის, IBSU-ს თურქი მესვეურები ჰყავს. უნივერსიტეტში სპორტის საკითხებს აჰმეთ დემირი კურირებს, რომელიც წლებია, საქართველოში ცხოვრობს და ქართულადაც მშვენივრად ლაპარაკობს.**

**- რამდენი ხანია, რაც თქვენი უნივერსიტეტი ქართული სპორტით დაინტერესდა?**

- მეორე წელიწადია, საფეხბურთო კლუბი გვყავს და დრომ დაგვანახვა, რომ სხვა სახეობებშიც გვმართებს გააქტიურება. ჩვენი ინტერესები ერთი სახეობით არ შემოიფარგლება, თუმცა პრიორიტეტები მაინც გვაქვს. ყველაზე მეტად ის სახეობები გვაინტერესებს, რომლებიც თურქეთშია პოპულარული – ფეხბურთი, კალათბურთი, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ძიუდო, კრივი... ვიცი, რომ საქართველოს ამ სახეობებში არაერთი გამოჩენილი სპორტსმენი ჰყავს და დარწმუნებული ვარ, მომავალშიც ასე იქნება. თურქეთში არაერთი ცნობილი ქართველი სპორტსმენი დაოსტატებულა, თუნდაც ზაზა ფაჩულია რად ღირს. გვინდა, თურქეთისა და საქართველოს მეგობრულ ურთიერთობებში ჩვენც შევიტანოთ წვლილი. მზად ვართ, სრულიად უანგაროდ ქართველ ტალანტებს კარიერის აწყობაში დავეხმაროთ.

**- შერჩეულ სპორტსმენებს თურქეთში გაგზავნით?**

- დიახ, მათ იდეალურ პირობებში ვარჯიშის საშუალება მიეცემათ და ყველაფერი მათზე იქნება დამოკიდებული. მას, ვინც შრომასა და განვითარებას განაგრძობს, დიდ სარბიელზე გასვლის ყოველგვარ შესაძლებლობას შევუქმნით. თურქეთში დიდი კავშირები გვაქვს, შერჩეულ ახალგაზრდებს მხოლოდ უმაღლესი დონის სპორტკლუბებში გავამგზავრებთ.

**- თურქეთში თქვენი რეკომენდაციით უკვე წასულა ვინმე?**

- დიახ, ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები უკვე გადავდგით. ცნობილ თურქულ საკალათბურთო კლუბ “ეფეს პილსენში” მიემგზავრება 1996 წელს დაბადებული ორი ქართველი – დავით სალაყაია და სოსო მაჭავარიანი. მათ მალე ერთი მოჭიდავეც მიჰყვება, რომლის გვარსაც მოგვიანებით შეიტყობთ.

**- ის სპორტსმენები, რომლებიც თურქეთში თავს გამოიჩენენ, კონტრაქტით ვალდებულები ხომ არ იქნებიან, რომ მოქალაქეობა შეიცვალონ და თურქეთის სახელით იასპარეზონ?**

- არა, არჩევანი მხოლოდ და მხოლოდ მათზე იქნება. თუმცა, თუ რომელიმე სურვილს გამოთქვამს და სანაკრებო დონესაც დააკმაყოფილებს, უარს ნამდვილად არ ვეტყვით. ეს განსაკუთრებით იმ ინდივიდუალურ სახეობებს ეხება, სადაც ნაკრებში თითო წონითი კატეგორიიდან მხოლოდ თითო სპორტსმენი ხვდება.

**- იმ სპორტსმენებმა, რომლებსაც თურქეთში სურთ დაოსტატება, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილონ?**

- უახლოეს პერიოდში აქტიურად დავიწყებთ ჩვენთვის პრიორიტეტული სახეობების წარმომადგენლებზე დაკვირვებას.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ავტორის ფოტო



ეროვნული ბიბლიოთეკა



ზე 14

# ავსტრალიური კვარტეტი, მიზნები და პრობლემები

12 თებერვალს რაგბის სამყაროში ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის, ზე 14-ის გათამაშება იწყება. როგორ ემზადებიან ამ შეჯიბრებისთვის სამხრეთაფრიკული გუნდები, უკვე გაგაცანით. ამჯერად ოთხი ავსტრალიური გუნდის - „ბრამბიზის“, „ქვინზლენდ რედსის“, „ვორათაზისა“ და „ვესტერნ ფორსის“ შესახებ გიამბობთ.

ზე 14-ის გათამაშებაში ასეა: რაც უნდა წარუმატებელი იყოს განვლილი სეზონი, ახლის დაწყების წინ ყველაფერი დავიწყებას ეძლევა და გუნდები ახალი ენერგიით და შემართებით ემზადებიან მომავალი ბატალიებისთვის.

2009 წელი ურთულესი გამოდგა მთლიანად ავსტრალიური რაგბისთვის. ზე 14-ის გათამაშებაში „ოზთა“ ოთხი გუნდიდან პლეი ოფში ვერც ერთი მოხვდა. „ვოლაბებმა“ კი 2005 წლის შემდეგ ყველაზე ცუდი სეზონი ჩაატარეს.

თუმცა ახლა 2010 წელია და ავსტრალიელი რაგბის ქომაგები იმედის თვალით შესცქერიან თავიანთ საყვარელ გუნდებს. ვნახოთ, დღეისათვის რა მდგომარეობაა მწვანე კონტინენტის საუკეთესო სარაგბო გუნდებში, რას უნდა ველოდეთ მათგან...



## ვესტერნ ფორსი

„ვესტერნ ფორსმა“ სეზონის დაწყების წინ ორი უძლიერესი მორაგბე, **მეტ გიტო** და **დრიუ მიჩელი** დაკარგა. გიტოს შემცვლელად „დასავლელებმა“ სამხრეთაფრიკელ **ანდრე პრეტორიუსს** უხმეს.

შარშან „ფორსი“ 36 ქულით მხოლოდ მე-6 ადგილს დასჯერდა. კლუბის ფანები საკმაოდ მომთხოვნი არიან. გუნდი, რომელშიც ისეთი ტალანტები თამაშობენ, როგორებიც **ჯეიმს ოკონორი, რაიან კროსი** და **კემერონ შეპარდი** არიან, გაცილებით უკეთეს შედეგებს უნდა აღწევდეს.

პერთელები პირველ შეხვედრას შინ გამართავენ „ბრამბიზის“ წინააღმდეგ. მეორე ტურში კი უძნელესი გამოცდა ელის ახალი ზელანდიის „ჰარიკენზთან“ დაპირისპირებისას.

ფორსელთა რიგებში შეიძლება აღმოჩენად შერაცხონ კემერონ შეპარდი, რომელიც რატომღაც ყველამ დაივიწყა. შეპარდს ტრავმის გამო საკმაო ხანი გაუცდა და თუ ძალების სრულად აღდგენა შეძლო, დამდეგი სეზონი მის ბენეფისად უნდა იქცეს.

## ქვინზლენდ რედსი

„ბრამბიზის“ ამბიციებთან შედარებით, ქვინზლენდელი წითლების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად მოკრძალებულია. შარშანდელ სეზონში „რედსმა“ მხოლოდ სამი თამაში მოიგო და სტურნირო ცხრილში ბოლოსწინა, მე-13 ადგილი დაიკავა. ამ გუნდისგან უკეთეს შედეგს არც წლეულს უნდა ველოდოთ, მით უფრო, რომ ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბე **ბერეკ ბარნსი** დაკარგა.

წითლებს დიდი იმედი აქვთ თავიანთი ახალგაზრდა ტალანტებისა, რომელთა ნაკლებობას ეს გუნდი არასდროს განიცდიდა. **ვილი გენია** და **ჯეიმს ჰორვილი** ავსტრალიის ნაკრებში უკვე შინაურები არიან. **დიგბი იოანი** კი ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი ავსტრალიელი მორკინალია.

„რედსის“ ქომაგებს ყველაზე მეტად ახალი მწვრთნელის, **ევან მაკენზის** ეიმედებათ. ის გუნდში საფრანგეთიდან ბრუნდება, სადაც ერთ-ერთი ფრანგული გრანდის, პარიზული „სტად ფრანსეს“ მწვრთნელი იყო.

ზე 14-ის პირველ ტურში „რედსი“ ბრისბენში „ვორათაზს“ დაუპირისპირდება. ამ თამაშში კარგად გამოჩნდება, რისი მაქნისები არიან „წითლები“. არანაკლები გამოცდა ელით მეორე საშინაო შეხვედრაში - ამჯერად მეტოქე უძლიერესი ახალზელანდიური გუნდი „კრუსეიდერსი“ იქნება.

„ქვინზლენდ რედსის“ ლიდერი ვილი გენიაა. წითლების ეს ცხრა ნომერი საკმაოდ სწრაფია და მახვილგონივრული, მოულოდნელი გადაწყვეტილებების მიღების უბადლო ნიჭით გამოირჩევა. „რედსი“ წლეულს, სავარაუდოდ, მე-12 ადგილს ვერ ასცდება.

## ვორათაზი

„ვორათაზი“ ავსტრალიის ყველაზე წარმატებული კლუბია. 2008 წელს სიდნეელებმა ზე 14-ის ნახევარფინალში ითამაშეს, შარშან კი პლეი ოფამდე ერთი ნაბიჯი დააკლდათ. ავსტრალიელებმა და ახალზელანდიურმა „კრუსეიდერსმა“ 41-41 ქულა დააგროვეს და პლეი ოფში ურთიერთშეხვედრებში უკეთესი მაჩვენებლის გამო ზელანდიელები გავიდნენ.

ცხადია, „ვორათაზის“ ამბიციები წლეულს ბევრად გაზრდილი იქნება. გუნდის მწვრთნელს **კრის ჰიკის** საკმაოდ მდიდარი არჩევანი აქვს. ახალმა შენაძენმა, ცხრა ნომერმა ბერეკ ბარნსმა გუნდის შეტევის პოტენციალი, წესით, მნიშვნელოვნად უნდა გააძლიეროს.

გუნდის წამყვანი მოთამაშეები არიან **ქარტლი ბეილი, დრიუ მიჩელი**, ახალზელანდიელი **სოსენე ანესი, ვიკლიფი პალუ, ბენ რობინსონი, ტატაფუ პოლოტა-ნაუ** და **სეკოპე კეპუ**.

საკმაოდ საინტერესო მოთამაშეა კიდევ ერთი ახალწვეული, ორმეტრიანი სამხრეთაფრიკელი **ჰენდრიკ როდტი**, რომელსაც „ბოკეს“ შემადგენლობაში რამდენიმე მატჩში უთამაშია.

„ვორათაზი“ ზე 14-ის პირველ ტურში სტუმრად ეთამაშება „რედსს“, ხოლო შემდეგ, სტუმრადვე საკმაოდ ძნელი ბრძოლის გადატანა მოუწევს სამხრეთაფრიკულ „სტორმერზთან“.

გუნდის სული და გული, წესით, ბერეკ ბარნსი უნდა გახდეს. მას შეუძლია, „ვორათაზი“ პლეი ოფში გაიყვანოს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ახალ გუნდთან ადაპტაციას მალე შეძლებს და ტრავმებსაც გადაურჩება.

## ბრამბიზი

კანბერის „ბრამბიზმა“ შარშანდელი სეზონი მე-7 ადგილზე დაასრულა. პლეი ოფში მოსახვედრად სულ რაღაც სამი ქულა დააკლდა. წლეულს უმნიშვნელოვანესი შენაძენი **სტივენ მურია**. მიუხედავად იმისა, რომ მეორე ავსტრალიურმა გრანდმა, „ვორათაზმა“ **ბერეკ ბარნსი** ცხვირ წინ ასწაპნა, კანბერელებმა მაინც შეძლეს ისეთი ძლიერი მორაგბეების მიწვევა, როგორებიც არიან: ავსტრალიის ნაკრების ცხრა ნომერი **მეტ გიტო** და კაპიტანი **როკი ელსომი**, რომელიც აქამდე ირლანდიური „ლენსტერის“ ღირსებას იცავდა. „ბრამბიზში“ ბრუნდება კიდევ ერთი უკანახაზელი, **ჯასტინ ჰარისონი**, შედეგად გუნდში ავსტრალიის ნაკრების ერთბაშად რვა უკანახაზელმა მოიყარა თავი და მრავალი წლის შემდეგ „ბრამბიზს“ ავსტრალიურ გუნდებს შორის ყველაზე ძლიერი უკანა ხაზი ჰყავს.

კანბერელებს წლეულს უძნელესი სტარტი ელის. ისინი საწყისი სამი ტურის შეხვედრებს სტუმრად გამართავენ. „ბრამბიზს“ ავსტრალიურ „ვესტერნ ფორსთან“ დაპირისპირების შემდეგ ზე 14-ის მოქმედ ჩემპიონთან, სამხრეთაფრიკულ „ბლუ ბულზთან“ მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. შემდეგი კი კიდევ ერთი აფრიკული გუნდი „სტორმერზია“.

„ბრამბიზის“ წამყვანი მოთამაშე, სავარაუდოდ, ცხრა ნომერი მეტ გიტო იქნება, რომელიც გუნდში სამწლიანი განშორების შემდეგ დაბრუნდა. ადვილი შესაძლებელია, მისი დახმარებით ბრამბიზელებმა ფინალში გააღწიონ.

მეტოქეები




# ტომაშ მორაეშმა 33 პორტუგალიელს უხმო

პორტუგალიის ეროვნული ნაკრები გამალებით ემზადება 2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის მეორე წრისთვის. „ლობუშები“ ამჟამად სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე არიან და ახალ ზელანდიაში მოხვედრის კარგი შანსი აქვთ.

პორტუგალიელებმა მზადება ერთი კვირის წინ დაიწყეს და ერთი საწვრთნელი შეხვედრაც გამართეს, რომელშიც ოქსფორდის უნივერსიტეტის გუნდი 24:18 დაამარცხეს. 30 იანვარს კი მეტოქე უფრო სერიოზული ეყოლებათ - ინგლისის სტუდენტური ნაკრები.

მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის ეგიდით პორტუგალიელები პირველ შეხვედრას 6 თებერვალს სოჭში რუსეთის ნაკრებთან გამართავენ. 13 თებერვალს კი ლისაბონში ბორჯღალოსნებს უმასპინძლებენ.

პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელმა **ტომაშ მორაეშმა** გადამწყვეტი შეხვედრებისთვის მოსამზადებლად 33 მორაგბეს უხმო:

პირველი ხაზი: ჟოაო ჟუნიორი (კდულ), გუსტავო დუარტე (აგრონომია), ჟოაო მუსოლო (კდულ), ფრანსისკო ფერნანდესი (ტიროსი), ჟორჟე სეგურადო (დირეიტო), ჟოაო კორეია (დირეიტო), ბერნარდო დუარტე (აგრონომია), ნუნო ტაფული (დირეიტო).

მეორე ხაზი: დავიდ პენალვა (ოში), რაფაელ სიმოესი (ბელენენსეში), კონრად სტიკლინგი (კასკაისი), ედუარდო აკოსტა, გონსალო უვა (ორივე - დირეიტო).

მესამე ხაზი: ვასკო უვა (დირეიტო), ჟუან სევერინო (აგრონომია), სალვადორ პალა (დირეიტო), ჟოაო უვა (ბელენენსეში), ველიტოვენ ტავარესი, ტიგო გირაო (ორივე -კდულ).

№9: ჟოზე პინტუ (დირეიტო), აკაკიო სოუზა (ბენფიკა)

№10: კარდოზო პინტუ (აგრონომია).

№12-13: დიოგო მატეუში, პედრო სილვა (ორივე - ბელენენსეში), მიგელ პორტელა (დირეიტო), დიოგო გამა (ბენფიკა).

№11-14: გონსალო ფორო, ფედერიკო ოლივეირა (ორივე -კდულ), ადერიტო ეშტევეში (დირეიტო), დავიდ მატეუში (ბელენენსეში).

№15: ანტონიო აგილარი, პედრო ლეალი (ორივე - დირეიტო), ჯო გარდნერი (აგრონომია).

# გერმანიას პრობლემა მოუმრავლდა

2011 წლის მსოფლიო თასის გათამაშების შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრების პირველი მეტოქე, გერმანიის ნაკრები დიდთოვლობის გამო საწვრთნელი შეხვედრის გამართვას ვერ ახერხებს. გერმანელებს ამ ქვეყანაში დისლოცირებული ბრიტანული ჯარის გუნდთან ჯერ კიდევ 16 იანვარს უნდა ეთამაშა. მატჩი მაშინაც უამინდობის გამო გადაიდო და საბოლოო თარიღად 30 იანვარი დასახელდა.

როგორც გერმანიის რაგბის კავშირის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, ეროვნული ნაკრები თბილისში გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე ჰაიდელბერგის საწვრთნელ ცენტრში შეიკრიბება. სათამაშო პრაქტიკის უქონლობასთან ერთად გერმანელთა გუნდს კიდევ ერთი პრობლემა დაემატა, საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ თამაშზე, სხვადასხვა მიზეზის გამო, უარი რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ განაცხადა.

გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა **ბრუნო შტოლცმა** რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშეს უხმო.

*„დარჩენილ საკმაოდ მცირე დროში, რამდენად სწრაფად შეძლებენ ისინი ინტეგრირებას, ძნელი სათქმელია. საქართველოს ნაკრების ძალა ჩვენთვის კარგადაა ცნობილი. ამიტომაც, არა მგონია, ვინმე ჩვენს მდგომარეობაში ყოფნას ნატრობდეს,“* - თქვა შტოლცმა.

# ჯონ ქირვანი იაპონიაში 2011 წლამდე დარჩება



„ოლ ბლექსის“ ლეგენდარული გარემარბი **ჯონ ქირვანი**, რომელიც იაპონიის ნაკრების მთავარი მწვრთნელია, ამ ქვეყნის დატოვებას 2011 წლის მსოფლიო თასის დასრულების შემდეგ აპირებს:

*„80 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ იაპონიიდან 2011 წლის შემდეგ წავალ. მინდოდა, ამ ქვეყანაში 2019 წელს გასამართავი მსოფლიო თასის საორგანიზაციო კომიტეტში მემუშავა, მაგრამ გადავიფიქრე. ახალი ზელანდიის მსოფლიო თასის მერე ისევ მწვრთნელობა მინდა, ოღონდ უკვე სხვა ქვეყანაში.“*

ქირვანმა იაპონიაში გუნდის მზადების საკმაოდ უცნაური მეთოდის გამოყენება დაიწყო. ერთ-ერთი ასეთი მეთოდის ავტორი აიკიდოს 90 წლის ოსტატია, რომელიც მედდებს მძიმე წონის პაციენტების ერთი ადგილიდან მეორეში უპრობლემოდ გადაყვანას ასწავლის.

*„ის მედდებს ასწავლის, როგორ ასწიონ მათზე ორჯერ უფრო მძიმე ადამიანები. იაპონელი მორაგბეები ფიზიკურად მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან დანარჩენებს, ამიტომ მაინტერესებს, გამოიღებს თუ არა შედეგს ახალი მეთოდი. ხომ შეიძლება, გუნდის სისუსტე მის ძლიერ მხარედ გადაიქცეს.“* - თქვა ჯონ ქირვანმა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო წარმოგიდგენთ

# ქართული სპორტის ქრონიკები

## ასე იწყებოდა...

# ფიგურული ციგურაობა

ერთი კვირის წინ ჩვენმა სახელოვანმა ელენე გედევანიშვილმა ფიგურულ ციგურაობაში ტალინში გამართული ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიგო და ყველა უსაზღვროდ გაგვახარა. გთხოვთ, გვიამბოთ საქართველოში ფიგურული ციგურაობის ისტორიის შესახებ. ძალიან გვაინტერესებს.

*ვახტანგ და ლალი ჯიქიძეები*
*ზუგდიდიდან*

საქართველოში ფიგურულ ციგურაობას საფუძველი ჩაეყარა 1960 წლის ივლისში, როცა მოსკოვიდან ჩამოსული ცნობილი მწვრთნელი **ედუარდ პლინერი** სათავეში ჩაუდგა სპორტის ამ სახეობის დანერგვა-განვითარებას. ქართველი მოციგურავეები სარბიელზე პირველად გამოვიდნენ 1960 წლის 4 ნოემბერს ვერის ბაღის კალათბურთის მოედნის ხელოვნურ ყინულზე, რომელიც საგანგებოდ მოამზადეს მოსკოვის მოციგურავეთა საბალეტო დასის გასტროლებისთვის. იმავე წლის დეკემბრიდან კი ვარჯიში ბაკურიანში გააგრძელეს. საქართველოს პირველი ჩემპიონატი გაიმართა 1961 წელს. ერთეულთა თანრიგში გაიმარჯვეს **ირინა არხანგელსკაიამ** და **ირაკლი ჯაფარიძემ**, რომელმაც შემდეგ (1963) სსრ კავშირის ჭაბუკთა პირველობა მოიგო.

1964 წელს თბილისში აშენდა საქართველოში პირველი ხელოვნურყინულიანი საციგურაო დარბაზი. იქვე გაიხსნა სპორტული სკოლა, რომლის პირველი დირექტორი **ნოდარ ნათაძე** იყო. ამ არასპეციალურ სარბიელზე არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა დაოსტატდა. ახალ თაობის მოციგურავეთა შორის გამოირჩეოდნენ **მარინე ცერცვაძე** და **ლია გაბელია**. ცერცვაძემ საბჭოთა სპორტსმენთაგან პირველმა შეასრულა სამმაგი ბრუნი — სალხოვი (1973, როსტოვი, სსრკ ჩემპიონატი) და ზედიზედ ორჯერ (1975, 76) მოიპოვა სსრკ თასი. გაბელია საუკეთესო იყო იუგოსლავიაში ქალთა საერთაშორისო ტურნირში (1976). 70-80-იან წლებში საბჭოურ და ევროპულ შეჯიბრებებში წარმატებით გამოდიოდნენ **მიხეილ სიხარულიძე, გია შანგულაშვილი, ონისე რუხაძე, ნელი დვალიშვილი და ანდრეი ტოროსიანი**. პირველი მოციგურავე, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს სახელით მონაწილეობდა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში (1994), იყო **ბესარიონ ცინცაძე**. შემდეგ სარბიელზე გამოჩნდა **ვახტანგ მურვანიძე**, რომელმაც ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ტურნირში (1997) ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო სოლტ-ლეიკ-სიტის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში (2002) მე-17 იყო. 1999 წლიდან საერთაშორისო შეჯიბრებებში ჩაება საქართველოს პირველი მოცეკვავეთა წყვილი (**ორონიკე ტუკვაძე-ტატიანა სინიავერი**).

წლეულს შეიქმნა **ოთარ ჯაფარიძისა** და **ელისონ რიდის** წყვილი. წლეულსვე ამერიკელ გოგონას, მას შემდეგ, რაც წყვილმა ვანკუვერის ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვა, საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა. ჩვენი დღევანდელი მწვრთნელი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **ევგენი პლატოვია**.

## ვინ რა თქვა...



### ლევან თედიაშვილის შეფასება

*„ჩვენ გულითად მადლობას ვუხდით ლევანს იმ წვლილისათვის, რომელიც მან მსოფლიო ჭიდაობის საგანძურში შეიტანა. ლევანი იყო მსოფლიოს ყველა დროის არა მხოლოდ დამმარცხებელი, არამედ — მანიპულატორი. ლევანმა ბევრი გამარჯვება მოიპოვა საჭიდაო ხალიჩაზე, მაგრამ მისი ყველაზე დიდი გამარჯვება დროზე გამარჯვებაა"...*

**რაიკო პეტროვი**

## სპორტი და ფსიქოლოგია

# ასოციაცია აღდგა

საქართველოს სპორტის ფსიქოლოგთა ასოციაციამ 6-7 წლის წინ შეწყვიტა ფუნქციონირება და საერთაშორისო ასოციაციაშიც შეეჩერდა წევრობა.

ახლა საქართველოს ასოციაცია ხელახლა დაფუძნდა და დარეგისტრირდა. პრეზიდენტად არჩეულია პროფესორი **გიგი დვალი**.

საერთაშორისო ასოციაციას წევრის სტატუსის აღდგენის თხოვნა და შესაბამისი დოკუმენტაცია უახლოეს პერიოდში გაეგზავნება.

## პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** სპორტული ჟურნალი ქართულ ენაზე გამოიცა 90 წლის წინათ, 1920 წლის თებერვალში, ქუთაისში. გამომცემელი იყო სპორტსაზოგადოება „შევარდენის" საბჭო. რედაქტორი **სოსო ასლანიშვილი**. გამოვიდა ერთადერთი ნომერი.

**პირველმა** თბილისის ჩემპიონის წოდება ქალ მოჭადრაკეთა შორის მოიპოვა **ელენე ზაუტაშვილმა** (1888-1948). თბილისის პირველი ჩემპიონატი 1927 წელს ჩატარდა.

**პირველად** სატანვარჯიშო სპორტული ინვენტარი საქართველოში უცხოეთიდან შემოიტანეს XX საუკუნის 20-იან წლებში, პირველი დემოკრატიული ხელისუფლების მხარდაჭერით. პოლონეთიდან ჩამოტანილი ამ ინვენტარით აღიჭურვა ახალაგებული სპორტული დარბაზი, რომელიც, სხვათა შორის, პრაღის სპორტული დარბაზის ანალოგი იყო.

## ფოტომატიანე




1935 წელი. თბილისის ფეხბურთელთა გუნდი

## თარიღი

### 28 იანვარი – 3 თებერვალი

28.01.1974 წ. დაიბადა ვეჟა ბიჩინაშვილი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა
28.01.1976 წ. დაიბადა ვახტანგ ნაცვლიშვილი. კალათბურთი.
29.01.1973 წ. დაიბადა პაატა გავასელი. კრივი.
30.01.1949 წ. დაიბადა ვიქტორ კრატასიუკი. ნიჩბოსნობა. გარდაიცვალა 2003 წელს.
31.01.1953 წ. დაიბადა ნოდარ ხიზანიშვილი. ფეხბურთი.
31.01.1938 წ. დაიბადა თამაზ ჩხარტიშვილი. ხელბურთი. მსაჯი.
31.01.1937 წ. დაიბადა ილარიონ ხაზარაძე. კალათბურთი.
1.02.1969 წ. დაიბადა ნინო სალუქვაძე. ტყვიის სროლა.
3.02.1915 წ. დაიბადა ბორის პაიჭაძე. ფეხბურთი. გარდაიცვალა 1990 წელს.
3.02.1932 წ. დაიბადა ნოდარ გვახარია. წყალბურთი. გარდაიცვალა 1996 წელს.
3.02.1971 წ. დაიბადა სოსო ილარტელიანი. ძიუდო.

## თქვენთვის, ერუდიტებო

### ვიქტორინა

1. რომელი სპორტული საზოგადოების წარმომადგენლები ესალმებოდნენ საქართველოში ერთმანეთს სიტყვებით „გუშაგობ ერს!" - პასუხად - „მარად!"
ა – „ამირანის"
ბ – „შევარდენის"
გ – „სპარტაკის"

2. ვინ იყო თბილისის „დინამოს" საფეხბურთო გუნდის პირველი მწვრთნელი?
ა – ლივშიცი
ბ – სოკოლოვი
გ – ორეხოვი

3. რამდენჯერ იყო საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი?
ა – ერთხელ
ბ – ორჯერ
გ – არც ერთხელ

4. ძველ ქართულში რას ნიშნავდა სიტყვა რკენა?
ა – ჭიდაობას
ბ – შუბოსნობას
გ – მუშტი-კრივს

5. რამდენ გრამს წონიდა ოქროს შემცველია ოლიმპიური ჩემპიონის მედალი?
ა – სამი გრამის
ბ – ექვსი გრამის
გ – ოცი გრამის

პასუხები 1-ბ, 2-გ, 3-ბ, 4-ა, 5-ბ.

# კროსვორდი



**თარაზულად:** 1.საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი; 7.თბილისის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი, თავდამსხმელი; 8. ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს" მეკარე 30-ან წლებში; 10.ბილიარდის თამაშის სახეობა; 11.საფეხბურთო კლუბ „ავაზას" სპონსორი; 12.ქართველი ძალოსანი; 14.რუსთავი 2-ის სპორტული კომენტატორი; 15.ქალაქი, უცხოეთის პირველი ქალაქი, სადაც 1998-2000 წლებში თამაშობდა კახი კალაძე; 16.შტანგის აწევის ერთ-ერთი ხერხი; 18.ქართველი მძლეოსანი ქალი; 19. ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს" მეკარე; 20."ატლანტა ჰოუქსის" ქართველი ლეგიონერი; 24.კრივში უდიდესი მანძილი, საიდანაც შეიძლება დარტყმა; 25.ომარ ფხაკაძის კინოპერსონაჟის სახელი; 26. საქართველოს ერთ-ერთი საკალათბურთო გუნდის აბრევიატურა; 27.ბოლნისის საფეხბურთო კლუბი; 28. სანდრო იაშვილის საფეხბურთო კლუბი.

**შვეულად:** 1.ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ქართველი მოციგურავე; 2.ქუთაისელი მოცურავე ქალი; 3.ფეხბურთელი, რომლის სახელსაც ატარებს თელავის სტადიონი; 4.მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში; 5.ოლიმპიური თამაშების (ბარსელონა) ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში; 6.აშშ-ში ემიგრირებული ქართველი მშვილდოსანი ქალი; 9.ვეტერანი ქართველი წყალბურთელი, მწვრთნელი; 13.სწრაფად გათამაშებული ჭადრაკის პარტია; 15.ალექსანდრე მეტრეველის მეწყვილე ქართველი ჩოგბურთელი; 17.ალპინისტის ფეხსაცმელი; 18.ფეხბურთელი....... ჯამარაული; 21.ერთ-ერთი დარტყმა რაგბში; 22.რაგბიში მეორე პოზიციაზე მოთამაშე; 23. მორაგბე ანტონ ფეიქრიშვილის ფრანგული კლუბი; 25.ბურთის გადავარდნა გვერდით ხაზს მიღმა.

*შეადგინა ლალი ჭიჭინაძე*

კროსვორდის პასუხები იხილეთ ლელოს ხვალინდელ ნომერში

ვანკუვერი 2010. დარჩა 16 დღე

# ბიათლონი

**მონაწილე:** 928 (670 კაცი, 258 ქალი) 49 ქვეყნიდან
**ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე:** გლენ ოლსონი (შვედეთი) - 17 წლის, 151 დღის (1994)
**ყველაზე ხანდაზმული მონაწილე:** ელიოტ არჩილა (კუბა) - 41 წლის, 341 დღის (1988)
**ყველაზე მეტი მედალი:** უში დიზლი (გერმანია) - 9 მედალი: 2-4-3; ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) - 9 მედალი: 5-3-1
**ყველაზე მეტი მედალი (ქვეყანა):** გერმანია (38 მედალი)

თავის დროზე ბიატლონი თავის გადარჩენის საშუალება უფრო იყო, ვიდრე სპორტი. ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების მოსახლეობა თხილამურებზე იდგა და ისე ნადირობდა, შემდეგ ასევე თხილამურებითა და იარაღით ხელში იცავდა თავის ქვეყანას.

დღეს ბიატლონი არის სპორტის სახეობა, რომელიც ერთმანეთში აერთიანებს სათხილამურო რბოლასა და ტყვიის სროლას.

ამჟამად ოლიმპიურ პროგრამაში კაცებისა და ქალებისთვის ხუთი დისციპლინა შედის: ინდივიდუალური რბოლა, სპრინტი, რბოლა გამოდევნებით, მასსტარტი და ესტაფეტა. შესაბამისად, სულ მედლების 10 კომპლექტი თამაშდება.

ინდივიდუალური რბოლა - ბიატლონის კლასიკური სახეობაა: კაცებისთვის 20 და ქალებისთვის 15-კილომეტრიანი დისტანცია ოთხ-ოთხი სასროლეთით. ბიატლონისტები 30 წამის ინტერვალით იღებენ სტარტს. პირველ და მესამე სასროლეთზე სპორტსმენები დაწოლილები ისვრიან ხუთ-ხუთ ტყვიას, მეორესა და მეოთხეზე - ფეხზე დგანან. ბიატლონისტები თავად ირჩევენ სასროლ ადგილს. ყოველი აცილებული სროლისთვის მათ დროს ერთი საჯარიმო წუთი ემატებათ.

სპრინტი - ეს არის ინდივიდუალური რბოლის შემოკლებული ვერსია, სადაც სისწრაფეს გადამწყვეტი როლი ენიჭება. სპორტსმენები ორჯერ მიდიან სასროლეთზე და თითო გაფუჭებული სროლისთვის თითო საჯარიმო წრის (150 მეტრი) გავლა უწევთ.

რბოლა გამოდევნებით - აქ მონაწილეები იმ მიმდევრობით და დროის იმ ინტერვალით იღებენ სტარტს, რომლითაც ისინი სპრინტზე მივიდნენ ფინიშზე - პირველი სტარტზე სპრინტის ჩემპიონი მიდის, შემდეგ მეორეადგილოსანი და ა. შ. დისტანციის სიგრძე მამაკაცებისთვის 12.5 კილომეტრია, ქალებისთვის - 10 კმ. ბიატლონისტებს ოთხჯერ უწევთ ხუთ-ხუთი სროლის შესრულება და აქაც აცილების შემთხვევაში დამატებითი წრეების გავლა ევალებათ.

მასსტარტი (რბოლა საერთო სტარტით) - ბიატლონის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა სახეობა. დისტანციის სიგრძე მამაკაცებისთვის 15 კილომეტრია, ქალებისთვის - 12.5 კმ. ბიატლონისტები ერთდროულად იღებენ სტარტს და ოთხჯერ მიდიან სასროლეთზე. თითო აცილებისთვის 150 მეტრი საჯარიმო წრეა გათვალისწინებული.

ესტაფეტაში მონაწილეობენ ეროვნული ნაკრებები - თითოში ოთხი ბიატლონისტი. რბოლა მასსტარტით იწყება. კაცებში თითო მონაწილეს 7.5 კილომეტრის გავლა უწევს, ქალებში - 6 კილომეტრის. გუნდის ყოველი წევრი ორჯერ მიდის სასროლეთზე. ინდივიდუალური რბოლებისგან განსხვავებით, ბიატლონისტს ყოველ სროლაზე 8 ტყვია ეძლევა: აქედან 5 მჭიდში ძევს და სამი ტყვია სარეზერვოა, რომელსაც სპორტსმენები ხელით ტენიან. თუ სათადარიგო ტყვიების გამოყენების შემდეგაც არ დაიხურა ხუთივე სამიზნე, სპორტსმენს შესაბამისი რაოდენობის საჯარიმო წრის გავლა მოუწევს.

## კალენდარი

| | |
|---|---|
| **13 თებერვალი** | |
| 01:00 | ქალები. 7.5 კმ. სპრინტი |
| **14 თებერვალი** | |
| 23:15 | კაცები. 10 კმ. სპრინტი |
| **16 თებერვალი** | |
| 22:30 | ქალები. 10 კმ. რბოლა გამოდევნებით |
| 00:45 | კაცები. 12.5 კმ. რბოლა გამოდევნებით |
| **18 თებერვალი** | |
| 22:00 | ქალები. 15 კმ. ინდივიდუალური |
| 01:00 | კაცები. 20 კმ. ინდივიდუალური |
| **21 თებერვალი** | |
| 22:45 | კაცები. 15 კმ. მას-სტარტი |
| 01:00 | ქალები. 12.5 კმ. მას-სტარტი |
| **23 თებერვალი** | |
| 23:30 | ქალები. ესტაფეტა 4x6 კმ |
| **26 თებერვალი** | |
| 23:30 | კაცები. ესტაფეტა 4x7.5 კმ |

*შენიშვნა: დრო თბილისისაა*

### მედლების ცხრილი

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 14 | 17 | 7 | 38 |
| 2. ნორვეგია | 9 | 9 | 6 | 24 |
| 3. სსრკ | 9 | 5 | 5 | 19 |
| 4. რუსეთი | 7 | 3 | 6 | 16 |
| 5. გდრ | 3 | 4 | 4 | 11 |
| 6. საფრანგეთი | 3 | 2 | 5 | 10 |
| 7. შვედეთი | 2 | 1 | 6 | 9 |
| 8. დსთ | 2 | 2 | 2 | 6 |
| 9. ფინეთი | 0 | 4 | 2 | 6 |
| 10. გფრ | 1 | 2 | 2 | 5 |
| 11. კანადა | 2 | 0 | 1 | 3 |
| 12. უკრაინა | 0 | 1 | 2 | 3 |
| 13. იტალია | 0 | 1 | 2 | 3 |
| 14. ბულგარეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| 15. ბელარუსი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 16. პოლონეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 17. ავსტრია | 0 | 0 | 1 | 1 |

### ლიდერები

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორ) | 5 | 3 | 1 | 9 |
| 2. რიკო გროსი (გერ) | 4 | 3 | 1 | 8 |
| 3. სვენ ფიშერი (გერ) | 4 | 2 | 2 | 8 |
| 4. ალექსანდრ ტიხონოვი (სსრკ) | 4 | 1 | 0 | 5 |
| 5. კატი ვილჰელმი (გერ) | 3 | 3 | 0 | 6 |
| 6. მარკ კირხერი (გერ) | 3 | 1 | 0 | 4 |
| 7. მიხაელ გრაისი (გერ) | 3 | 0 | 0 | 3 |



# ოლიმპიური ჩემპიონი ტიტულს ვერ დაიცავს

33 წლის შვეიცარიელი სნოუბორდისტი **ტანია ფრიდენი** ვერ შეძლებს ვანკუვერში ოთხი წლის წინ მოპოვებული ტიტულის დაცვას.

გასულ კვირას ფრიდენმა კანადის ქალაქ სტოუნჰემში მსოფლიო თასის ეტაპისას ორივე ფეხზე აქილევსის მყესი გაიწყვიტა, რამაც მთლიანად გადაუსვა ხაზი მის სპორტულ კარიერას.

შვეიცარიელმა სპორტსმენმა დიდი სპორტიდან წასვლის შესახებ სპეციალურ პრესკონფერენციაზე გამოაცხადა. ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ფრიდენი ინვალიდის ეტლით მივიდა, რადგან მას ახლახან გაუკეთეს ოპერაცია და სიარული არ შეუძლია.

ოთხი წლის წინ, ტურინის თამაშებზე ტანია ფრიდენი ბოლო ცდამდე მეორე ადგილს იკავებდა და ამერიკელ **ლინდსი ჯაკობელისს** ჩამორჩებოდა, მაგრამ ამერიკელი ბოლო ნახტომის შესრულებისას დაეცა, რამაც შვეიცარიელს პირველი ადგილი მოუტანა.

# ნორვეგიამ პირველი გუნდური დაგეგმა

ნორვეგიელი ოლიმპიელები სერიოზული გეგმებით მიემგზავრებიან ვანკუვერის ოლიმპიადაზე. სკანდინავიელებს გუნდური პირველი ადგილის მოპოვება აქვთ განზრახული.

*"ჩვენი პროგრამა მინიმუმი საუკეთესო სამეულში მოხვედრა იქნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვანკუვერში 20-25 მედალი უნდა მოვიგოთ.*

*რა თქმა უნდა, ეს ურთულესი ამოცანაა, მაგრამ ჩვენს სპორტსმენებს ყველა პირობა აქვთ იმისთვის, რომ ვანკუვერში პირველობისთვის იბრძოლონ"*, - აცხადებს ნორვეგიის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **იარლ ომბო**.

ქვეყნის ოლიმპიურმა კომიტეტმა უკვე დაამტკიცა იმ 98 სპორტსმენის სია, რომელიც ვანკუვერში გავა სტარტზე. სულ 2010 წლის ოლიმპიადაზე 15 სახეობაში მედლების 86 კომპლექტი გათამაშდება.

# მამა-შვილი ოლიმპიადაზე

საბერძნეთის ბიატლონისტთა ნაკრები უცნაური შემადგენლობით მიემგზავრება ვანკუვერში. გუნდის რიგებში ვიხილავთ 45 წლის **ათანოსიოს ცარიკისსა** და მის 20 წლის ქალიშვილს - **პანაგიოტას**.

უფროსი ცაკარისი ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობს. იმ შემთხვევაში, თუ მას ვანკუვერის ტრასაზე მოუწია გასვლამ, ათანოსიოსი ოლიმპიადების ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი ბიატლონისტი გახდება და გინესის რეკორდების წიგნში დაიკავებს ადგილს.

*"თუ ყველაფერი კარგად იქნა, ჩვენ გინესის რეკორდების წიგნში მოვხვდებით. ამ მომენტისთვის მე ბიატლონში ყველაზე ასაკოვანი ოლიმპიელი ვარ"*, - აცხადებს ცაკარისი.

საბერძნეთში თოვლის ნაკლებობის გამო, ოჯახი უფრო ხშირად ბულგარეთსა და ავსტრიაში ვარჯიშობს. საბერძნეთის ნაკრები ვანკუვერში ექვსი სპორტსმენით იქნება წარმოდგენილი.

სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი

# სლალომი ჰერბსტისაა

ზამთრის სპორტის სახეობათა წარმომადგენლები ბოლო რეპეტიციას გადიან ვანკუვერის ოლიმპიადის წინ, რომელიც სულ მალე აიღებს სტარტს.

ავსტრიის ქალაქ შლადმინგში მამაკაცებს შორის სლალომის ეტაპი გაიმართა, რომელიც ადგილობრივი მოთხილამურის - **რაინფრიდ ჰერბსტის** ტრიუმფით დასრულდა.

ავსტრიელი სრულად დომინირებდა ტრასაზე. პირველი ცდაზე მან მხოლოდ თანამემამულე **მანფრედ პრანგერთან** წააგო. სამაგიეროდ, მეორე დაშვებისას აბსოლუტურად საუკეთესო დრო ჰქონდა და საბოლოოდ, მეორე ადგილზე გასულ შვეიცარიელ **სილვენ ცურბრიგენს** საკმაოდ ბევრი - 56 მეასედი წამი მოუგო.

ჰერბსტმა სეზონში მესამე ეტაპი მოიგო, კარიერაში კი ეს მისი მერვე გამარჯვება გახლდათ. საერთო ჩათვლაში ბევრი არაფერი შეცვლილა - "ბროლის გლობუსისთვის" ბრძოლას სათავეში კვლავინდებურად ავსტრიელი **ბენიამინ რაიხი** უდგას. მან ამ ეტაპზე მეოთხე ადგილი დაიკავა.

რაც შეეხება სლალომის ჩათვლას, აქ ჰერბსტმა სამი ქულით გაასწრო ფრანგ **ჟულიან ლიზერუს** და სათავეში ჩაუდგა სლალომისტთა რეიტინგს. თავად ლიზერუმ შლადმინგის ეტაპზე მეშვიდე ადგილი გაიკავა. აღსანიშნავია, რომ ჰერბსტს წელს მსოფლიოს თასზე მხოლოდ სლალომის ეტაპებზე აქვს მოპოვებული ქულები.

ვანკუვერის სტარტებამდე მამაკაც სამთომოთხილამურეებს კიდევ ერთი ეტაპი ელის - 29-31 იანვარს სლოვენიის ქალაქ კრანსკა გორაში სამ დისციპლინაში გათამაშდება პირველობა.



### შლადმინგი (ავსტრია). კაცები

**სლალომი**

1. **რაინფრიდ ჰერბსტი** (ავსტრია) - 1:45.91 (52.73+53.18); 2. **სილვან ცურბრიგენი** (შვეიც) - 1:46.47 (53.05+53.42); 3. **მანფრედ პრანგერი** (ავსტრია) - 1:46.73 (52.14+54.59); 4. **ბენიამინ რაიხი** (ავსტრია) - 1:46.82 (53.06+53.76); 5. **ჟულიან კუზინო** (საფ) - 1:47.67 (53.66+54.01); 6. **მანფრედ მოელგი** (იტა) - 1:47.88 (53.45+54.43).

**საერთო ჩათვლა**

1. **ბენიამინ რაიხი** (ავსტრია) - 903; 2. **კარლო იანკა** (შვეიც) - 829; 3. **დიდიე კუში** (შვეიც) - 746; 4. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორ) - 591; 5. **აქსელ-ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 587; 6. **სილვან ცურბრიგენი** (შვეიც) - 532.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. რეგულარული ჩემპიონატი

**ტორონტო-ლოს ანჯელესი 3:5**

1:1, 1:3, 1:1

**გოლები:** 0:1 დაუტი-10 (სტოლი-21, კოპიტარი-31), 1:1 კულემინი-10 (კესელი-16, ბოჟაკი-5), 1:2 ჯ. ჯონსონი-5 (დ. ბრაუნი-22, მ. გრინი-5), 2:2 ჰაგმანი-19 (პონიკაროვსკი-16), 2:3 სტოლი-12 (დ. ბრაუნი-23), 2:4 რ. სმიტი-15 (დ. ბრაუნი-24, ჰაროლდი-2), 3:4 ჰაგმანი-20 (პონიკაროვსკი-17, ი. უაიტი-17), 3:5 ფროლოვი-12 (დაუტი-30, სკუდერი-7).

**აილენდერსი-ვაშინგტონი 2:7**

1:4, 1:2, 0:1

**გოლები:** 0:1 ბ. მორისონი-11 (ერსკინი-4), 0:2 სიომინი-22, 1:2 შრემპი-6 (უაიტი-11, ჰანტერი-13), 1:3 ნუბლი-15 (ფლიშმანი-18, ბექსტრიომი-36), 1:4 სიომინი-23, 1:5 ერსკინი-1 (ფერი-13, ჩიმერა-15), 2:5 ოკსოპო-12 (ტავარესი-16, ბეილი-14), 2:6 ჩიმერა-11 (ბ. მორისონი-20, ფერი-14), 2:7 ლეიჩი-15 (ფლიშმანი-19).

**ატლანტა-ანაჰაიმი 2:1**

0:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 კ. არმსტრონგი-9 (ნ. კეინი-8, ჰეინსი-11), 1:1 ემინგერი-2 (პერი-31, რაიანი-19), 2:1 აფინოგენოვი-17 (პეველი-25, ენსტრიომი-35).

**კოლამბუსი-ნეშვილი 3:2**

0:0, 1:0, 2:2

**გოლები:** 1:0 ბრასარი-7 (იურჩინა-5, უმბერგერი-19), 2:0 ჰუსელიუსი-16 (ნეში-26, სტრალმანი-22), 3:0 მოდინი-2 (ჰეიდა-9, კომოდორი-9), 3:1 ერატი-17 (რ. ჯონსი-4, ლეგუანდი-19), 3:2 ჰორნკვისტი-21 (ერატი-14, შ. უებერი-21).

**ოტავა-ნიუ ჯერსი 3:0**

2:0, 1:0, 0:0

**გოლები:** 1:0 კოვალიოვი-13 (ფოლინო-14, კუბა-16), 2:0 მ. მიხალეკი-18 (კამპოლი-11), 3:0 სპეცა-7 (კუბა-17, ალფრედსონი-27).

**ფლორიდა-მონრეალი 2:1**

0:0, 0:1, 2:0

**გოლები:** 0:1 პლეკანეცი-13 (მარკოვი-13, კამალერი-21), 1:1 მატიასი-4, 2:1 მატიასი-5 (რეპიკი-2, მური-9).

**დეტროიტი-ფინიქსი 4:5 (ო)**

1:0, 1:2, 2:2, 0:1

**გოლები:** 1:0 დაციუკი-12 (ზეტერბერგი-26, რაფალსკი-19), 1:1 აპშოლი-18 (ლომბარდი-24, დოუნი-21), 1:2 იენდლი-7 (ვრბატა-15, ჰანჟალი-19), 2:2 ივსი-8 (დრეიპერი-10, ჰელმი-8), 3:2 ლიდსტრიომი-4 (ზეტერბერგი-27, დაციუკი-27), 4:2 ლიდსტრიომი-5 (ბერტუცი-15, ფილპულა-12), 4:3 იენდლი-8 (დოუნი-22, ა. ოკუანი-15), 4:4 ჟოვანოვსკი-9 (დოუნი-23, აპშოლი-13), 4:5 დოუნი-15 (ლომბარდი-25, ლეპისტო-8).

**ედმონტონი-ჩიკაგო 2:4**

0:1, 1:3, 1:0

**გოლები:** 0:1 ტეუვზი-18 (პ. კეინი-37), 0:2 ბროუერი-15 (პ. კეინი-38, კეიტი-36), 0:3 ბიფულინი-13 (კეიტი-37, ვერსტეეგი-19), 0:4 მარიან ჰოსა-14 (შარპი-25, ლედი-14), 1:4 პიზანი-2 (მორო-5, პორკოფი-11), 2:4 პოტულნი-11 (ო'სალივანი-17).

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# შარლოტის ისტორიული გამარჯვება



ალმოსავლურ ტურნეს აგრძელებს ჩემპიონი „ლოს ანჯელეს ლეიკერსი". ამჯერად მცირე კრიზისში მყოფმა კალიფორნიელებმა ყოველგვარი პრობლემის გარეშე დაამარცხეს „ვაშინგტონი". პირველ მეოთხედში მეტ-ნაკლებად თანაბარი თამაშის შემდეგ, სტუმრები მეორე მეოთხედში გაიქცნენ. „ლეიკერსის" შემტევმა ტრიომ საიმედო დაცვასთან ერთად პირველივე ტაიმში დაასამარა „უიზარდსი". ეს ის იშვიათი შემთხვევა იყო, როცა **კობი ბრაიანტს** მთელი გუნდის ნაცვლად არ დასჭირდა თამაში. **პაუ გასოლისა** და **ლამარ ოდომის** მხრიდან ღირსეულმა მხარდაჭერამ ძალიან გაუმარტივა საქმე „შავ მამბას". ცალკე აღნიშვნას იმსახურებს **შენონ ბრაუნის** თამაში. ამ კალათბურთელების ჩატენვების შემხედვარე სურვილი გიჩნდება, რაც შეიძლება მალე დაიწყოს „ყველა ვარსკვლავის უქმეებზე" ჩატენების კონკურსი.

მანამდე კი იმ ქალაქში, რომელმაც „ოლ სტარს" უნდა უმასპინძლოს დიდი ბრძოლა გაიმართა „მავერიქსსა" და „მილუოკის" შორის. აუტსაიდერის სტატუსის მიუხედავად, „ბაქზმა" შეძლო ბრძოლაში ჩაბმა. **ნოვიცკი** და კომპანია ბევრს ეცადა ბოლო მეოთხედისთვის ქულათა გარკვეული ფარაგის შექმნას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. **ენდრიუ ბოგუტისა** და **კარლოს დელფინოს** წყალობით, „ბაქსი" ინარჩუნებდა მინიმალურ ჩამორჩენას.

კვანძი, როგორც ყოველთვის ბოლო წამებზე გაიხსნა. ფინალურ სირენამდე 27 წამით ადრე დელფინომ 9 (!) მეტრიდან ჩააგდო სამქულიანი და თავისი გუნდის ჩამორჩენა სამ ქულამდე დაიყვანა. საპასუხო შეტევაში „მილუოკიმ" დაცვაში გაძლო - **ლუკ მბა ა მუტე** ბოლომდე შეებრძოლა დირკ ნოვიცკის და სამი წამით ადრე ბურთი აართვა მას. ბოლო შეტევა **სკოტ სკაილზმა** იმავე დელფინოს მიანდო. არგენტინელმა ყველაფერი სწორად გააკეთა, მაგრამ მისმა ბოლო ტყორცნამ მიზანს არ მიაღწია.

ისტორიულ გამარჯვებას მიაღწია „შარლოტ ბობკეტსმა". გუნდმა არსებობის ისტორიაში პირველად შეძლო ფინიქსში გამარჯვება. **ლარი ბრაუნის** გუნდმა ამ წარმატებას უდიდესი ბრძოლის ხარჯზე მიაღწია. სტუმრებ ა სტარტი არ გამოუვიდათ. „ფინიქსმა" შეძლო თავისი საფირმო სწრაფი კალათბურთის ჩვენება, რომლის წინააღმდეგაც სტუმრები მზად არ აღმოჩნდნენ. პირველი სამი მეოთხედის განმავლობაში „ბობკეტსი" მხოლოდ იმას ახერხებდა, რომ დროდადრო თამაშის ტემპს აგდებდა.

ბოლო 12-წუთეულში კი „შარლოტმა" მაინც მოახერხა თამაშის საჭირო კალაპოტში გადაყვანა და მეტოქეს „პოზიციური" თამაში შესთავაზა. დაცვის დალაგების შემდეგ, სტუმრებმა შეტევაში დაიწყეს საკუთარი თამაშის ძებნა. რა თქმა უნდა, მეტოქის ნახევარზე მთავარი მოქმედი პირი **სტივენ ჯექსონი** იყო. **ჯერალდ უოლასის** გარეშეც (ექვსი პერსონალური) სტივენმა შეძლო მასპინძელთა დაცვისთვის დიდი პრობლემების შექმნა და ოვერტაიმის უფლება მოიპოვა. დამატებითი დრო ბოლო მეოთხედის ლოგიკური გაგრძელება გახდა. „შარლოტი" აგრძელებდა დაცვიდან თამაშს, იმ დროს, როცა „ფინიქსმა" კიდევ ერთხელ გამოავლინა დაცვით მოთამაშე გუნდის წინააღმდეგ თავისი უუნარობა.

**ვაშინგტონი–ლეიკერსი 103:115**

29:30, 15:30, 28:27, 31:28

ვ: ჯეიმისონი (27+9 მოხსნა), ბატლერი (18+8 მოხსნა), მილერი (15), ჰეივუდი (11+8 მოხსნა), ფოიე (11), ბლეტჩი (10).

ლ: გასოლი (26+10 მოხსნა), ბრაიანტი (26+8 პასი), ოდომი (15+8 მოხსნა), ბინუმი (12), ბრაუნი (11).

**ნიუ იორკი–მინესოტა 132:105**

40:16, 28:29, 28:19, 36:41

ნ-ი: ლი (28+10 მოხსნა), ჰარინგტონი (26+10 მოხსნა), ჩენდლერი (20), ბენდერი (14), რობინსონი (13+6 პასი), გალინარი (12).

მ: ბრიუერი (22), სეშენსი (20), პავლოვიჩი (16), გომესი (13+7 მოხსნა), ჯეფერსონი (4+10 მოხსნა).

**დალასი–მილუოკი 108:107**

28:27, 31:26, 24:24, 25:30

დ: ნოვიცკი (28+8 მოხსნა+5 პასი), ტერი (21), ჰოვარდი (13), მერიონი (12), კიდი (11+12 პასი).

მ: ბოგუტი (32+9 მოხსნა), დელფინო (22+6 მოხსნა+5 პასი), ჯენინგსი (12+7 პასი), რიდნური (11+6 პასი), ილიასოვა (11).

**ფინიქსი–შარლოტი 109:114 (ო)**

33:26, 21:22, 29:29, 15:21, 11:16

ფ: ნეში (23+9 პასი), ფრაი (20), დადლი (18+10 მოხსნა), სტადუმაიერი (12), ლოპესი (12).

შ: ჯექსონი (30+9 მოხსნა+5 პასი), დიაო (24+11 მოხსნა+5 პასი), უოლასი (21+9 მოხსნა), ფელტონი (17), მიური (14).

**საკრამენტო–ს. სტეიტი 99:96**

23:18, 26:20, 24:22, 26:36

ს: უდრიხი (24+5 პასი), ევანსი (23+6 მოხსნა), ჰაუსი (18+13 მოხსნა), ნოჩიონი (10+9 მოხსნა).

გ-ს: კარი (27+9 მოხსნა+6 პასი), მარტინი (20+7 მოხსნა), მაგეტი (19+12 მოხსნა).



# ტიმი და ამარე? ეს საინტერესოა!

„ფინიქს სანზის" ცენტრის **ამარე სტაუდმაიერის** ტრანსფერის შესახებ პრაქტიკულად ყოველდღე ვრცელდება ახალი ამბები. განსაკუთრებით საინტერესოა ბოლო ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ვარსკვლავი ცენტრის გადაბირება „სან ანტონიო სპურსს" სურს.

რამდენიმე ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით Yahoo! Sports წერს, რომ „სპურსის" ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს **ტიმ დანკანს** შეუწყვილოს სტაუდმაიერი და ლიგაში ერთ-ერთი ყველაზე მრისხანე მაღალი დუეტი შექმნას. შეგახსენებთ, რომ ორივე კალათბურთელი ცოტა ხნის „ყველა ვარსკვლავის მატჩზე" დასავლეთი კონფერენციის სასტარტო ხუთეულში შეიყვანეს.

ჯერჯერობით უცნობია, შეელევა თუ არა „სპურსი" ამარეს სანაცვლოდ თავის რომელიმე ლიდერს, მაგალითად, არგენტინელ ლეგიონერ **მანუ ჯინობილის**. ბოლო ინფორმაციების თანახმად, სტაუდმაიერის გადაბირება სურთ აგრეთვე „მაიამისა" და „კლივლენდს".

მიმდინარე სეზონში „სანზის" ცენტრის საშუალო მაჩვენებლები 21.0 ქულას, 8.9 მოხსნასა და 1.4 დაფარებას შეადგენს.

# არენასს მკაცრად დასჯიან

„ვაშინგტონ უიზარდსის" მცველი **ჯავარის კრიტერტონი** დამნაშავედ ცნეს იარაღის უკანონო შენახვაში და ამის გამო ერთწლიანი გამოსასწორებელი სამუშაოები გამოუწერეს. კრიტერტონი ის კალათბურთელია, რომელმაც გასახდელში ბანქოს ვალის გამო ამტყდარი ჩხუბის დროს იარაღი დაუმიზნა თანაგუნდელ **გილბერტ არენასს**.

რაც შეეხება არენასს, მას სავარაუდოდ იგივე სასჯელი ელის. სამაგიეროდ მას კარიერის გაგრძელების მხრივ შეექმნება დიდი პრობლემები.

დროებით დისკვალიფიცირებული ვაშინგტონელი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისრის **დევიდ სტერნის** საბოლოო გადაწყვეტილებას ელოდება. როგორც ლიგაში ვარაუდობენ, დისკვალიფიკაცია ამ სეზონის ბოლომდე და 2010-11 წლების ჩემპიონატში იმოქმედებს, ანუ გილბერტი წელიწად-ნახევარი დაემშვიდობება დიდ კალათბურთს.

უახლოეს დღეებში სტერნი არენასის საქმის გამოძიების შედეგებს შეაფასებს და ამის შემდეგ გამოიტანს საბოლოო განაჩენს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| ასტონ ვილა-არსენალი | 0:0 |
| ჩელსი-ბირმინგემი | 3:0 |
| ბლექბერნი-უიგანი | 2:1 |
| ევერტონი-სანდერლენდი | 2:0 |
| **ჩემპიონატი** | |
| ნიუკასლი-კრ. პალასი | 2:0 |
| სკანთორფი-უენსდი | 2:0 |
| **II ლიგა** | |
| ბარტონი-ლინკოლნი | 1:0 |
| **კონფერენსი** | |
| ჰისტონი-ლუტონი | 0:2 |
| **ინგლისი** | |
| **ლიგის თასი. 1/2 ფინალი** | |
| მანჩესტერ იუნ-მანჩესტერ სიტი | 3:1 |
| **იტალიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| მილანი-უდინეზე | 0:1 |
| **ესპანეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ოსასუნა-რასინგი | 0:3 (1:2) |
| სევილია-დეპორტივო | 0:1 (3:0) |
| **საფრანგეთის თასი** | |
| **1/16 ფინალი** | |
| კოლმარი-ბულონი | 1:2 |
| ნანსი-პლაბენეკი | 0:2 |
| **საფრანგეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| ლორიანი-ლიონი | 1:0 |
| გინგამი-ქულუზა | 0:1 |
| მარსელი-ლილი | 2:1 |
| **ჰოლანდიის თასი** | |
| აიაქსი-ნიიმეგენი | 1:1 დ.დ. 3:2 |
| ბრედა-იგლზი | 1:2 |
| სპარტა-ტვენტე | 0:4 |
| ეინდჰოვენი-ფეიენოორდი | 0:3 |
| **ბელგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბრიუსელი-ანტვერპენი | 3:3 |
| ლომელი-ბორინაჟი | 2:1 |
| **ბელგიის თასი** | |
| გენტი-ბრიუგე | 1:0 |
| რუზელარე-კორტრიიკი | 1:0 |
| ვესტერლო-მეხელენი | 0:0 |
| **შოტლანდია** | |
| სელტიკი-ჰიბერნიანი | 1:2 |
| დანდი იუნ-სტ. ჯონსტონი | 3:3 |
| ფალკირკი-მოზერველი | 0:0 |
| ჰართსი-აბერდინი | 0:3 |
| სტ. მირენი-რეინჯერსი | 0:2 |
| **II დივიზიონი** | |
| არბროა-ისტ ფაიფი | 0:1 |
| **შოტლანდიის თასი** | |
| ეირდრი-რეითი | 1:3 |
| **თურქეთის თასი** | |
| ანკარაგიუჯუ-გალათასარაი | 0:0 |
| ტრაბზონი-ორდუ | 2:1 |
| ბურსა-შივასი | 4:0 |
| ტარსუსი-დენიზლი | 1:2 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ცსკა-უნიკახა | 86:78 |
| პანათინაიკოსი-პარტიზანი | 59:64 |
| რეალი-ეფესი | 77:70 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ლადა-აკ ბარსი | 0:4 |
| ტორპედო-ნეფტეხიმიკი | 5:3 |
| ცსკა-ვიტიაზი | 5:2 |

## TV პროგრამა

### 28 იანვარი. ხუთშაბათი

#### SPORT 1 (უკრაინა)

09:00 სინქრონული ცურვა. კანადა.
10:30 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ტორონტო-ლოს ანჯელესი.
12:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-არსენალი.
14:00 კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
14:30 ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. რუსეთი-უკრაინა. ავსტრია.
15:50 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. დოჰა. კატარი.
16:25 პოკერი.
17:14 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ბირმინგემი.
19:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
19:10 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-ანაჰაიმი.
20:55 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:05 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
21:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:20 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. I ტურის მიმოხილვა.
22:50 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
23:15 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
23:30 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. I ტური. მონტეპასკი-მაკაბი (LIVE).
01:30 კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
02:00 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. I ტური. ცსკა-უნიკახა.
03:45 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
04:10 ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. რუსეთი-უკრაინა. ავსტრია.
05:45 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
06:05 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. კოლორადო-მინესოტა (LIVE).

#### SPORT 2 (უკრაინა)

08:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-არსენალი.
10:30 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
10:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ბირმინგემი.
12:35 ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. რუსეთი-უკრაინა. ავსტრია.
14:10 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
14:40 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ტორონტო-ლოს ანჯელესი.
16:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი.
18:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:10 ჩოგბურთი. ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი.
21:25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:05 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-ანაჰაიმი.
00:05 ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. რუსეთი-უკრაინა. ავსტრია.
01:40 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. I ტური. მონტეპასკი-მაკაბი.
03:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ფიორენტინა.
04:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ბირმინგემი.
06:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი.

#### EUROSPORT

10:15 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. ქალები. 1/2 ფინალი. მელბურნი.
12:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. კაცები. 1/2 ფინალი. მელბურნი (LIVE).
15:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. კაცები. 1/2 ფინალი. მელბურნი.
17:00 სნუკერი. უელსის ღია პირველობა. IV დღე. ნიუპორტი (LIVE).
19:30 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ახალი ამბები.
19:45 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. 1/2 ფინალი. ანგოლა (LIVE).
22:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:10 ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
22:40 ჩოგბურთი. ჟუსტინ ანენი. ტელეჟურნალი.
22:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ტელეჟურნალი.
23:15 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. 1/2 ფინალი. ანგოლა (LIVE).
01:30 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ახალი ამბები.
01:45 სნუკერი. უელსის ღია პირველობა. IV დღე. ნიუპორტი.
04:00 ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
04:25 ჩოგბურთი. ჟუსტინ ანენი. ტელეჟურნალი.

## ამბები

### ბარბოზა თვე-ნახევარი დაისვენებს

„ფინიქს სანზის" მცველმა **ლეანდრო ბარბოზამ** მაჯაზე ოპერაცია გაიკეთა და დაახლოებით თვე-ნახევარი ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

ბრაზილიელ ლეგიონერს ეს დაზიანება შარშანდელი ზაფხულიდან მოყოლებული აწუხებდა. ტრავმა მან ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში თამაშისას მიიღო. ნოემბერში ბარბოზა ოპერაციას არ დათანხმდა და მსუბუქად იმკურნალა. ამის გამო ლეანდრომ სამი მატჩი გამოტოვა, მაგრამ ამან სიტუაციას ვერ უშველა.

ამ სეზონში ბარბოზა საშუალოდ 10.6 ქულას აგროვებს, ამასთან კარიერაში ყველაზე უარესი მაჩვენებლები აქვს თამაშიდან ტყორცნებისა (42.2) და სამქულიანების გამოყენების (33.0) პროცენტული მაჩვენებლით.

### გოლდენ სტეიტი ელისს შეელევა?

„გოლდენ სტეიტ უორიორზის" ხელმძღვანელობა „ბოსტონ სელტიქსთან" ტრეიდის განხორციელების ვარიანტებს განიხილავს. კერძოდ, „მეომართა" შეფები გუნდის ერთ-ერთ ლიდერს **მონტა ელისს** ბოსტონელ ვეტერან მცველ **რეი ალენში** ცვლიან.

„უორიორზის" სამწვრთნელო შტაბს მიაჩნია, რომ ახალგაზრდა **სტივენ კარის** დიდი მომავალი ელოდება, მაგრამ გუნდის ზოგიერთი წარმომადგენლის აზრით, კარი ვერ შეძლებს სწრაფი ტემპით პროგრესს, სანამ მის გვერდით ელისი იქნება.

შეგახსენებთ, რომ ალენმა მიმდინარე სეზონში საშუალოდ 16.0 ქულა დააგროვა, თავის მხრივ, მონტა ელისის შედეგიანობა 26.1 ქულას უტოლდება.

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

# გადარჩენილი სერენა და ჩინური სასწაული

ავსტრალიის ღია პირველობაზე მეოთხედფინალური ეტაპი დასრულდა. ჩინელი **ნა ლის** გადამკიდე, ნახევარფინალში არ შედგება დები **უილიამსების** ნახევარფინალი, ხოლო ფრანგმა **ჟო-ვილფრიდ ცონგამ როჯერ ფედერერამდე** არ მიუშვა **ნოვაკ ჯოკოვიჩი.**

გუშინდელი დღის ერთ-ერთი მთავარი შეხვედრა ფედერერსა და **ნიკოლაი დავიდენკოს** შორის შედგა. ურთიერთშეხვედრებში შვეიცარიელს რუსზე უდიდესი უპირატესობა ჰქონდა - 12:2, თუმცა ბოლო ორი მატჩი დავიდენკოს გამარჯვებით დასრულდა, მათ შორის ერთი წელს დოჰას ტურნირზე. საერთოდაც ბოლო პერიოდში ნიკოლაი კარიერაში საუკეთესო ჩოგბურთს აჩვენებს. მან შარშან წლის შემაჯამებელი ტურნირი მოიგო. მაშინ ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა **რაფაელ ნადალი** და ფედერერი. დოჰაშიც ანალოგიური შედეგი გაიმეორა და ავსტრალიის ღიას ერთ-ერთი ფავორიტის რანგში შეხვდა.

დავიდენკომ ეს სტატუსი გუშინდელი მეოთხედფინალის პირველ სეტში დაამტკიცა, როცა ფანტასტიკური ჩოგბურთი აჩვენა და 35 წუთში გაიმარჯვა - 6:2. რუსის უპირატესობა მეორე სეტშიც გაგრძელდა და ბრეიკის წყალობით წინ გავიდა - 3:1. სწორედ აქედან მოყოლებული დაიწყო მატჩის მეორე ნაწილი, სადაც კორტის სრული ბატონ-პატრონი მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდა. ფედერერმა ზედიზედ 13 (!) გეიმი მოიგო.

დავიდენკომ მეოთხე სეტში გაიბრძოლა, როცა ფედერერი მატჩზე აწვდიდა და მატჩ-ბოლიც ჰქონდა, მაგრამ რუსმა ბრეიკით ანგარიში გაათანაბრა. იქვე როჯერმა 5:5-ზე ზედიზედ ორი გეიმი აიღო და ზედიზედ 23-ედ გავიდა „დიდი სლემის" ტურნირების ნახევარფინალში.

კიდევ უფრო საინტერესო იყო ნოვაკ ჯოკოვიჩისა და ჟო-ვილფრიდ ცონგას მეოთხედფინალი, რომელიც 3 საათი და 52 წუთი გაგრძელდა და ხუთ სეტში ფრანგი ჩოგბურთელის გამარჯვებით დასრულდა. ახლა ცონგას ჯოკოვიჩისთვის შვიდიდან ხუთი შეხვედრა აქვს მოგებული.

სერბმა გადამწყვეტ მომენტებში დაშვებული შეცდომების გამო დათმო ეს შეხვედრა. მაგალითად, პირველ სეტში ნოვაკმა სამი სეტ-ბოლი ვერ გამოიყენა, თუმცა მომდევნო ორი პარტია მოიგო და სეტებს შორის დაწინაურდა.

ცონგამ თამაშში გარდატეხის შეტანა მეოთხე სეტიდან შეძლო. ამ პარტიაში ჯოკოვიჩმა ერთადერთი გეიმი მხოლოდ 0:5-ზე აიღო და მეტოქეებს მეხუთე სეტის თამაში მოუწიათ. გადამწყვეტი პარტია ფრანგის ბრეიკით დაიწყო. მეხუთე გეიმში ცონგამ კიდევ ერთხელ აიღო სერბის მოწოდება და უპირატესობა გაზარდა - 4:1, ბოლოს კი ისევ ჯოკოვიჩის მოწოდებაზე პირველივე მატჩ-ბოლი გამოიყენა და ნახევარფინალში ფედერერს შეხვდება.

მატჩის შემდეგ ჯოკოვიჩმა ასე ახსნა ბოლო ორ სეტში სუსტი თამაშის მიზეზი: *„მარცხის გამართლებას არ ვცდილობ, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ მატჩის წინ მოვიწამლე და ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს. ამიტომაც, ბოლო ორი სეტი ფეხზე ძლივს ვიდექი. მატჩის წინ და სეტებს შორის პაუზებისას ბევრი სითხე დავკარგე. შესვენებაზე ტუალეტში რომ არ წავსულიყავი, ეს პირდაპირ კორტზე მოხდებოდა".*



ქალთა ბადეში კი ჩინური სასწაული გრძელდება. ჩვენ დიდ სენსაციად მოვნათლეთ ამ ქვეყნის ორი წარმომადგენლის მეოთხედფინალში გასვლა, ისინი კი ამით არ დაკმაყოფილდნენ და ნახევარფინალშიც გაალწიეს. გუშინ **ჟიე ჟენგს** ამ ეტაპზე **ნა ლი** შეუერთდა, რომელმაც სამსაათიან ბრძოლაში წაგებული მატჩი გადაარჩინა **ვენუს უილიამსთან.** ამერიკელი თითქმის სულ წინ იყო. მაგალითად, მესამე სეტში ლიდერობდა - 2:0, 3:1, 4:2 და მაინც ვერ მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე. ნა ლიმ 6:5-ზე დამაჯერებლად ჩააწოდა მატჩზე და ვენუსთან ურთიერთშეხვედრათა ანგარიში 2:0 გახადა.

კინაღამ უფროსი დის ბედი გაიზიარა **სერენა უილიამსმა.** მან ნამდვილი სასწაული მოახდინა ბელარუსი **ვიქტორია აზარენკას** წინააღმდეგ. ვიკამ პირველი სეტი 6:4 მოიგო, მეორეში კი 4:0 იყო დაწინაურებული. ცოტაც და ბელარუსი ნახევარფინალში გასვლას იზეიმებდა. მაგრამ სერენამ მეხუთე გეიმში ორი ბრეიკ-პოინტი მოიგერია და აქედან დაიწყო მისი დომინირება კორტზე. უილიამსმა ზედიზედ ხუთი გეიმი აიღო და ბოლოს ტაი-ბრეიკზე გაიმარჯვა. დემორალიზებული აზარენკა გონს ველარ მოვიდა და თითქმის უბრძოლველად დათმო გადამწყვეტი სეტი.

**კაცები**

**1/4 ფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 6) 2:6, 6:3, 6:0, 7:5; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 10)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3) 7:6(8), 6:7(5), 1:6, 6:3, 6:1.

**1/2 ფინალში ხვდებიან**

ფედერერი (1)-ცონგა (10); ჩილიჩი (14)-მიური (5).

**ქალები**

**1/4 ფინალი**

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 7) 4:6, 7:6(4), 6:2; **ნა ლი (ჩინ, 16)**-ვენუს უილიამსი (აშშ, 6) 2:6, 7:6(4), 7:5.

**1/2 ფინალში ხვდებიან**

ს. უილიამსი (1)-ნა ლი (16); ანენი-ჟენგი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

სხვადასხვა

კრივი

## მარგარიტო ბრუნდება

ნახევრად საშუალო წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, მექსიკელი **ანტონიო მარგარიტო** რინგზე დასაბრუნებლად ემზადება. შეგახსენებთ, რომ მოკრივემ შარშან თებერვალში მიიღო დისკვალიფიკაცია იმის გამო, რომ **შეინ მოსლისთან** ბრძოლის წინ ხელთათმანებში თაბაშირის მსგავსი ნივთიერება ჩაასხა.

მარგარიტოს დაბრუნება 13 მარტისთვის არის დანიშნული. ის დალასში ფილიპინელი **მენი პაკიაოსა** და განელი **ჯოშუა კლოტის** ბრძოლის ანდერკარდზე იჩხუბებს. მექსიკელის მეტოქე იქნება 23 წლის ამერიკელი **კარსონ ჯონსი.**

პაკიაოსა და მარგარიტოს გამარჯვების შემთხვევაში, ამ მოკრივეთა პრომოუტერი **ბობ არუმი** არ გამორიცხავს ამა წლის ზაფხულში მენისა და ანტონიოს შორის ბრძოლის ორგანიზებას.

## ჰოლიფილდი-ბოთა ჩაიშალა

ლეგენდარული ამერიკელი **ევანდერ ჰოლიფილდისა** და WBF-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის, სამხრეთაფრიკელი **ფრანსუა ბოთას** ბრძოლა საბოლოოდ ჩაიშალა. უგანდაში გასამართავი შეხვედრის თარიღი 20 თებერვალი გახლდათ, მაგრამ ბრძოლა ფინანსური პრობლემების გამო არ შედგება.

ჰოლიფილდის წარმომადგენლის **კენ სანდერსის** სიტყვებით, ევანდერს მომავალი ჰონორარის გარკვეული ნაწილი სამი თვის წინ, წინასწარ უნდა აეღო, მაგრამ სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონის ანგარიშზე დღემდე არანაირი თანხა არ ჩარიცხულა.

ჰოლიფილდთან ბრძოლის სანაცვლოდ, ბოთა 27 თებერვალს ამერიკელ **ჯოი აბელეს** შეხვდება. ევანდერის რინგზე დაბრუნება კი 6 მარტს ან 24 აპრილს იგეგმება.

ჩოგბურთი

## ლეგენდარული წყვილი დიდების დარბაზში

ავსტრალიელი ჩოგბურთელების - **ტოდ ვუდბრიჯისა** და **მარკ ვუდფორდის** ლეგენდარული დუეტი ავსტრალიის ჩოგბურთის დიდების დარბაზში შეიყვანეს.

*„ეს დიდი პატივია ჩემთვის. ამგვარი აღიარება მხოლოდ უიმბლდონზე ან ოლიმპიურ თამაშებზე მოგებას თუ შეედრება. ეს მოვლენა ყველაზე კარგად ახასიათებს ჩვენს წარმატებებსა და დამსახურებებს დიდ სპორტში",* - განაცხადა მარკ ვუდფორდმა.

*„ყველაზე საზეიმო მომენტი იყო ჩვენი ბიუსტის გახსნა. ეს ქანდაკება ისეთი ლეგენდების გვერდით დგას, როგორებიც არიან ნიუკომბი, როშე, ლეივერი, როზუოლი, ფრეიზერი... ერთი მომენტი გავიფიქრე - ვართ კი ღირსი მათ გვერდით დგომის? ასეთ კომპანიაში მოკრძალებულად ვიგრძენი თავი. ეს უდიდესი პატივია ჩემთვის",* - მოჰყავს ტოდ ვუდბრიჯის სიტყვები ავსტრალიის ღია პირველობის ოფიციალურ ვებგვერდს.

ფორმულა 1

## კამპოსი ტესტებს არ გაივლის

სააგენტო AP-ის ცნობით, 2010 წლის ჩემპიონატის დებიუტანტმა გუნდმა „კამპოსმა", შესაძლოა, მთლიანად გამოტოვეს წინასასეზონო ტესტები და პირველად ტრასაზე სეზონის საწყის ეტაპზე - ბაჰრეინის გრან-პრიზე გავიდეს. გუნდის სტრატეგიული განყოფილების შეფმა **დანიელ აისენმა** განაცხადა, რომ საჯინიბოს საქმეებთან დაკავშირებით ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერის **ბერნი ექლსტოუნის** შეშფოთება უსაფუძვლო სულაც არ არის, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ „კამპოსი" აუცილებლად იქნება ბაჰრეინის ეტაპზე და პირველ ტესტებსაც იქ გაივლის.

*„ბაჰრეინი ჩვენთვის არა პირველი რბოლა, არამედ პირველი ტესტი იქნება. ყველა წუხს „კამპოსის" მდგომარეობის გამო და ეს ლოგიკურია, რადგან წინ გრძელი სეზონი გველის, ჩვენ კი დებიუტანტები ვართ. მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. ყველანაირად ვეცდებით ბაჰრეინში კარგ ფორმაში ჩავიდეთ, განსაკუთრებით ეს ბოლიდებს ეხება",* - განაცხადა აისენმა.

